

კარაგვარის ცენტრული ბიბლიოთეკა



ე ფ ა ხ ე ა გ ი დ

K 96.186/3

აზარის პარაგვაი
ეს მათი
განვითარების პირსპექტივი

614.213(C922.3)+613.1

卷之三

Digitized by srujanika@gmail.com

აჭარის კუროგები და მათი
განვითარების პერსპექტივები

K 3
96.486



სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი—1961

რ ე დ ა შ ტ ო რ ი ს ა ზ ა ნ

საქართველოს სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი რესპუბლიკაა. იგი, ტერი-ტორიის სიმცირის მიუხედავად (70.000 კვ კმ), მეტად მრავალფეროვანი ბუნებით ხასიათდება. იქ სულ მცირე მანძილზე ერთმანეთს ენაცვლებიან მწვანეში ჩაფლული დაბლობები, წიწვოვანი მცენარეებით დაფარული გორაკ-ბორცვები, ასწლოვანი მუხნარით, წიფლნარითა და სხვა ცად ატყორცნილი ფოთლოვანი ჯიშებით შემოსილი მთები, ალპური და სუბალპური მდელოები.

ქვეყნის მეტად დანაწევრებული რელიეფის, მდიდარი მცენარეული საფარველისა და სხვა ბუნებრივი ფაქტორების გამო, მრავალფეროვანია მისი კლიმატიც. ქედან გამომდინარე კი, რესპუბლიკში ბევრი პირველხარისხოვანი კურორტი და თითქმის ყველა სახის საკურორტო რესურსი მოიპოვება.

ჩვენში მრავლადაა როგორც სამთო, ისე ზღვისპირა საკურორტო ადგილები; ამასთან, 1000-ზე მეტი მინერალური წყალია აღრიცხული; ბევრია სამკურნალო ტალახის საბადოებიც. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მძლავრი საკურორტო მეურნეობის ფართო ქსელის შექმნას.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უანგარო და განუხრელი ზრუნვის შედეგად ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკურორტო მშენებლობას.

საქართველოს მდიდარი საკურორტო რესურსებიდან აჭარაზე მოდის კურორტებისა და საკურორტო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ კუთხის კურორტები, განსაკუთრებით ზღვისპირა ადგილებისა, განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში.

ექიმ ი. დიასამიძის წინამდებარე ნაშრომი ეხება აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულ კურორტებს, საკურორტო ადგილებსა და კლიმატურ სადგურებს. ავტორი საკმაოდ ვრცლად გად-

მოგვცემს აჭარის ყველა კურორტისა და საკურორტო ადგილის კლიმატურ და სხვა ბუნებრივ თავისებურებებს, მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიურ ბუნებას, კურორტებისა და საკურორტო რესურსების გამოვლინების ისტორიას, მათი განვითარების პერსპექტივებს, სამკურნალო ჩვენებებსა და სხვ.

ნაშრომს დართული აქვს აჭარის ტერიტორიაზე გამოვლინებული და სამეცნიერო ლიტერატურაში չერ კიდევ ნაკლებად ცნობილი მინერალური წყლების საქმაოდ ვრცელი სია.

ჩვენი აზრით, ი. დიასამიძის ნაშრომი, როგორც პირველი ცდა აჭარის კურორტების, საკურორტო ადგილებისა და კლიმატური საღგურების მეცნიერული აღწერისა, უდავოდ გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ დარგში მომუშავე ექიმ-კურორტოლოგებს და ფართო საზოგადოებას.

პროფ. ვ. გოგიძედაშვილი

1961 წლის მარტი.

ქ. თბილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

აჭარა ძველთაგანვე საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე კუთხე იყო. იგი თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამო არაერთხელ გამხდარა უცხოელ დამპყრობთა წინა-აღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ასპარეზი.

აჭარას ბევრი მომხდური უნახავს, მაგრამ ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი მაინც თურქები იყვნენ.

ისარგებლეს რა საქართველოს ცალკე სამთავროებად და სამეფოებად დაყოფით, თურქები შემოესივნენ სამხრეთ საქართველოს და XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაიკავეს მთელი სამცხე-საათაბაგო, რომელშიც აჭარაც შედიოდა. თითქმის სამასი წლის განმავლობაში ბატონობდნენ თურქები აჭარაში. ისინი ყოველ ღონის ხმარობდნენ, რათა საქართველოსაგან მიტაცებულ ადგილებში მოესპოთ ქართული ენა, კულტურა, ქართული ზნე-ჩვეულებანი.

თურქთა მძიმე უღელტვეშ მოქცეული მოსახლოება არაერთხელ აჯანყებულა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგრამ ძალათა დაქაქსულობისა და სხვა გარემოებათა გამო, ეს ბრძოლები მარცხით მთავრდებოდა.

1878. წელს დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით აჭარა განთავისუფლდა თურქეთის ბატონობისაგან და დედა-სამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) ბათომის ოლქი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში გადავიდა.

ამ დროიდან აჭარის მოსახლეობის მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა; რამდენადმე აღმავლობის გზით წავიდა ქვეყნის ეკონომიკა; დაიწყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. ერთგვარი ყურადღება მიექცა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებასა და ჯანმრთელობის დაცვას; დაარსდა სკოლები, შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი დაწესებულება; დაიწყო ბრძოლა ეპიდემიების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ღონისძიებანი ჯერ კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ მას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში სულ 7 სამ-
კურნალო დაწესებულება ითვლებოდა, ისიც მხოლოდ ქალაქად,
და ძირითადად სამხედრო ნაწილებს ემსახურებოდა. მთელ აჭარაში
25 ექიმი და 45 ფერშალი მუშაობდა. სრულიად არ ექცეოდა ყუ-
რადლება საკურორტო მეურნეობის განვითარებას.

ბათუმსა და ქობულეთში საუკეთესო სააგარაკო აღგილები მე-
ფის გენერლებს, დიდ ვაჭრებს და აღგილობრივ ბეგებს ეკუთვნო-
დათ. მთავრობა არავითარ ზომებს არ დებულობდა საკურორტო
რესურსების გამოსავლინებლად და აღგილმდებარეობის გასაჯანსა-
ღებლად.

აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ნამდვილი ზრუნვა
მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარა გადაიქცა საქართვე-
ლოს ერთ-ერთ მოწინავე კუთხედ, გაიზარდა მისი ეკონომიკა და
ამაღლდა მოსახლეობის კულტურული დონე.

საგრძნობლად გაფართოვდა მრეწველობა. საკმარისი ითქვას,
რომ ამჟამად აჭარაში 350-მდე მსხვილი სამრეწველო საწარმოა.

დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა, რომლის წამყვანი
კულტურებია ჩიი, ციტრუსები, თამბაქო, ვაზი და სხვ.

რესურსებით მოიფინა სკოლებით, ტექნიკურებით, სკოლა-ინ-
ტერნატებითა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებუ-
ლებებით.

ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებასთან
ერთად მკვეთრად გაუმჯობესდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა.
ახლა აჭარის ასს რესპუბლიკაში 200-მდე სამკურნალო-პროფი-
ლაქტიკური დაწესებულება მუშაობს, მოსახლეობას ემსახურება
708 ექიმი და 1970 საშუალო სამედიცინო პერსონალი. დიდი ხანია
ლიკვიდირებულია მრავალი საშიში ინფექციური დაავადება — შა-
ვი ჭირი, ქოლერა, პარტაქტიანი ტიფი და სხვა, რომლებიც მუსრს
ივლებდნენ მოსახლეობას; მოისპონ მალარია, როგორც მასობრივი
დაავადება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჯანმრთელობის
დაცვის სხვა ონისძიებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღე-
ბა დაეთმო საკურორტო მეურნეობის განვითარებას. ამჟამად აჭარა-
ში მუშაობს 8 სანატორიუმი, 19 დასასვენებელი სახლი, 3 პანსიო-
ნატი და სხვა საკურორტო დაწესებულებანი, რომლებიც აქტიურად
ემსახურებიან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

აჭარის ტერიტორიის მოპლე ფიზიკურ- გეოგრაფიული დახასიათება

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთით მას ეკვრის შავი ზღვა, აღმოსავლეთით — არსიანის ქედი, ჩრდილოეთით — აჭარა-ახალციხის ქედის დასავლეთი ნაწილი (აჭარის ქედი), სამხრეთით — შავშეთის ქედი, რომლის თხემზეც გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან.

აჭარის ასსრ ტერიტორიის (2,9 ათასი კვ. კმ) უმეტესი, ვან-საკუთრებით აღმოსავლეთი ნაწილი, მთავორიანია.

აჭარის გორაკ-ბორცვიანი ზოლი არშიასავრთ გასდევს სანაპიროს და გარდამავალ საფეხურს ქმნის მთებსა და დაბლობებს შორის. გორაკების სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 150-500 მეტრის ფარგლებში. გორაკ-ბორცვიანი ზოლი შედარებით ვიწროა გონიოდან ციხისძირამდე, ხოლო რამდენადმე ფართოვდება ქობულეთის რიონის ტერიტორიაზე.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი წარმოდგენილია კახაბრისა და ქობულეთის დაბლობებით.

კახაბრის დაბლობს ორ ნაწილად ყოფს მდ. ჭოროხი, რომელიც შესართავთან ქმნის დელტას. ეს დაბლობი წარმოიშვა მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის მოქმედების შედეგად. იგი დაფარულია ნოჟიერი ალუვიური ნიაღავებითა და ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალებით.

კახაბრის ვაკე, ქობულეთის დაბლობთან შედარებით, ნაკლებად დაჭაობებულია. აქ მიეღინება პატარა მდინარე მეჯინა, აქვე გვხვდება წვრილი ტბები, რომელთაგან სამი ბათუმის ტერიტორიაზეა, ხოლო ერთი, შედარებით მოზრდილი, სოფ. ადლიეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

ქობულეთის დაბლობი წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის სამხრეთ დაბოლოებას. მის წარმოქმნაში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარეების — კინტრიშისა და დაგვას მიერ ჩამოტანილ ნაშალ მასალას.

აჭარის სანაპირო დაბლობში საჭიროა ცალკე გამოიყოს ქვეშა—
ან ზოლი, რომელიც ვიწროდ გასდევს ზღვის კიდეს. მისი განი
შერყეობს 30-დან 50 მეტრამდე გონიოსა და ქობულეთის მიდამოებ-
ში, ხოლო 5-დან 15-მდე—მახინჯაურისა და ციხისძირის გასწვრივ.
ქვიშიანი ზოლი მდ. ჭოროხის შესართავთან დაფარულია შედარე-
ბით მსხვილი კენჭებით, ხოლო ქობულეთის მიდამოებში — წვრი-
ლი კენჭითა და ქვიშით. აჭარის სანაპირო დაბლობის სიმაღლე
ზღვის დონიდან 20 მეტრამდე აღწევს.

აჭარას თავისებური გეოლოგიური წარსული აქვს. თანამედრო-
ვე პროცესებიდან, რომლებიც ჩელიეფის შეცვლის იწვევს, უნდა
აღინიშნოს გამოფიტვა, დენუდაცია და ეროზია. საკვლევი ტერიტო-
რია ახლაც განიცდის ქიმიურ და მექანიურ გამოფიტვას, რის გა-
მოც ამ კუთხის ზოგიერთი ადგილისათვის დამახსასიათებელია მეწ-
ყერი და ზვავი.

აჭარის გეოლოგიური წარსული და თანამედროვე მორფოგენე-
ზური პროცესები განაპირობებენ მისი რელიეფის სირთულესა და
თავისებურებებს, რაც, ცხადია, გათვალისწინებულ უნდა იქნას სა-
კურორტო მშენებლობის დროს.

აჭარას, როგორც კურორტების მხარეს, დიდ ლირსებას მატებს
მისი წარმტაცი ლანდშაფტი. ლანდშაფტურად იგი სამ ზონად
იყოფა: 1. ზღვის სანაპირო და გორაქ-ბორცვიანი ზონა, 2. მთა-ტყის
ზონა, 3. ალპური ზონა.

აჭარის სანაპირო ზონა ვიწროა, მისი სიფართე
2-3 კმ არ აღმატება; მხოლოდ ჭოროხის შესართავთან აღწევს
5—10 კმ-დე. დაბლობ ზოლს გარს არტყია გორაქ-ბორცვები,
რომლებიც დაფარულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების
პლანტაციებით. საერთოდ, ზღვის სანაპირო ზონა მეტად მდიდარია
მცენარეულობით.

მოხერხებული პლაჟები, თბილი ზღვა, რბილი კლი-
მატი, მთისა და ბარის პეიზაჟი, სუბტროპიკული ბაღები და
პარკები საუცხოო პირობებს ქმნიან აქ ინტენსიური საკურორტო
მეურნეობის მოსაწყობად.

წინათ აჭარის სანაპირო დაბლობი ჭიობებით იყო დაფარული
და მაღარის ბუდეს წარმოადგენდა. აჭარაში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარების შემდეგ ამოაშრეს ჭიობები, გაშენდა ციტრუ-
სოვათა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ბაღები; ბუნება

ადამიანის სამსახურში ჩადგა. ზღვის სანაპირო ზონა ჯანმრთელობის ნამდვილი კერაა.

მთა-ტყის ზონა ვრცელდება ზღვის დონიდან 500—1800 მეტრამდე. ამ ზონის კლიმატი სიმაღლის მატების შესაბამისად გადადის ზომიერ-თბილიდან ზომიერ-ცივში. აქ გაბატონებული მთა-ხეობების ქარები. წლის ცივ პერიოდში ნალექები მოდის თოვლის სახით და ზოგჯერ 2-3 მეტრს აღწევს. მდინარეები ჩანჩქერიანი და წყალუხვია, ხშირად გვხვდება წყაროები. ზედაპირის ძლიერი დანაწევრება, კლიმატური ელემენტები და ნიადაგები განაპირობებენ აქ მცენარეთა საფარველის ნაირსახეობას. ამ ზონის მცენარეულობის ფენოლოგიური ცვალებადობა იძლევა ლანდშაფტის რიტმული ცვლის მქაფიო სურათს; წიფლის, წაბლის, რცხილის, მუხის, კაკლისა და ნეკერჩხლის მშვანე სამოსელი წიწვიანებისა და ქვეტყის ფონზე ულამაზეს სანახაობას ქმნის.

აჭარის მთა-ტყის ზონაში მრავალი სოფელია გაშენებული, მთის ფერდობების ქვემო ნაწილი კი მთლიანად ბალ-ვენახებს უჭირავს.

ალპური ზონა იწყება ზღვის დონიდან 1800 მეტრზე, მისი კლიმატი გარდამავალია ზომიერ-ცივისაკენ. ამ ზონისათვის დამახასიათებელია ხშირი ნისლი, ზაფხულობით ალაგ-ალაგ თოვლის საფარველი; მცენარეულობა წარმოდგენილია სუბალპური ტყეებითა და ბალახით, კავკასიის როდოდენდრონის მასივებთა და ალპური მდელოებით.

აქ ლანდშაფტის რიტმული ცვლა, ქვემო ზონებთან შედარებით, არაა მქაფიო; ზაფხულობით ველები ყვავიან, მცენარეები იწყებენ ვაგეტაციას, ხოლო ადრე შემოდგომაზე კვლავ წყვეტენ ზრდას და თოვლით იფარებიან; სუბალპური ბალახეულით მდიდარი აღგილები საძოვრებადაა გამოყენებული.


ამ ზონაში მოსახლეობა არ ცხოვრობს, მხოლოდ ზაფხულობით ამოდიან მესაქონლეები და მოაგარენი.

აჭარის, როგორც დაბლობი, ისე მთიან ნაწილში უხვად არის მინერალური წყაროები, რომლებიც თავიანთი ქიმიური შემადგენლობით მრავალფეროვანია და სამკურნალოდ მეტად პერსპექტული.

აჭარის მთიანი ნაწილის მიკროკლიმატი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი, მოსახლეობის დაკვირვებანი ცხადყოფენ, რომ იგი კეთილად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

အနောက်လုပ် ပုဂ္ဂန် ရှေ့ချမှတ်စွာဆိုင်ရာ ၁၁ သုတေသနရေး ဒုဇိုင်းလုပ်ငန်း

- | | | | | |
|---|--------------------------|--------|---|------------------------|
| ● | පෙරියාල් තුව සංගම පොලොනෝ | පොලොනෝ | ● | සැමැලුව මාලුව රුවුවාලු |
| ● | පෙරියාල් කොළඹ පොලොනෝ | | ● | හැමැතුව මාලුවාලෝ |
| ○ | සුජාතා නොලුව පොලොනෝ | | | හැමැතුවා |



აჭარის კურორტების განვითარების მოქლე ისტორია

აჭარის, როგორც მთიანი, ისე ზღვის სანაპირო ზოლის საკურორტო მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ იყო ლაპარაკი.

ამ საკითხისადმი ყურადღება ერთგვარად გაცხოველდა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც აჭარა, კერძოდ, ბათუმისა და ქობულეთის მიდამოები საქართველოს დაუბრუნდა.

1878 წლიდან მოკიდებული აჭარის ზღვისპირა ზოლის (ბათუმისა და ქობულეთის სანაპირო), როგორც კლიმატოლოგიურად მდიდარი ადგილის, კეთილმოწყობით დაინტერესდნენ ქართველი და რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა ზეგავლენით მთავრობამ 1879 წლიდან გადაწყვიტა დაეწყო ბათუმის დაჭაობებული ადგილების ამოშრობა. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაევალა ექიმ უილინსკის, რომელმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარა (ბათუმის გარეუბანში იმ დროს გაყვანილი არხი დღესაც უილინსკის სახელს ატარებს).

ჭალაქის ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი ბათუმსა და მის მიმდებარე ადგილებს, არახელსაყრელი ჰიგიენური პირობების მიუხედავად, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

სამხედრო სამედიცინო ინსპექტორის გ. რემერტისა და სამხედრო კორესპონდენტის ა. ფრენკელის შეხედულებით, ბათუმის ირგვლივ მდებარე ჭალების ამოშრობა ამ ადგილებს გადააქციევდა შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო კლიმატურ სადგურად. ასეთიავე აზრს გამოთქვამდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწე გიორგი ყაზბეგი, ექ. უილინსკი და სხვები.

1898 წ. ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოება პეტერბურგში გზავნის გრიგოლ ვოლსკის ბალნეოკლიმატოლოგთა პირველ ყრილობაზე. მას დავალებული ჰქონდა წაეკითხა მოხსენება ბათუმისა და მისი მიდამოების კლიმატური პირობების მნიშვნელობის შესახებ.

1903 წ. ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოება (თავ-რე ტრიანტა-ფილიდი) მოუწოდებს თავის წევრებს, შეისწავლონ ბათუმისა და მისი მიდამოების კლიმატი და ნოზოლოგია.

იმავე წლის სექტემბერში პასტიგორსკში გამართულ ბალნეოკლიმატოლოგთა და პირობობაზე გრილობით გამოიყენებოდა.

საზოგადოებამ წარადგინა ორი მოხსენება ბათუმისა და მისი შედაბმების კლიმატისა და ნოზოლოგიის საკითხებზე.

1903 წ. ბათუმის ექიმთა საზოგადოებამ ოფიციალურად მიმართა ქალაქის თვითმმართველობას, აღეძრა შუამდგომლობა კავკასიის ცენტრალური მმართველობის წინაშე ბათუმსა და მის მიდამოებში ადგილების გაჯანსაღებისა და კლიმატური სადგურების მოწყობის შესახებ; ამას მოჰყვა ქალაქის თვითმმართველობასთან სპეციალური კომისიის ჩამოყალიბება.

კომისიამ შეადგინა პლაკის, ზღვის თბილი აბაზანების, ფიზიოთერაპიული განყოფილებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა; დაისვა საკითხი აგრეთვე ქალაქში კანალიზაციის გაყვანის შესახებ.

1904 წ. ქ. ბათუმის ექიმთა საზოგადოების ინიციატივითა და მხარდაჭერით ექ. ორლოვსკიმ ქობულეთში და მწვანე კონცხზე მოაწყო რეინიგზელთა საუწყებო კლიმატური სადგური, რომელიც ქობულეთში მუშაობდა მხოლოდ ზაფხულობით, მწვანე კონცხზე კი — მთელი წლის განმავლობაში: ამ კლიმატურმა სადგურებმა პირველ მსოფლიო ომამდე იარსებეს; მკურნალობის შედეგებიც კარგი იყო.

რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ დაჭრილ ოფიცერთა სამკურნალოდ მწვანე კონცხზე მოეწყო სამხედრო უწყების სანატორიუმი, რომელმაც ორ წელიწადს იმუშავა.

1904 წელს სადგურ მაზინჯაურიდან ერთ-ნახევარ კილომეტრზე გაიხსნა გოგირდოვანი აბაზანები. ერთ პატარა შენობაში მოქმედებდა მხოლოდ ორი აბაზანი; უმეტესად მკურნალობდნენ ქალთა სასქესო სფეროს სნეულებებითა და ქრონიკული რევმატიზმით დავადებულთ.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის კურორტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქობულეთს.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აქ იყო პატარ-პატარა სოფლები: ჩურუქ-სუ, ფიჭვნარი და სხვა, რომელთა მოსახლეობა ძირითადად მემინდვრეობასა და მეთევზეობას მისდევდა.

აჭარის რუსეთთან შეერთების შემდეგ „ჩურუქ-სუს“ (ქობულეთი) მოსახლეობის ნაწილი აიყარა და თურქეთში გადასახლდა. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაცარიელებულ ადგილებში რუსი კოლონისტების ჩამოსახლება. ამ შიზნით იმპერიის სხვადა-

სხვა კუთხიდან იშვევდნენ გლეხებს და ასახლებდნენ ქობულეთში, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი სოფლები — კომაროვა, სმეკალოვა (მაშინდელი გუბერნატორის სმეკალოვის საპატივილო) და სხვ. გაღმოსახლებულთა უმეტესობა ვერ შეეგუა ადგილობრივ პი-რობებს და მალე უკან გაბრუნდა.

ამას გარდა, რუსეთის ხელისუფლება აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში სამხედრო პირებსა და სხვა მოხელეებს ურიგებდა მიწებს. მუქთად ნაშოვნ მიწებზე რუსი მოხელეები სახელდახელოდ აგებდნენ სახლებს და აქირავებდნენ მოაგარაკებზე.

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფ. იუშჩენკო, რომელიც სოჭში, სოხუმში, გაგრასა და ანაპაში ყოფნის შემდეგ ქობულეთს ეწვია, გამოთქვამდა აზრს, რომ სმეკალოვა (ქობულეთი) ზღვის კლიმატური საღგურის მოსაწყობად ყველაზე უფრო ხელსაყრელი ადგილია.

ქობულეთს, როგორც ტუბერკულოზით, ოქიტითა და კახეჭიით დაავადებულ ბავშვთა კურორტს, პირველად ყურადღება მიაქცია ექიმმა ტრიანტაფილიძმა. მანვე 1903 წ. ექიმთა საზოგადოების სახელით დააყენა საკითხი ქალაქის თვითმმართველობის წინაშე ბათუმსა და მის მიდამოებში ბავშვთა სანატორიუმებისა და კლიმატური საღგურების მოწყობის შესახებ.

1911 წ. მოსკოვის ფიზიოთერაპიულმა საზოგადოებამ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მოავლინა ექიმთა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც დაათვალიერა ქ. ბათუმი და მისი მიდამოები. ექსპედიციის ჩამოსკვლიდან სულ რამდენიმე ხნის შემდეგ ბავშვთა სიკვდილიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საზოგადოებამ ქობულეთში გახსნა ამიერკავკასიაში პირველი ბავშვთა კოლონია. თავდაპირველად აქ მკურნალობდა 15 ბავშვი, რომლებიც 2-3 თვეს დარჩენენ და საგრძნობლად გამოგანსაღებნენ. ამის შემდეგ ყოველწლიურად იგზავნებოდა ბავშვები ქობულეთში, მათი რიცხვიც თანდათან მატულობდა. ბოლოს, გადაწყდა შეეძინათ რამდენიმე კერძო სახლი და მოეწყოთ ბავშვთა მუდმივი კოლონია. უმთავრესად ჩამოყავდათ ანემით, სკროფულოზით, ძვალ-სახსრის ტუბერკულოზითა და რაქიტით დაავადებული ბავშვები.

ამ ხანებში ექ. ს. სოლოვკინმა ბათუმის ექიმთა საზოგადოებას გააცნო თავისი შეხედულებანი ქობულეთზე, როგორც ბავშვთა მომავალ კურორტზე, განსაკუთრებით ძვალ-სახსრის ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის კერაზე.

1911 წ. ექ. ლიონინოვმა ქობულეთში დაიწყო სანატორიუმის შენებლობა.

1914 წელს პეტერბურგში შავი ზღვის სანაპიროს მოღვაწეთა ურილობაზე ექ. ს. სოლოვინმა გააკეთა მოხსენება ბათუმისა და შისი მიდამოების სამკურნალო ფაქტორების შესახებ.

პირველმა მსოფლიო ომმა ჩაკლა საკურორტო მშენებლობისადმი ინტერესი და თითქმის მთლიანად გაანადგურა ისედაც სუსტი საკურორტო მეურნეობა. ზღვის სანაპირო ზოლში აშენებული სააგარაკო სახლების უმეტესობა დაინგრა და გაპარტახდა. საბინაო ფონდის უკმარობის გამო სააგარაკოდ ჩამოსულ პირთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

აჭარაში საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის სისტემატური ზრუნვა დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსაც წლებში სწორად გაითვალისწინა რა კურორტების საერთო სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა, 1919 წლის 20 მარტს გამოსცა დეკრეტი — „სამკურნალო ადგილების საერთო სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი. ამ დეკრეტის ძალით 1921 წლიდან აჭარაში ყველა საკურორტო ადგილი სახელმწიფო ებრივი საკუთრებად გამოცხადდა და დაიწყო საკურორტო საქმის ორგანიზაცია.

გათვალისწინებული იყო ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან საკურორტო განყოფილების შექმნა. დაისახა ამოცანა, აჭარის მთელ სანაპიროზე — ქობულეთიდან ბათუმამდე — მოწყობილიყო კურორტები. დაიწყო ამ ადგილების გამოკვლევა და შესწავლა კურორტოლოგიის თვალსაზრისით.

მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად, აჭარაში მოქმედი მეტეოროლოგიური სადგურები შეუდგნენ ზღვის სანაპიროს სააგარაკო ადგილების კლიმატის საფუძვლიან შესწავლას. მეტეოროლოგიური სადგურების მასალებზე დაყრდნობით პროფ. ი. სკვორცოვმა და ექიმებმა ს. ტრიოცკიმ, გ. სელიანინოვმა, მ. ეფენდიევმა, ა. ოსილოვმა და სხვებმა დადებითი შეფასება მისცეს შავი ზღვის სანაპიროს კლიმატს.

1921 წლის მაისში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამეცნიერო კომისიაში შეამოწმა სააგარაკო

რაომები და შეადგინა სია იმ სახლებისა; რომლებიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო კლიმატური სადგურებისა და სანატორიუმების მოსაწყობად.

ამავე წელს მთავრობის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებით საკურორტო მეურნეობას გადაეცა მთელი რიგი სააგარაკო შენობები, მათ შორის ქობულეთის ზღვის სანატორიოს აგარაკები, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სანატორიუმების გახსნა, ბავშვთა კოლონიებისა და დასასვენებელი სახლების მოწყობა. საჭირო სახსრების უქონლობის გამო ეს ლონისძიებან ვერ განხორციელდა, მხოლოდ მწვანე კონცხზე მოწყობითი მოზრდილთა და ბავშვთა დასასვენებელი სახლები.

აჭარის საკურორტო საქმიანობაში მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაიწყო 1923 წლიდან, როდესაც საკურორტო მეურნეობა გადაეცა აჭარის ასამ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის დადგენილებით, კურორტები: ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური და ბათუმი საერთო სახელმწიფო ერთოვებრივი მნიშვნელობის კურორტებად გამოცხადდა.

1924 წლის 5 ივნისს აჭარის ცაქმა დაამტკიცა ქობულეთის სამაზრო აღმასკომის გადაწყვეტილება ცალკეული სააგარაკო უპნებისა და შენობების საკურორტო სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

ამავე წელს მოხდა იმ დაწესებულებათა ძირეული რეორგანიზაცია, რომლებიც საკურორტო საქმეს განაგებდნენ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის პირველი აპრილის დეკრეტით, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა კურორტთა მთავარი სამმართველო და დაიწყო მოაგარაკეთა რეგისტრაცია.

1924 წელს აჭარის ზღვის სანაპირო კურორტებზე ისვენებდა 1.233 მოაგარაკე, აქედან მახინჯაურში — 395 კაცი, მწვანე კონცხზე — 200, ბარცხანაში — 50, ციხისძირზე — 350 და ქობულეთში — 238.

1925 წელს შემუშავდა აჭარაში საკურორტო მშენებლობის უკიდურეს ღონისძიებათა ერცელი გეგმა, განსაკუთრებული უზრადღება დაეთმო ქობულეთს, სადაც უნდა იგებულიყო შენობები სანატორიუმებისა და სხვა საკურორტო მნიშვნელობის ობიექტებისათვის.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდა აგრეთვე კურორტების ტე-
 რიტორიის კეთილმოწყობისა და ფიზიკური მეთოდებით სამკურ-
 ნალო დაწესებულებების ორგანიზაციის მიზნით.

1925 წელს აჭარის კურორტებზე მუშაობდა ერთი 50-საწო-
 ლიანი სანატორიუმი, საღაც მკურნალობა თვეებაზევარ-ორ თვეს.
 გრძელდებოდა. აქ ძირითადად ათავსებდნენ იმ ავადმყოფებს,
 რომელთაც დაავადებული ჰქონდათ ფილტვები, სასუნთქი გზები,
 ნერკველი სისტემა და სისხლძარღვები. აქვე წარმოებდა ავად-
 მყოფთა მშულატორიული მკურნალობა. სანატორიუმს სულ ორი
 ექიმი და ორი ფერშალი ემსახურებოდა. იმ ხანებში აჭარაში მუშა-
 ობდა აგრეთვე ჩესპუბლიკის პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლი,
 ქ. ბათუმის აღმასკომის ბავშვთა სახლი (ქობულეთში), ზღვის თბილი
 აბაზანები (ბათუმში), შრომის განყოფილების დასასვენებელი სახლი
 და აჭარის ჯანსახურმის ბავშვთა სახლი (მწვანე კონცხე).

მომდევნო წლებში თანდათან გაფართოვდა როგორც კურორ-
 ტების, ისე სამკურნალო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელი.

1929 წელს აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისა-
 რიატთან შეიქმნა ფიზიოთერაპიული ინსტიტუტი, რომელიც 1934
 წელს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტად გადა-
 კეთდა. ამავე წელს გაიხსნა უქსპერიმენტული ფიზიოლოგიის და
 კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები.

როგორც მოვიხსენიეთ, აჭარაში საკურორტო მშენებლობა
 არსებითად 1925 წლიდან დაიწყო, მაგრამ ამ საქმეში ძირეული
 გარდატეხა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის
 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ მოხდა.

1931 წლიდან ქობულეთში დაიწყო ორი სასტუმროს მშენებ-
 ლობა (90 ოთახით). ავადმყოფ დამსვენებელთა უკეთ მომსახურების
 მიზნით მოეწყო კურზალი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო; აიგო
 ელექტროსადგური, კაბიტალურად შეკეთდა სანატორიუმის შენობა
 და სააგარაკო სახლები; საექსპლოატაციოდ გადაეცა ზღვის თბილი
 აბაზანები; მახინჯაურში გაიხსნა სასტუმრო. კურორტთა სამმართ-
 ველოს გადაეცა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუ-
 ტი და სხვ. მიუხედავად ამისა, აჭარის კურორტები ჭერ კიდე სუ-
 სტად გამოიყურებოდნენ კეთილმოწყობის, ავადმყოფ-დამსვენებე-
 ლთა კლინიკური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ-

1932 წლისათვის აჭარაში უკვე მუშაობდა 8 სანატორიუმია და დასასვენებელი სახლი 885 საწოლით; გატარდა 4.770 კაცი.

1933 წლის დეკემბერში ქ. ბათუმში გაიმართა აჭარის კურორტოლოგთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც სამეცნიერო კვლევით მოპოვებული მასალების საფუძველზე დაასკვნა, რომ აჭარის კურორტებმა კლიმატური სამკურნალო თვისებებით ერთ-ერთი საუკეთესო აღგილი უნდა დაიჭიროს საბჭოთა კავშირის კურორტებს შორის. კონფერენციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი შემდგომი სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად.

სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გაფართოების მიზნით 1934 წლის 15 ოქტომბერს აჭარის ცაქმა დაადგინა, რომ აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე სააგარაკო სახლები, რომლებიც სხვადასხვა ვადით სარგებლობაში ჰქონდათ ცალკეულ უწყებებს, გადასცემოდა აჭარის საქურორტო სამმართველოს მოქმედი სანატორიუმების გასაფართოებლად და დასასვენებელი სახლების მოსაწყობად.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ზღვის თბილი და გოგირდოვანი აბაზანების კეთილმოწყობას ბათუმშა და მახინჯაურში.

ქ. ბათუმის ზღვის თბილი აბაზანების შენობა 1892 წელს იიგო. ავადმყოფთა გამტარიანობაზე ზუსტი ცნობები 1925 წლამდე არ არსებობს; ის წინათ წელიწადში 2.000-4.000 ავადმყოფს თუ გაატარებდა.

ამ უკანასკნელ წლებში აბაზანების შენობა კაპიტალურად შეცემითა. დაიღგა ახალი საქვაბე და სათბობი მოწყობილობანი, მუშაობენ ინჟინერული კაბინეტები, გაიყვანეს ახალი წყალსაქაჩი; აბაზანების რიცხვი 30-მდე გაიზარდა, რამაც უზრუნველყო ავადმყოფთა მეტი გამტარიანობა. თუ 1953 წელს აბაზანები წელიწადში 29.000 ავადმყოფს ატარებდა, ამჟამად 70 ათასამდე ავადმყოფს შეუძლია მოემსახუროს. 1959 წლიდან ბათუმის ზღვის თბილი აბაზანები მოელი წლის განმავლობაში მუშაობს.

საქმაოდ დიდი გამტარიანობა აქვს ქობულეთის ზღვის თბილ სააბაზანოს (აიგო 1930 წელს), სადაც 1958 წელს 17.600 ავადმყოფი გატარდა. აქ მოწყობილია 20 აბაზანა (მუშაობს ივნისიდან ნოემბრამდე).

აღვილობრივ მოსახლეობას და



ემსახურება აგრეთვე მახინჯაურის გოგირდოვანი აბაზანები (გოგირდოვანი 1904 წ.). იგი კერ აქაციური დოკუმენტის მოსახლეობის მოთხოვნილებას, რის გამოც მისმა მფლობელმა ვინმე პანცერმა 1911 წლიდან დაიწყო ახლო-მახლო ტერიტორიის გეოლოგიური გამოკვლევა ახალი წყაროების აღმოჩენის მიზნით, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

მახინჯაურის გოგირდოვანი წყაროს პიდროგეოლოგიური გამოკვლევები გაფართოვდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რის შედეგადაც სადღელამისო დებიტი გაიზარდა 12.000 ლიტრამდე. რეკონსტრუირებულ იქნა სააზანო შენობაც. ახლა აქ 10 აბაზანა მუშაობს.

მახინჯაურში პიდროგეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა. საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ჯერ 1934 წელს, შემდეგ — 1952 წელს. აქ ამჟამადაც მიმდინარეობს ღრმა საძიებო სამუშაოები ახალი წყაროების აღმოსაჩენად. ახლა მახინჯაურის გოგირდწყალბადიანი წყაროს სადღელამისო დებიტი 24.000 ლიტრს შეაღენს. აბაზანები დღეში 100-120 ავადმყოფს ატარებს. თუ ავადმყოფთა გამტარიანობა 1953 წელს 1.300 კაცს უდრიდა, 1957 წელს მან 2.053 მიაღწია, შესაბამისად გაიზარდა მიღებული პროცედურებიც.

1936 წლისათვის აჭარის კურორტებზე ძირითადად მუშაობდა 4 სანატუროუმი, 11 დასასვენებელი სახლი, 2 პანსიონატი, ბათუმისა და ქობულეთის ზღვის თბილი აბაზანები და მახინჯაურის გოგირდწყალბადის აბაზანები, ქობულეთის საკურორტო პოლიკლინიკა, ტურისტთა ბაზა, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის სტაციონარი, აგრეთვე ბავშვთა სეზონური გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი.

1940 წელს აჭარის ზღვისპირა კურორტებზე უკვე 17 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი იყო 1.223 საწოლით; სულ გატარდა 15.854 დამსვენებელი და ავადმყოფი.

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები გადაეცა სამხედრო ნაწილებს ჰოსპიტალების მოსაწყობად. ომის დამთავრების შემდეგ კი დაიწყო მათი აღდგენა და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

1948 წლიდან გაიშალა აჭარის ზღვის სანაპირო კურორტების შემდგომი კეთილმოწყობის სამუშაოები. მახინჯაურის ზღვის სანაპირო

განთავისუფლდა კერძო მოსახლეებისაგან და გაშენდა ზღვისპირა პარკი. აჭარის მინისტრთა საბჭომ კურორტთა სამმართველოს ციხისძირში გადასცა ორი კაპიტალური შენობა, რომლებშიც დედა-თა და ბავშვთა სანატორიუმი მოეწყო. ციხისძირისა და ქობულე-თის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ელექტროქსე-ლი ჩაირთო საქენეროს სისტემაში და უზრუნველყოფილ იქნა მუდმივი ელექტროენერგიით. ზღვის სანაპიროს გასწვრივ — ქო-ბულეთში, მახინჯაურსა და ციხისძირში აშენდა „ცენტროსოიუზის“ სამშენებლო მასალათა საკავშირო სამინისტროს და უსინათლოთა საზოგადოების დასასვენებელი სახლები.

აჭარის ზღვის სანაპიროზე კურორტების გაშენების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სანაპირო ზოლის დაჭაობებული ად-გილების ამოშრობას, მალარიის ამ საუკუნოვანი კერების გაფან-სალებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჭაობების ამოშრობა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა სახელ-მწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა. პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაჭაობებული ადგილები, განსაკუთრებით ბათუმის გარეუბნებში, ამოშრობილ იქნა და ქალაქის ეს ნაწილი კეთილმოწყობილ კუთხედ გადაიქცა. ტროპიკული სნეულებებით, მათ შორის მალარიით დაავადება წლი-თიწლობით კლებულობდა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლე-ბის გამარჯვების 30 წლისთავზე — 1951 წლისათვის ისე შე-მცირდა, რომ უკვე აღარ იყო საჭირო ტროპიკულ სნეუ-ლებათა სტაციონარი, ხოლო 1954 წლისათვის მალარია, როგორც მასობრივი დაავადება, ლიკვიდირებულ იქნა; სამალარიო სადგუ-რი, რომელიც ჯერ კიდევ 1913 წელს გაიხსნა ქ. ბათუმში და ერთადერთი იყო რუსეთის იმპერიაში, დაიხურა.

აჭარაში მალარიის ლიკვიდაციამ ზღვის - სანაპირო ზოლის საკურორტო მნიშვნელობა მეტად გაზარდა. გატარებულ ღონისძიე-ბასთან ერთად აჭარა მოიფინა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და-წესებულებათა ქსელით და უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო კადრებით.

1955 წელს აჭარას შეემატა ერთი მაღალმთიანი საკურორტი

ადგილი — ცისკარი (მთა-მტირალაზე), რომელიც კარგახანია და რომელიც მოსახლეობის ფართო მასებისა და ექიმების ყურადღებას. მთა-მტირალაზე კურორტის გაშენების საკითხი არა ერთხელ დასვა, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ვერ გადაწყდა.

ახლა საკურორტო ადგილი ცისკარი სააგტომობილო გზით უკავშირდება ქ. ბათუმს. იქ ყოველწლიურად დასასვენებლად მიღიან აჭარის მშრომელები, განსაკუთრებით ქ. ბათუმის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები. აშენდა სააგარაკო სახლები, ამბულატორია, მოეწყო წყალგაყვანილობა და ელექტროგანათება. ზაფხულობით მუშაობენ სავაჭროები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, იხსნება პიონერთა ბანაკი. ცისკარი ადგილობრივი მნიშვნელობის საკურორტო ადგილია, რომელსაც მშრომელთა დასვენებისათვის უთუოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

მოსახლეობის სანატორულ-კურორტული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საქმეში პროფესიონალების როლის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 10 მარტის დადგენილებით სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა მოქმედი სანატორიუმი (გარდა ტუბერკულოზურისა), დასასვენებელი სახლი, საკურორტო-სამკურნალო დაწესებულება და საკურორტო პოლიკლინიკა, აგრეთვე პანსიონატები (გარდა ევპატორიის დედათა და ბავშვთა პანსიონატებისა, რომლებიც განკუთვნილია იმ ბავშვებისათვის, რომელთაც გადატანილი აქვთ პოლიომიელიტი), საკურორტო სასტუმროები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკური ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეკუთვნიან, მშენებარე სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები (გარდა ტუბერკულოზიანებისა) 1960 წლის 1 მაისის მდგომარეობით გადაეცა რესპუბლიკურ საბჭოებს.

ამ ღონისძიების გატარების შემდეგ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტერიტორიალურ კურორტთა სამმართველოს ეწოდა პროფესიონალური აჭარის ტერიტორიალური საკურორტო სამმართველო.

1960 წლისათვის აჭარის კურორტებზე მუშაობდა 8 სანატორიუმი და 19 დასასვენებელი სახლი (3.595 საწოლით), 3 ტურისტთა ბაზა (750 საწოლით) და სამი პანსიონატი (125 საწოლით).

აჭარაში დასვენების კერების ზრდა ცალკაული წლების მი-
ხედვით შემდეგ სურათს იძლევა.

წლები	დასვენების კერების რაოდენობა	საწოლთა რაოდენობა
1925	4	ცნობები არ არის
1940	17	1223
1947	21	1711
1955	21	2880
1960	33	4470

უნდა აღინიშნოს, რომ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უმეტესი ნაწილი მუშაობს სეზონურად, მაშინ, როცა აჭარის შავი ზღვის სანაპირო კლიმატი ყოველგვარ შესაძლებლობას ქმნის, რათა რესპუბლიკის დასვენების კერებმა, აგრეთვე ზღვის თბილმა აბაზანებმა იმუშაონ მთელი წლის განმავლობაში, მით უმეტეს, რომ ზამთრის პერიოდში ზღვაში ბანაობა შეწყვეტილია. ამ ღონისძიებათა გატარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავადყოფა-დამსვენებელთა მომსახურების ხარისხი, საშუალება მოგვეცემა ვუმკურნალოთ და მოვემსახუროთ მეტ დამსვენებელს.

მოქალაქეთა დასვენებისა და ჯანმრთელობის საქმეს ემსახურება აგრეთვე ტურისტული ბაზები. როგორც ცნობილია აჭარა თავისი ტოპოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივი სიმდიდრით თავიდანვე იქცევდა ტურისტებისა და სხვა მოგზაურთა ყურადღებას, ამის მიუხედავად, ჩვენს რესპუბლიკაში ზრუნვა ტურისტული ბაზების შესაქმნელად მხოლოდ 1930 წლიდან დაიწყო, როცა აჭარის საექსკურსიო-ტურისტულ საბჭოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ გადასცა კორეიცის სააგარაკო სახლი (მწვანე კონცხზე) პროლეტარული ტურისტული ბაზისათვის.

როგორც მოხსენებული იყო, აჭარას ყველა პირობა გააჩნია ტურიზმის ფართოდ განვითარებისათვის. შავი ზღვა, ზღვისპირა კურორტები, მთები, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების ჩაისა და ციტრუსების მარადმწვანე პლანტაციები, მთიანი აჭარის ოვალ-წარმტაცი სოფლები და ქედები, ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში შემორჩენილი ისტორიული ძეგლები, ქ. ბათუმი თავისი ღირსშესანიშნაობებით და მდიდარი ოროგრაფიული მასალა, ფლო-

რისა და ფაუნის მრავალფეროვნება, ყოველთვის მოიზიდავს აქტურისტებს.

ახლა აჭარაში მოწყობილია 3 ტურისტული ბაზა, რომლებსაც შეუძლიათ ყოველდღიურად 800-900-მდე ტურისტს მოემსახუროს.

რესპუბლიკაში მყრი საფუძველია აგრეთვე სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის.

აჭარის კურორტებისა და საკურორტო აღგილების სამკურნალო ფაზორისათვის

კლიმატური პირობები და მიკროკლიმატური მაჩვენებლები

აჭარის კლიმატის ფორმირების უმთავრესი ფაქტორია შავი ზღვა. ამ კუთხის კლიმატი მეტად მრავალფეროვანია როგორც ზონალური, ისე მიკროკლიმატური თვალსაზრისით. ამას ერთი მხრივ განაპირობებს რთული რელიეფი (ფერდობთა ექსპოზიცია), ადგილის სიმაღლე ზ. დ. და მცენარეული საფარი.

აჭარა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად ჩრდილოეთიდან დაცულია კავკასიონის ქედით, აღმოსავლეთიდან — სურამისა და აჭარა-თრიალეთის ქედებით, რომლებიც არღვევენ ჰაერის მასების პირველდაწყებით ტრაექტორიებს და განსაზღვრავენ მათ მიმართულებას. უმთავრესი გზები, საიდანაც აჭარაში ჰაერის მასების შემოჭრა ხდება, არის დასავლეთი და აღმოსავლეთი. დასავლეთიდან ჰაერის მასები შემოდიან შავი ზღვის გამოვლით და თბილი, ნოტიო ჰაერის სახით გვევლინებიან; აღმოსავლეთით კონტინენტური ჰაერის მასები გაღმოლახავენ რა სურამისა და აჭარა-თრიალეთის ქედებს, შემოიჭრებიან შშრალი ჰაერის სახით, რომელსაც ხშირად თან სდევს ფიონური ქარები.

ზღვისთან სიახლოვის, რთული რელიეფისა და სხვა ბუნებრივი ფაქტორების გამო აჭარა შეიძლება რამდენიმე კლიმატურ ზონად დაიყოს.

ჩვენ შევეცდებით თანმიმდევრობით განვიხილოთ ეს ზონები.

ნოტიო კლიმატური ზონა თბილი ზამთრითა
დაცხელი ზაფხულით. ეს ზონა უშუალოდ ეკვრის შავი ზღვის აჭარის სანაპიროს და ზღვის დონიდან 200-300 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება გორაკ-ბორცვიან ზოლში, რომელიც დაფარულია მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეულობით. ამ ზონის კლიმატის ფორმირებაზე უშუალო გავლენას ახდენს შავი ზღვა და რელიეფის დასავლეთი ექსპოზიცია. ზღვის სიახლოვე აპირობებს

აკარის ასარ

ପ୍ରାଚୀନତାକୁ ରହିବା



ପ୍ରକାଶକ ପାଠ୍ୟବିଷେଷ ତଥା ବିଦ୍ୟା
ମୁଦ୍ରଣକଲ୍ପନା ଏବଂ ପାଠ୍ୟବିଷେଷ ପାଠ୍ୟବିଷେଷ
ପ୍ରକାଶକ ପାଠ୍ୟବିଷେଷ ମୁଦ୍ରଣକଲ୍ପନା ଏବଂ ପାଠ୍ୟବିଷେଷ
ମୁଦ୍ରଣକଲ୍ପନା ଏବଂ ପାଠ୍ୟବିଷେଷ

ජ්‍යෙෂ්ඨ පොදු සහ අධ්‍යාපන ත්‍රිත්වය
සැලැස්සුම් වෛද්‍ය මාධ්‍ය සංග්‍රහය

ଶିଳ୍ପିମାନ ଏକାଦଶ ରାଜୀବନାଥ ପଟ୍ଟନାୟକ
ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ ଓ ପାତ୍ରପଦଧରୀ
ଏହାର ପ୍ରକାଶକ

କେବଳରୁହି ତେବେନ୍ଦିନ ଏବେବାନ୍ଦି
ପରିବାର କେବଳରୁହି
ଏବେବାନ୍ଦି -
ଶେଷରୁହି କେବଳରୁହି

ମାତ୍ରାବଳୀ



აგრეთვე ტემპერატურის მცარე ამპლიტუდას. ტემპერატურის
დღელამური სხვაობა $+6-10^{\circ}$ არ აღემატება, ხოლო წლიური
 $+15-16^{\circ}$, რაც მეტად დადგებითად მოქმედებს აღამიანის ჯანმრთე-
ლობაზე; როგორც ცნობილია, ტემპერატურის დიდი ცვალებადობა
— მაღალი დღელამური ამპლიტუდა — მავნე გავლენას ახდენს
ორგანიზმებს. ასევე უარყოფითად მოქმედებს სიცივეც. იგი ამწეა-
ვებს სასუნთქი გზებისა და სხვა ორგანოების ზოგიერთ დაავადე-
ბას; რაც შეეხება დიდ სიცხეს, ისიც ვნებს ორგანიზმს მთელი რი-
გი დაავადებების დროს.

აჭარის ნოტიო კლიმატური ზონის საშუალო წლიური ტემპე-
რატურა უდრის $+14,4^{\circ}$, ყველაზე ცივი თვის ინციდენტისა $+6,4^{\circ}$, ხოლო
ზველაზე ცხელი თვის აგვისტოსი $+23,2^{\circ}$. ამ ზონის ტემპერატურუ-
ლი რეჟიმი ძლიერ უახლოვდება ხმელთაშუა ზღვის კვეყნების —
შუა იტალიისა და ჩრდილო ესპანეთისას. მათ შორის მხოლოდ ის
განსხვავებაა, რომ ზოგჯერ ჩვენში აბსოლუტური მინიმუმი შედა-
რებით დაბალია.

ანიშნული ზონის კურორტები — ბათუმი, მახინაჯური,
მწვანე კონცხი, ციხისძირი და ქობულეთი, მიუხედავად იმისა, რომ
ერთმანეთისაგან მცირე მანძილით არიან დაშორებული, ნაწილობ-
რივ მაინც განსხვავდებიან რელიეფით, მცენარეული საფარველითა
და აქედან გამომდინარე, მიკროკლიმატური პირობებით, რაც განსა-
ზღვრავს ამ აღგილების საკურორტო მნიშვნელობას.

აჭარის სანაპიროზე ზამთრის პერიოდში რამდენიმე ყინვიანი
დღე იცის, აბსოლუტური მინიმუმები არ აღემატება: ქობულეთ-
ში -12° , ჩაქვში -11° , მწვანე კონცხზე -9° , მახინაჯურსა და ბა-
თუმში -8° . უყინვო დღეთა რიცხვი საშუალოდ შეადგენს: ბათუმ-
ში 304, ქობულეთში -263 ; პირველი ყინვის აღრეული ვადაა 24
ნოემბერი, გვიანი — თებერვალი, საშუალო კი — 1 იანვარი; უკა-
ნასკნელი ყინვის საშუალო ვადაა ბათუმში 2 მარტი, ქობულეთში
— 17 მარტი.

წლის გარდამავალ პერიოდში — გაზაფხულ-შემოდგომაზე —
ქობულეთში, ზონის სხვა პუნქტებთან შედარებით, დაბალი ტემპე-
რატურაა, რაც მისი მდებარეობით იისნება. ქობულეთს ვერ უდგე-
ბა აღმოსავლეთის ქარები და არ ხდება ატმოსფეროს მიწისპირა
ცენტების ტურბალენტური აღრევა, ხოლო ალაგალაგ ჭაობია-
ნი ზედაპირი ხელს უწყობს წყნარ და ნათელ ღამეებში დიდი რაო-
დენობით რადიაციულ გამოსხივებას, რის გამოც სითბო იქარგება

ატმოსფეროში. დღის საათებში ტემპერატურა ზღვის სანაპიროზე
დაშორებასთან ერთად (გარკვეულ მანძილზე) მატულობს. მაგალი-
თად, ქობულეთში ზღვის ნაპირიდან 1 კმ-ის დაშორებით 13 საათ-
ზე ტემპერატურა მატულობს საშუალოდ ერთი გრადუსით, ცალკე-
ულ შემთხვევაში კი $+2,5^{\circ}$ -მდე. ტემპერატურის ამგარი სხვაო-
ბა ღრუბლიან და წვიმიან ამინდში არ აღინიშნება; ღამის
და დილის საათებში კი, პირიქით, სანაპიროზე ტემპერატურა უფრო
მაღალია, ვიდრე მისგან დაშორებით ხმელეთის სიღრმეში. აქვე უნდა
აღინიშნოს, რომ ქობულეთის ჩრდილოეთ მხარეს საცხოვრებელი
სახლებითა და ბაღებით შექმნილი კედელი უარყოფითად მოქმე-
დებს ჰაერის ცირკულაციაზე, რაც ერთგვარ გავლენას ახდენს მთელი
რაიონის სითბურ რეეგიმზე. აღნიშნული მდგომარეობა გათვალის-
წინებული უნდა იქნეს კურორტის შემდგომი გაფართოების დროს.

ტემპერატურასთან ერთად ადამიანის ორმორეგულიაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჰაერის ტენიანობას. ჭარბი ტენიანობა აძნელებს ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემას. მაღალი ტემპერატურის დროს სითბოს რეგულაციისათვის შეფარდებითი სინოტივე მნიშვნელოვანი კომპონენტია ეფექტური ტემპერატურის განსაზღვრისას. აბსოლუტური და შეფარდებითი ტენიანობა ზღვის სანაპირო ზონაში დიდია, მაგრამ ის უარყოფითად არ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე ბრიზების ცირკულაციის გამზ.

ჰაერის ტენიანობაზე, ისე როგორც სხვა მეტეოროლოგიურ
ელემენტებზე, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ზონის გეოგრა-
ფიული მდებარეობა. ტენიანობის ზრდას აქ, როგორც ზემოთ აღ-
ნიშნეთ, ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ზღვის სიახლოვე და მთებით
შემოფარგლულობა, მეორე მხრივ, დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაე-
რის მასები, რომლებიც შავ ზღვაზე გადმოსვლისას ტენიანდება
ტენი ზამთრობით კლებულობს, ხოლო ზაფხულობით მატულობს,
რაც გამოწვეულია ზამთარში ფინნისებური (მშრალი) ქარების მო-
ქმედებით.

ამ ზონაში ტენით ყველაზე დეფიციტური თვე იანვარია. ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა შეაღენს: ბათუმში — 73-82%, ჩაქვში — 70-82%, ქობულეთში — 68-80%, ფოთში — 68-79%, სუხუმში — 65-77%. აღნიშნული მონაცემები აღებულია 13 და 21 საათებში. ღამის 1 საათზე შეფარდებითი ტენიანობა უფრო მატულობს; მაგალითად, ქობულეთში 85% აღწევს.

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ქობულეთის სანაპიროზე, ღლე-ღმეში მცირედ მერყეობს: ღლისით 65-70% უდრის, ღამით — 79-89%.

ორგანიზმის თეომორეგულაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ქარი, იგი აძლიერებს სითბოს გაცემას, რაც ტემპერატურასთან და ქარის ინტენსივობასთან დაკავშირებით შეიძლება სასამოვნო ან ზოგჯერ არასასიმოვნო იყოს. ორგანიზმზე ჰაერის ზემოქმედების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ქარის მიმართულებას და ხასიათს. მაგალითად, ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გეროლავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მშრალი ქარები დაბლა სწევენ ბარომეტრულ წნევას და უარყოფითად მოქმედებენ ტუბერკულოზით, ნევროზით და გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებით შეპყრობილებზე.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლში ძირითადად ორი მიმართულების ქარებია გაბატონებული: სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის; წლის განმავლობაში სჭარბობს სამხრეთ-დასავლეთის ქარები.

აჭარაში საკმაოდ გავრცელებულია ფიონები. მათი მოქმედება ხშირია ზამთარში და გაზაფხულზე, ზაფხულობით კი კლებულობს. ზღვის სანაპიროზე მთელი წლის განმავლობაში იდგილი აქვს ე. წ-ბრიზულ ატმოსფერულ ცირკულაციას, რომელიც მკვეთრადაა გამოხატული მაისიდან ოქტომბრამდე (განსაკუთრებით ქობულეთში). ეს გარემოება ხელს უწყობს ვენტილაციის გაძლიერებას და ტენიანობის დაქვეითებას. ბრიზები დღისით ზღვიდან ხმელეთისაკენ ქრიან, ღამით კი — პირიქით. სწორედ ამის შედეგია, რომ შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე, განსაკუთრებით ქობულეთში, ზაფხული, რაც უნდა ცხელი იყოს, შედარებით იოლი ასატანია, ვიდრე სოხუმში, გაგრაში და შავი ზღვის სხვა კურორტებზე.

აჭარაში საერთოდ ძლიერი ქარები იშვიათად იცის, იგი მხოლოდ წლის დროთა გარდამავალ პერიოდებში მოვარდება ხოლმე, და უმეტესად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებისაა. ძლიერი ქარები დაკავშირებულია ცივი ფრინტის შემოჭრასთან, ზოგჯერ მისი სიჩქარე 20-24 მეტრს აღწევს წამში. აღმოსავლეთის ძლიერი ქარები აქ იშვიათია, დამახასიათებელია მხოლოდ ჭოროხის ხეობისათვის, კერძოდ, კახაბრის დაბლობისათვის გაზაფხულ-შემოდგომაზე. წყნარი ღლები ბათუმში მეტია, ვიდრე სოხუმში და სოჭში, ქარის საშუალო ძალა კი — ორჯერ ნაკლები.

ქარის სიჩქარე ბათუმის სანაპიროზე საშუალოდ 1,9 მეტრია,

წამში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით ქობულეთში, მზის მცხვნვარების პროპორციულად მატულობს ბრიზების მოქმედება, რაც ასუსტებს მზის რადიაციას. ძლიერქარიანი დღეები ბათუმსა და ქობულეთში უმეტესად თვებერვალ-მარტში იცის.

ზაფხულობით აჭარის სანაპირო ზოლში უპირატესად ქრის სამხრეთ-დასავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები, რომლებიც გამოიჩინევიან სიმშრალითა და მაღალი ტემპერატურით, რაც ხელს უწყობს აღამიანის ჯანმრთელობას იმით, რომ ამცირებს ატმოსფეროს ზედმეტ ტენიანობას.

აჭარა, როგორც ცნობილია, ნალექებით მდიდარი მხარეა. საერთოდ აქ უხვი ნალექი იცის ზამთარში და შემოდგომაზე, განსაკუთრებით სექტემბერში. სანაპირო ზოლში თვიურად საშუალოდ 300 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის, ხოლო მაქსიმალური ჯამი 703 მმ აღწევს. ნალექებით ძლიერ ღარიბია გაზაფხული, კერძოდ მაისი (საშუალო — 33 მმ, მინიმალური — 5 მმ).

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა ქ. ბათუმში 2418 მმ-ია, მასინჯაურში — 2504 მმ, მწვანე კონკეზე — 2699 მმ, ჩაქვში — 2427 მმ, ციხისძირზე — 2709 მმ, ქობულეთში — 2315 მმ, ფოთში — 1630 მმ, სოხუმში — 1460 მმ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნალექების ასეთი სიუცხვე დიდ უარყოფით მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან აჭარის ზღვის სანაპიროზე სულ რამდენიმე საათში იმდენი ნალექი შეიძლება მოვიდეს, რამდენსაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში თვეები დასჭირდებოდა. კოისპირული წვიმები ხელს უწყობს პატივის გასუფთავებას. სწორედ ამით უნდა იცნებოს, რომ ბათუმში მტვერი არ იცის და ქალაქის ქუჩებს ხელოვნური მორწყვა თითქმის არ სჭირდება.

ქ. ბათუმში სექტემბერში ნალექების აბსოლუტური მაქსიმუმი დღე-ღამეში 261 მმ შეადგენს. ნალექები ტერიტორიულად არათანაბრად ნაწილდება. ყველაზე მეტი ნალექი იცის სანაპიროზე (ჩაქვი, მწვანე კონკეზი, ციხისძირი). ზღვისპირა ზოლში ნალექები თოველის სახითაც შედის, მაგრამ დაბლობ რაიონებში მეტად არამდგრადია. მისი ხანგრძლიობა ზამთრის პერიოდში ბათუმში 13 დღეა, ქობულეთში — 10; თოველის საბურველი საკმაოდ ღრმაა; სანაპირო რაიონებში ზოგჯერ დღე-ღამეში ერთ მეტრზე მეტ თოვლს დადებს.

მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო ზოლში ბევრი ნალექი მოდის და ხშირია ღრუბლიანობა, მზიანი დღეები მაინც საკმარისია.

მაგალითად, ბათუმში ისეთ წევმიან თვეებიაც კი, როგორიცაა 1890 წელში, მზის ნათების ხანგრძლიობა 190 საათს შეადგენს. სანაპირო ზოლში შედარებით მზიანია მწვანე კონცხი, სადაც მზის ნათება წლიურად 1930 საათს უდრის. მზის სხივოსნობის ხანგრძლიობა მეტია ივლისში (231 საათი), ნაკლები — კი იანვარში (84 საათი). ბათუმში წელიწადში 88 უმზეო დღე იცის (ყველაზე მეტი იანვარში — 12 დღე). ღრუბლიან ამინდთა უმეტესობა თებერვალ-მარტ-აპრილზე მოდის.

მზის ნათების ხანგრძლიობა დამოკიდებულია ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რელიეფსა და ლრუბლიანობაზე, რადიაციის ინტენსიობა კი — ჰორიზონტიდან მზის სიმაღლეზე. რაც უფრო ახლოა მზე ჰორიზონტთან, მით უფრო მეტი ინფრაჭითელ სხივებს შეიცავს, ხოლო ღარიბია ულტრაიისფერი სხივებით. ამიტომ შუადღისას, როცა მზე ზენიტის მახლობლადაა, რადიაციის ინტენსივობა 20-ჯერ მეტია, ვიდრე საღამოთი.

მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში ბათუმში უდრის 1890 საათს, ქობულეთში — 2100 საათს; ნისლიან დღეთა რაოდენობა კი — ბათუმში 20 დღეს, მწვანე კონცხზე — 14, ჩაქვში — 6, ბობოყვათში — 13, ხოლო ქობულეთში — 7 დღეს.

წელიწადში ნისლის საშუალო ხანგრძლიობა ბათუმში 36 საათს არ აღემატება, ხოლო ჩაქვში 28 საათს.

რაც შეეხება ატმოსფერული წნევის მერყეობას, იგი უფრო ხშირია ქარების დროს და მკვეთრ რეაქციას იწვევს ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და სასუნთქორგანოებზე.

მზე, ჰაერი და სხვა კლიმატური ფაქტორები ძლიერ და მრავალმხრივ გავლენას ახდენენ როგორც ჯანმრთელი, ისე ავაღმყოფი ადამიანის ორგანიზმზე. მათი მოქმედება ზოგჯერ დადგებითია, ხან კიდევ უარყოფითი; ერთი მხრივ, ეს დამოკიდებულია კლიმატზე, მეორე მხრივ, ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ თავისებურებაზე, მის რეაქციებზე. კლიმატური ფაქტორების მოქმედებისას ორგანიზმის რეაქციას განსაზღვრავს ინდივიდუალური თავისებურებანი. რაც შეეხება ბიო-ფიზიოლოგიური რეაქციის ხასიათს, ის ყველა ორგანიზმისათვის ერთნაირია.

ზემოხსნებული ფაქტორების თერაპიულ ეფექტს განაპირობებს ადამიანის ორგანიზმზე კლიმატური ელემენტების კომპლექსური მოქმედება, რაც აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს

მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისას. ამიტომ კლიმატოტერაპიის დროს საჭიროა ავადმყოფისაღმი ინდივიდუალური მიღება.

აჭარის კურორტებიდან კლიმატურ-სამკურნალო ფაქტორების თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ზღვის სანაპირო კურორტები, ამიტომ მიზანშეწონილია მოკლედ გავეცნოთ შავი ზღვის აჭარის სანაპიროს ჰიდროლოგიურ და ზოგად ფიზიკურ-ქიმიურ მონაცემებს.

შავი ზღვის აჭარის სანაპიროს დაბლობ ნაწილს 2-7 კმ განიავს, იგი გრძელდება 35 კმ-ზე სამხრეთ-დასავლეთიდან (გონიოდან) ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით (მდ. ჩოლოქამდე).

აჭარის ტერიტორიაზე შავ ზღვას ერთვიან მდინარეები — ჭოროხი, მეჯინისწყალი, ბარცხანისწყალი, ყოროლისწყალი, ჩაქვისწყალი, კინტრიში, ჩოლოქი და სხვ. ამათგან ყველაზე დიდია მდ. ჭოროხი, რომლის შესართავი ბათუმიდან 7 კმ-ზე მდებარეობს. ჭოროხს ყოველწლიურად დიდალი ნაშალი მასალა ჩამოქვს, განსაკუთრებით გაზაფხულის წყალდიდობისა და შემოდგომის უხვი წვიმების პერიოდში.

როგორც სხვა ზღვების, ისე შავი ზღვის დინებასაც ძირითადად წრისებური ხასიათი აქვს. იგი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. ქარების გავლენით, წყლის სიმკვრივისა და სხვა ფაქტორების მოქმედებით, შავ ზღვაში გვხვდება საწინააღმდეგო მდინარეებაც. შავი ზღვისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ის, რომ 150-200 მ სიღრმიდან იწყება ე. წ. „მკვდარი ფენა“, რომელიც ფსკერამდე აღწევს.

შავ ზღვას, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მას მდინარეები ერთვიან, საშუალოდ 17-18%, ზოგან კი 22-22,5% მარილიანობა აქვს.

ზღვის წყალი ტუტე რეაქციისაა. ის შეიცავს CO_2 , უმთავრესად ქიმიური ნაერთის, კარბონატებისა და ბიკარბონატების სახით, ნაწილი კი გახსნილია.

ზღვის წყლის მარილების 4/5 ქლორიანი ნატრიუმია, ხოლო 1/5 სხვა მარილები. შავ ზღვაში საგრძნობი რაოდენობითაა აგრეთვე იოდისა და ბრომის მარილები, რომელთაც ზღვის წყლით მკურნალობაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ზღვის წყალში გახსნილია ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც მას სპეციფიკურ სუნს აძლევს.

მარილების სახეობაზე დამოკიდებულია აგრეთვე ზღვის ჭყალის გემო. რაც უფრო მეტია გოგირდმჟავა მაგნიუმი ($MgSO_4$) და გოგირდმჟავა კალციუმი ($CaSO_4$), წყალი უფრო მწარეა (მწყლარტე) როგორც, მაგალითად, კასპიის ზღვაში; მწყლარტე გემო აქვს შავი ზღვის წყალსაც.

შავი ზღვის წყლის ხედრითი წონა 1,014 გრამს უდრის.

ზღვის ტემპერატურა საერთოდ უფრო ნაკლებ ცვალებაღია, ვიდრე მდინარის ან ტბისა, რაც ზღვის წყლის მაღალი ხედრითი წონითა და მოცულობით აიხსნება.

ზღვის წყალი ხმელეთთან შედარებით უფრო თბობადია. ის უფრო გვიან ცივდება, ვიდრე ხმელეთი, ამიტომ ერთსა და იმავე განედზე ზღვის ზედაპირი ზაფხულობით უფრო გრილია, ვიდრე ხმელეთისა, ხოლო ზამთარში — პირიქით. დღისით ზღვის წყლის ტემპერატურა ხმელეთისაზე უფრო დაბალია, ღამით კი — მაღალი. საერთოდ, ზღვის ტემპერატურა ნაკლებ მკვეთრად იცვლება. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ პირობებში ზღვის წყლით მკურნალობისათვის.

შავი ზღვა ზომიერ სარტყელში მდებარეობს; კარკაღ თბება მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც აჭარის ზღვისპირა საკურორტო ზონას უჭირავს. აქ წყლის ტემპერატურა $+9\text{--}10^{\circ}$ -ზე ჭვევით არ ჩამოდის (იანვარ-თებერვალი), ზაფხულის თვეებში კი ზღვის ზედა ფენა $+30^{\circ}$ -მდე თბება.

აჭარის სანაპიროზე ზღვის ზედა ფენის საშუალო ტემპერატურა თვეების მიხედვით ასე ნაწილდება. იანვარში $+10^{\circ}$, თებერვალ-მარტში $+9^{\circ}$, აპრილში $+11^{\circ}$, მაისში $+21^{\circ}$, ივნისში $+24^{\circ}$, აგვისტოში $+26^{\circ}$, სექტემბერში $+24^{\circ}$, ოქტომბერში $+20^{\circ}$, ნოემბერში $+17^{\circ}$, დეკემბერში $+13^{\circ}$.

აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზღვის წყლის მაქსიმალური ტემპერატურა $+30^{\circ}$ -ს აღწევს, ხოლო მინიმალური შეიძლება $+5^{\circ}$ -მდე დავიდეს.

ლია ზღვაში ტემპერატურის მერყეობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სანაპიროზე.

თუ ზღვაში ბანაობისათვის ნორმალურად მივიჩნევთ $17\text{--}18^{\circ}$ -მდე გამთბარ წყალს, მაშინ ბანაობის დაწყების სეზონად ყირიმისა და კავკასიის სანაპიროზე (ყველა კურორტისათვის) უნდა ჩაითვალოს ივნისი. ბანაობა შეიძლება გაგრძელდეს კავკასიის სანაპირო კურორტებზე ოქტომბრის ბოლომდე, ხოლო ყირიმის ნახევარკუნძულზე

— იალტასა და სუდაკში — შეა მქონებრამდე. რაც ზემო
ხება აჭარის შავი ზღვის სანაპიროებს, აქ ბანაობის სეზონი მაისიდან
იწყება და ნოემბრის ბოლომდე გრძელდება. როგორც სხვაგან,
ისე აქაც ზამთარში წყლის ზედაპირის ტემპერატურა გაცილებით
მაღალია, ვიდრე ჰაერისა, ზაფხულში კი — პირიქით; სხვაობა მათ
შორის 8-10° აღწევს. ჰაერისა და წყლის ტემპერატურის ასეთი
შერწყმა მეტად დადებითად მოქმედებს ორგანიზმებს.

ზღვას და ზღვის სანაპირო კლიმატს დიდი მნიშვნელობა აქვს
აღაშიანის ჯანმრთელობისათვის, რადგან ზღვის ზედაპირის ატმოს-
ფერო მდიდარია ორგანიზმისათვის მეტად საჭირო ოზონით. ზოვი-
ერთი ავტორის აზრით (კესე), ოზონი მატერიკზე ორჯერ ნაკლებია,
ვიდრე ზღვაზე ან უშუალოდ სანაპიროს გასწვრივ. ამას ხელს
უწყობს ის გარემოება, რომ დედამიწა დამუხტულია უარყოფითი
ელექტროობით და განმუხტვის დროს წარმოიშობა ოზონი. ოზონის
რაოდენობა დამოკიდებულია აგრეთვე მზის სხივების მოქ-
მედებაზე, ქარზე, წყლის აორთქლებაზე და სხვ. ზოგიერთი მეცნი-
ერი ფიქრობს, რომ ზღვის ზედაპირის ჰაერი, მატერიკის ჰაერთან
შედარებით, დიდი რაოდენობით შეიცავს აგრეთვე თავისუფალ
წყალბადს.

ჩვეულებრივ, ატმოსფეროში გაბნეულია ორგანული და არა-
ორგანული მტვერი (ბაქტერიები, სპორები და სხვ.); ზღვის ჰაერში
კი მტვერი საერთოდ არ არის. იგი ნაწილობრივ შეიძლება იყოს
მხოლოდ სანაპირო ზოლში (ზღვასა და ხმელეთს შორის ჰაერის
ცირკულაციის გამო).

ზღვის ღელვის დროს ატმოსფეროში იჭრება ე.წ. „ზღვის
მტვერი“. რომელიც წყლის აორთქლების შემდეგ წარმოქმნის
რა მარილის უმცირეს ნაწილაკებს, იფანტება ჰაერში, ამიტომ
ზღვისპირას ყოფნისას პირში გვხვდება ეს ნაწილაკები და ვგრძნობთ
მარილის გემოს; ჰაერში მარილების არსებობა კი ხელს უწყობს
ამოხველებას.

წყლის ორთქლი ჰერში მეტია თბილ და ნოტიო ამინდში,
ყინვების დროს კი ძალზე კლებულობს. ორთქლი საერთოდ ჰაერზე
მსუბუქია, ამიტომ ზღვის ზედაპირის ჰაერი, რომელიც მეტ ორთქლს
შეიცავს, გაცილებით მსუბუქია, ვიდრე ხმელეთის ჰაერი.

მზის სხივების ინტენსივობა უფრო ძლიერია ზღვაზე, ვიდრე
ხმელეთზე, რაც იმით აისნება, რომ ანარეკლი სხივები ბევრად
სჭარბობს ზღვაზე და პლაუზე.

ამრიგად, ზღვის კლიმატის თავისებურებას შეადგენს ოზონითა და წყალბადით მდიდარი ჰაერი, ჭარბი სინოტივე და მაღალი ბარომეტრული წნევა, ჰაერის სისტემატური მოძრაობა ზღვასა და ხმელეთს შორის (ბრიზები). მზის რადიაციის ხანგრძლიობა, ტემპერატურის თანაბარობა და ნაკლები ცვალებადობა, მზის ინტენსიური არეკვლა და მეტი ულტრაიისფერი სხივები, ჰაერში მარილების უწერილესი ნაწილაკების აჩვენობა, ატმოსფეროს იონიზაცია და ფირონციდები — ყველაფერი ეს განაპირობებს ზღვის კლიმატის მოქმედებას აღამიანის ორგანიზმზე.

ზღვის სანაპიროზე შედარებით დიდი ბარომეტრული წნევის გამო ადამიანის ორგანიზმში სისხლი პერიფერიიდან შინაგანი ორგანოებისაკენ ისტრავის. სანაპიროს ჰაერში გაფანტული მარილები — კალციუმის, მაგნიუმის, იოდის, ბრომის და სხვა აძლიერებს ფილტვის ქსოვილის ფიბროპლასტიკურ მოქმედებას. მარილების ეს ულტრამიკროსკოპული ნაწილაკები ლაგდება სასუნთქი გზების ლორწოვან გარსებზე და აადვილებს ამოხველებითს პროცესებს, რასაც თერაპიული მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ზღვის სანაპირო ზოლი შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ ინპალატორად.

ამრიგად, ზღვის კლიმატი აძლიერებს და აცხოველებს სასუნთქი ორგანოების ფუნქციას, ამაგრებს კანსა და ლორწოვან გარსებს, კუნთოვან და ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და სხვ.

ზღვისა და ზღვის კლიმატის გამოყენებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ზღვის წყალს, როგორც სამკურნალო ფაქტორს.

ზღვაში ბანაობა, როგორც სამკურნალო საშუალება, გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე ზღვის თბილი აბაზანების მიღება.

ზღვაში ბანაობის თერაპიული და ფიზიოლოგიური მოქმედება განუყოფელია ზღვის კლიმატის მოქმედებისაგან და ძნელია იმის თქმა, თუ რომელ მათგანს ეძლევა უპირატესობა მკურნალობისათვის. ზღვის კლიმატის დადებითი გავლენა იმ პირებზე, რომლებიც ზღვაში არ ბანაობენ, იმის მაჩვენებელია, რომ ზღვის კლიმატი თავისთავად არის ძლიერი ბიოლოგიური სამკურნალო ფაქტორი.

ბანაობის დროს ზღვის წყლის ტემპერატურა და მასში გასხინილი მარილები განაპირობებენ ორგანიზმზე თერმულ და ქიმიურ მოქმედებას. მათ შორის მთავარი გამლიზიანებელია ტემპერატურა. ზღვის წყლის განუწყვეტელი მოძრაობის გამო მობანავის ორგა-

ნიზმს ხვდება წყლის ახალ-ახალი ტალღები, ე. ი. ორგანიზმი ცურულ კუსობის უკველ მომენტში ტოვებს წყლის იმ მასას, რომელსაც მან სითბო გადასცა. მოცურავე ორგანიზმები ზღვის წყლის ახალი ფენების განუწყვეტელი დაწოლა წარმოშობს განსაზღვრულ მექანიკურ მოქმედებას. ზღვის წყალი დელვის დროს აწარმოებს სხეულის ისეთ მასას, რომელიც ყველა სახის ხელოვნურ მასაზე ძლიერია. წყლის დაწოლის ძალა დამოკიდებულია ზღვის ტალღების სიმძლავრეზე (დიდი დელვის დროს შეიძლება 1 კვ. ფუტზე 1700-2500 კგ დაწოლა იყოს). ნაპირზე მოდენილი და უკან დაბრუნებული ტალღა, როგორც ორი საწინააღმდეგო დინება, საგრძნობლად აღიდებს ზღვის წყლის მექანიკურ მოქმედებას.

ზღვაში ბანაობის დროს სითბური და მექანიკური გალიზიანების შედეგად ვიწროვდება სხეულის კუნთების ბოჭკოები და პერიფერიული სისხლძარღვები. სისხლი მიედინება შინაგანი ორგანებისაკენ და წნევა მატულობს; სასუნთქი ცენტრის გაღიზიანების შედეგად დიაფრაგმის სპაზის გამო სუნთქვა დროდადრო (ხანძოკლედ) ღრმავდება და წყდება კიდეც, ცოორის ნერვის გალიზიანების შედეგად კი გულის კუმშვადობა ხანგრძლივდება. ყოველივე ეს გამოწვეულია პერიფერიულ ნერვულ დაბოლოებათა გალიზიანებით. იგი მთელ ნერვულ სისტემას გადასცემს იმპულსებს, რომლებიც აღწევს ფსიქიკურ სფეროს და აღაზნებს მას. ამას მოყვება შეერულება, კანის გაფითრება, ჩონჩხის კუნთების შეკუმშვა და დაკარგული სითბოს ანაზღაურება, რის გამოც ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა. ცურვის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ იწყება ორგანიზმის აქტიური გათბობა. პერიფერიული სისხლძარღვები ფართოვდება, სისხლი მიედინება პერიფერიისაკენ, კანი წითლდება, სისხლის წნევა ეცემა, მაჯისცემა ხშირდება, ხოლო თუ ცურვა გახანგრძლივდა, მეორდება პირველი პერიოდი, რომელსაც შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს.

ზღვაში ბანაობის დროს ორგანიზმის ტემპერატურა დაბლა იწევს, ხოლო ბანაობიდან ერთი საათის შემდეგ კვლავ ნორმას უბრუნდება.

ზღვაში ბანაობა ხელს უწყობს საჭმლის მონელების რეგულაციას, თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს კუჭის აშლილობასაც.

ცურვის პერიოდში, ტემპერატურის დაწევის გამო, ორგანიზმი ეჩვევა სიცივისა და სითბოს რეგულაციას.

ზღვაში ბანაობა აუმჯობესებს აგრეთვე კანის სუნთქვის ფუნქციას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის. გარდა ამისა, ზღვის წყალი, რომელიც საკმაოდ მარილიანია, წარმოადგენს ერთგვარ ელქტროლიტს (ორგანიზმთან მისი კონტაქტის დროს წარმოიქმნება ელქტროდენი და ხდება იონების გაცვლა).

ამრიგად, ზღვაში ბანაობა აძლიერებს კანის ფუნქციას, აუმჯობესებს საჭმლის მონელების და სისხლის მიმოქცევის ორგანოების მოქმედებას, ადიდებს ნივთიერებათა და გაზთა ცვლას, ამაგრებს ნერვულ სისტემას და, საერთოდ, აწროობს ორგანიზმს.

ზღვაში ბანაობის საუცხოო პირობებია აჭარის სანაპიროზე: განსაკუთრებით კარგი პლაჟები აქვთ ბათუმშა და ქობულეთს; მახინჯაურის, მწვანე კონცხისა და ციხისძირის პლაჟები შედარებით მოკლე და ვიწროა, მაგრამ ზღვით სარგებლობას ეს ხელს არ უშლის.

პლაჟი ბათუმთან კენჭოვანია, ხოლო ქობულეთში ქვიშიან-ქენჭოვანი. ამ პლაჟების ფასდაუდებელი სიმღიდრეა მწვანე ნარგავთა ზოლი, რომელიც უწყვეტლივ გასდევს მას მთელ სიგრძეზე. მშვენიერი პლაჟი და მწვანე ნარგავთა ხეივნები წარმოადგენს მძლავრ ფაქტორს იმ ჯგუფის ავადმყოფთა მკურნალობისათვის, რომლებიც ვერ იტანენ მზის უშუალო ხანგრძლივ მოქმედებას და ანარექლი სხივების რაღიაცის საჭიროებენ. საერთოდ, ბათუმისა და ქობულეთის პლაჟები თავიანთი სიღილითა და მდებარეობით საშუალებას იძლევიან გადავაქციოთ ისინი დიდ საკურორტო და სამკურნალო კომპინატად გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებით დაავადებულთათვის, სხვადასხვა ორგანოების ტუბერკულოზით (გარდა ფილტვების ტუბერკულოზისა) და სასუნთქი გზების არატუბერკულოზური ავადმყოფებისათვის, აგრეთვე სხვა სენიორ შეპყრობილთათვის.

იმ პირებს, რომელთაც ცივ წყალში ბანაობა აკრძალული აქვთ, შეუძლიათ ისარგებლონ ბათუმში, ქობულეთში, აგრეთვე სანატორიუმებთან მოწყობილი ზღვის წყლის თბილი აბაზანებით.

როგორც ცნობილია, ზღვის წყლით მკურნალობას ექვემდებარება გულ-სისხლძარღვთა დაავადების კომპენსირებული ფორმები. ასეთი ავადმყოფებისათვის ზღვაში ბანაობა დასაშვებია მხოლოდ

ზაფხულის თვეებში (ივნისის მეორე ნახევრიდან სექტემბრამდე), ხოლო სხვა დროს მათ შეუძლიათ ისარგებლონ ზღვის თბილი აბაზანებით.

ზღვის თბილი აბაზანებით მკურნალობენ აგრეთვე სახსრების (არამწვავე ფორმებს) და ხერხემლის ზოგიერთ (არატუბერკულოზური ხასიათის) დავალებას, პერიფერიული ნერვული სისტემის ფუნქციურ მოშლილობას, ჰიპერტონიის პირველ სტადიას, ქრონიკული ხასიათის გინეკოლოგიურ სინულებებსა და სხვ.

ზღვის თბილი აბაზანების ერთი კურსისათვის საჭიროა 20-30 პროცეცურა, თითოეულის ხანგრძლიობა 15-20 წუთი უნდა იყოს. აბაზანების მიღებას უმეტეს შემთხვევაში კარგი შედეგი მოსდევს.

ზღვის თბილი აბაზანები კლიმატურ ფაქტორებთან კომპლექსში ერთ-ერთი საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა მთელ რიგ დავალებათა დროს.

გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულებზე აჭარის ზღვის სანაპიროს კურორტების კეთილმოქმედ გავლენას მკაფიოდ გვიჩვენებს სანატორიუმებში — „აჭარასა“ და „ქობულეთში“ გატარებულ ავალმყოფთა მკურნალობის შედეგები:

მწვანე კონცხის სანატორიუმ „აჭარაში“ გატარებული
ავალმყოფები

ცხრილი № 1

წლები	1954 წ.	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.
გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებით შეპყრობილობა					
ბილი	527	475	347	470	317
მდგომარეობა					
გაუუმჯობესდა	526	470	347	470	292
გაეწერა უცვლელ					
მდგომარეობაში	1	5	—	—	25

ქ. ქობულეთის კლინიკურ სანატორიუმ „ქობულეთში“
გატარებული ავადმყოფები

ცხრილი № 2

წლები	1954 წ.	1955 წ.	1956 წ.	1957 წ.	1958 წ.
გულსისხლძარღვთა სისტემის სნეუ- ლებით შეპყ-					
რობილი	515	748	467	798	871
მდგომარეობა					
გაუუმჯობესდა	489	705	362	742	757
გაეწერა უცვლელ					
მდგომარეობაში	26	43	105	56	114

აჭარის სანაპიროზე განლაგებულ სხვა კურორტებთან შედარებით, მიკროკლიმატური თავისებურებების გამო, გარკვეული უპირატესობა აქვს ქობულეთს. კარგი პირობებია აქ ბალ-სახსრის, ლი-ტფური ჭირკვლებისა და სხვა ორგანოთა (გარდა ფილტვებისა) ტუბერკულოზის მკურნალობისათვის.

ი. კონიაშვილისა და ლ. ჭუთათელაძის დაკვირვებით, ქობულეთში ჩამოსულ ავადმყოფებს პირველი კვირიდანვე აღენიშნებოდათ გაუმჯობესება, როგორც სუბიექტურად, ისე კლინიკურად.

ი. გიგინეიშვილის და სხვათა დაკვირვებით, ასევე კარგი შედეგებია მიღებული ბრონქიალური ასთმით დაავადებულ პირთა მკურნალობისას. ქობულეთში გარკვეული პერიოდით ყოფნის შემდეგ ბრონქიალური ასთმით დაავადებულთ უმცირდებათ ქოშინი, ამოხველება თავისუფალი აქვთ, ძილი შშვიდი და საერთოდ, უკეთ გრძნობენ თავს, თუმცა ეს საკითხი ამ ბოლო დროს გადასინჯვას მოითხოვს.

როგორც მაღალმთიან, ისე ზღვისპირა კურორტებზე, ერთერთი საუკეთესო სამკურნალო ფაქტორია ლანდშაფტი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობილებაზე.

თვალწარმტაცი ბუნებრივი ლანდშაფტები აქვთ ბათუმს, გონიოს, მახინჯაურს, მწვანე კონცხს, ციხისძირსა და ქობულეთს. აქ სულ მცირე მანძილზე ვხვდებით ბუნების ახალ-ახალ ნაირსახეობას. მაგალითად, გონიოს ზღვის სანაპირო ხასიათდება სუფთა, ლამაზი

პლაჟით, ბაღნარებითა და ისტორიული ძეგლებით; სხვა სურპრეს ვხვდებით გონიოდან 7-8 კილომეტრის დაშორებით, ქ. ბათუმის სანაპიროზე, რომელიც ახალ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი გრძელი, ფართო პლაჟით, ზღვისპირა პარკით და სხვა ლირს-შესანიშნაობებით. ბათუმიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით — მახინჯაური გამოირჩევა მდიდარი პეიზაჟით, მახინჯაურიდან სულ რაღაც ერთნახევარი კილომეტრის დაშორებით — მწვანე კონცხზე კი მეტად მრავალფეროვანი მცენარეულობა გვაქვს. ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ბუნების სილამაზით ჩაქვი, ციხისძირი და ქობულეთი.

როგორც ცნობილია, ლანდშაფტი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ავადმყოფობის მიმდინარეობა.

საქართველოში ნერვული სნეულებით შეპყრობილი ავადმყოფები შედარებით ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი სანატორიული მკურნალობით, რადგან მათვების არ არის მოწყობილი სათანადო სანატორიუმები.

ნერვულ ავადმყოფთა ერთი ჯგუფისათვის, დაავადების ხასიათის მიხედვით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამთო კლიმატური მკურნალობა, ხოლო მეორე ჯგუფისათვის — ზღვის სანაპირო კლიმატი.

ნერვული სნეულებით შეპყრობილთა მკურნალობაში ერთ-ერთი წამყვანია ესთეტიკური მომენტი და მყუდროება. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია ქობულეთის სანაპირო ზოლში, საღაც ფართოდ გადაჭიმული პლაჟი შესაძლებლობას ქმნის ცალკეული სახის ავადმყოფების მყუდრო იზოლაციისათვის.

იმის მიუხედავად, რომ აჭარის ზღვისპირა კურორტებზე არ არის გახსნილი სპეციალური სანატორიუმები ნერვული ავადმყოფებისათვის, აქ მაინც საგრძნობი რაოდენობით ჩამოდიან სამკურნალოდ ნევრასთენითა და სხვადასხვა ნევროზით შეპყრობილები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ონიშნული კატეგორიის იმ ავადმყოფებს, რომლებიც ამბულატორიულად მკურნალობენ, მარტო ორ სანატორიუმში — „აჭარაში“ (მწვანე კონცხი) და „ქობულეთში“ 1958 წელს გატარდა ნევროზითა და ნერვული სისტემის ფუნქციური მოშლილობით დაავადებული 1907 ავადმყოფი. ამათგან დიდ უმეტესობას მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაეტყო. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ აჭარის ზღვის სანაპირო თავისი

კლიმატური პირობებითა და ლანდშაფტით გამაჯანსაღებლად შრქ-
 მედებს ნერეულ ავადმყოფებზე, რაც უსათუოდ გათვალისწინებუ-
 ლი უნდა იქნეს მომავალში საკურორტო მშენებლობის დროს; გა-
 მოცდილებამ გვიჩვენა, რომ აჭარის საკურორტო ფაქტორების
 კომპლექსი კარგ გავლენას ახდენს რეკონვალესცენტრებზე, გადალ-
 ლილებზე, ანგმითა და რაჭით დავადებულებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ნათლად განვსა-
 ზოვროთ აჭარის ზღვის სანაპირო კურორტების პროფილი, კერძოდ
 კი ქობულეთისა, რომელიც გამოიჩინა თავისი მდიდარი ბუნებ-
 რივი სამკურნალო ფაქტორებით — ულამაზესი ლანდშაფტით,
 რბილი, სუბტროპიკული ჰავით და მზის უხვი რადიაციით. გარდა
 ამისა, აქ დამსვენებელს შეუძლია ისარგებლოს ზღვის თბილი და
 ნახშირმეული აბაზანებით, ელექტროსისტური თერაპიით და სხვ. სა-
 ერთოდ, აჭარის ზღვისპირა კურორტებზე დამსვენებელთა და ავად-
 მყოფთა სრულყოფილი მომსახურებისათვის სხვა ღონისძიებათა
 გატარებასთან ერთად საჭიროა ყველგან მოეწყოს ზღვის თბილი
 აბაზანები, ფიზიოთერაპიული, საინჰალაციო და სხვა კაბინეტები;
 უნდა გაქეთდეს აგრეთვე აეროსოლოარიუმები და სამედიცინო ვლა-
 უები; დამსვენებელთა და ავადმყოფთა მკურნალობა, ცხადია, კომ-
 პლექსურად უნდა წარიმართოს.

აჭარის შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე საერთოდ და გან-
 საკუთრებით კი ქობულეთში ყველაზე მძლავრ სამკურნალო ფაქ-
 ტორს კლიმატურ-ბალნეოლოგიური ფაქტორი წარმოადგენს.

აჭარის სანაპირო კურორტები თავიანთი კლიმატითა და სხვა
 ბუნებრივი მონაცემებით ქმნიან ბავშვთა სხვადასხვა დაავადების
 მკურნალობისა და გაჯანსაღების ყველა პირობას. ეს უფრო მეტად
 თქმის ქობულეთზე, რომელიც შეიძლება შევადაროთ ზღვის სანა-
 პიროს ისეთ კურორტებს როგორიცაა ევპატიონია, ანაპა, გელენჯიკი
 და სხვა.

ტენიანი კლიმატური ზონაზოგრად ცივი ზა-
 მთარითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.
 ამ ზონის ქვემო საზღვარი მდებარეობს ზღვის ღონიდან 500 მეტრ-
 ზე, ხოლო ზემო საზღვარი მერყეობს ზ. დ. 900-1000 მეტრს შორის.
 აღნიშნულ კლიმატურ ზონაში არსებული ფერდობები დაფარულია
 ტყეებით, ბალ-ვენახებითა და სიმინდის ყანებით. ტყეებში სჭარ-
 ბობს შეერი, თხილი და ქვეტყის სხვა მცენარეები; ზოგან გვხვდება
 გაუვალი ლიანებიც.

ამ ზონის კლიმატი გაპირობებულია ერთი მხრივ, შავი ზღვის მოქმედებით, ხოლო მეორე მხრივ, რთული და დანაწევრებული რელიეფით, ფერდობთა თავისებური ექსპოზიციით. აქ საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +13 (ქედა) -11 (ხულო) გრადუსის ფარგლებში: ყველაზე ცივი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის ქედაში +2,9°, ხულოში +0,8°; ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს ქედაში +21,5°, ხულოში +19,2°; ამ ზონაში ზოგჯერ (წყნარ დღეებში) ძლიერი სიცხე იცის (38°-40°), განსაკუთრებით შუახევში, სადაც არც ისე იშვიათად შუადღისას ტემპერატურა +45 გრადუსს აღწევს; აქ აბსოლუტური მინიმუმი ეცემა —14 გრადუსამდე. პირველ ზონასთან შედარებით, ამ ზონაში ზღვის გავლენა შედარებით შესუსტებულია; ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა უდრის 19-20 გრადუსს.

აღნიშნულ ზონაში ძლიერი ქარები არ იცის. ძირითადად მოქმედებენ მთა-ხეობათ ქარები, რომლებიც მოძრაობენ: დღისით — ქვემოდან ზემოთ, ხოლო ღამით — ზემოდან ქვემოთ. ღღისით ხეობის ქარს სიგრილე მოაქვს, ხოლო ღამით, ხეობაში ღაშვებისას, აღიაბატური პროცესის შედეგად — სითბო. ძლიერი დასავლეთის ქარები აქამდე ვერ აღწევს, თუ იშვიათად მაინც შემოიჭრება, მეტად შესუსტებულია, მისი მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება 13-16 მ წამში. შედარებით ძლიერია აღმოსავლეთის ქარების მოქმედება. ეს ქარები, გადმოლახვენ რა არსიანის ქედს, აჭარისწყლის ხეობაში ეშვებიან ფიონების სახით. ფიონები კი დღე-ღამურ ტემპერატურას მაღლა სწევენ +6-10 გრადუსით, ზოგჯერ უფრო მეტადაც; მაგალითად, წყნარ ამინდში ღამით თუ ქობულეთში ტემპერატურა 0+2 გრადუსია, ქედასა და ხულოში +7-8 გრადუსს აღწევს. ასე ხდება განსაკუთრებით წლის გარდამავალ პერიოდში — გაზაფხულ-შემოდგომაზე.

ნალექები აქ, პირველ ზონასთან შედარებით, მეტად არათანაბრად ნაწილდება; მაგალითად, ზღვასთან ახლო მდებარე ქედების ფერდობებზე წლიურად საშუალო 2000-2500 მმ ნალექი მოდის, ხოლო აჭარისწყლის ხეობაში გაცილებით ნაკლები: ქედაში 1300 მმ, შუახევში — 1020 მმ, ხულოში — 1180 მმ (შუახევში შედარებით ნაკლები ნალექები გაპირობებულია მისი მდებარეობით).

აჭარისწყლის ხეობაში დასავლეთიდან შემოჭრილი ნოტიო პარების მასები ქმნიან დაღმავალ დინებას, რომლის შედეგად ვითარდება აღიაბატური პროცესი, გადაირეკებიან ღრუბლები და ამის

პროპორციულად მცირდება ნალექები, შემდეგ კი რელიეფური თავისებურებების გამო, ხულოს მიმართულებით იქმნება ღრუბლების აღმავალი დინება და ნალექებიც მატულობს.

ზამთრობით ნალექები მოდის თოვლის სახით (50 — 200 სმ სილრმისა) და ნოემბრის შუა რიცხვებიდან აპრილის ბოლომდე დევს.

ტენიანობა აქ პირველ ზონასთან შედარებით ნაკლებია, იგი 60-70% ფარგლებში მერყეობს. ტენით ყველაზე ღარიბია გაზაფხული, განსაკუთრებით აპრილ-მაისი, ამ დროს ფიონები აქტიურად მოქმედებენ და სინოტივე ხშირად 25-15%-მდე ეცემა.

რაც შეეხება მზის რადიაციას, მისი ხანგრძლიობა აქ უფრო მეტია, ვიდრე ზღვის სანაპირო ზოლში (წლიურად 1928 საათი).

კლიმატური ზონა ცივი ტენიანი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით. ეს ზონა მდებარეობს არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობებზე და ზღვის დონიდან 1000-1600 მეტრამდე აღწევს; იგი დაფარულია ტყეებით, მის დაბალ ნაწილში გვევდება ხეხილის ბალები და სიმინდის ყანები, ზოგან რელიეფი მეტად დანაწევრებულია ლრმა ხეობებით. აქ უფრო მეტადაა გამოხატული კონტინენტური კლიმატი, ვინემ აჭარისწყლის ხეობის შიგა ნაწილში. ზაფხულის ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +13°, ხოლო ყველაზე ცივი თვის — იანვრისა მინუს 20°.

ამ კლიმატურ ზონაში მდებარეობს საკურორტო ადგილი ცისკარი, რომლის გაშლილი პანორამა, ანკარა წყაროები, მთისა და ზღვის შერწყმული ჰავა ქმნიან ისეთ კლიმატურ კომპლექსს, რომელიც ზაფხულში ქალაქიდან ამოსულ დამსვენებლებზე გამაჯანსაღებლად მოქმედებს.

კლიმატური ზონა ცივი ნოტიო ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი გრილი ზაფხულით. ამ ზონას უჭირავს შავშეთის, არსიანისა და აჭარა-გურიის ქედის მაღალი ფერდობები ზღვის დონიდან 1600-2100 მეტრის ფარგლებში. რელიეფი წინა ზონასთან შედარებით ნაკლებ დანაწევრებულია და ზოგან მომრგვალებულ გორაკ-ბორცვებს მოიცავს. ზონის დიდი ნაწილი (ჩ. დ. 1800-1900 მეტრის სიმაღლეზე), დაფარულია წიწვიანი ტყეებით, სუბალპური მცენარეულობით, ხოლო უფრო მაღალი ფერდობები და მთის თხემოვანი ნაწილები — ალპური მდელოებით. ამ კლიმატურ ზონა-

შია აჭარის საიალალო მეურნეობა. ზაფხულობით დაბლობი რაიონებიდან აქ მრავალი დამსვენებელი ამოდის. გრილი ზაფხული, ვრცელი სუბალპური და ოლპური მდელოები, ანკარა წყაროები დასვენების მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიან.

ზონის საშუალო წლიური ტემპერატურა (ბათმარის მონაცემებით) $+3,7$ გრადუსია (ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს $+13,3^{\circ}$, ყველაზე ცივი თვის — იანვრისა მინუს $5,5^{\circ}$). ზაფხულში (ივლის-აგვისტოში) ტემპერატურის მაქსიმუმი $+30^{\circ}$ აღწევს.

აქ წლიური ნალექების საშუალო ჯამი 1400 მმ-ს შეადგენს. ნალექებით ყველაზე ღრაიბია აპრილი და მაისი. ზამთრობით თოვლის სილრე 2 მეტრზე მეტს აღწევს. მისი საფარველი ვლინდება 18 ოქტომბერს, ქრება 17 მაისს.

აღნიშნულ ზონაში ტენიანობით ღარიბი პერიოდია გაზაფხული და შემოდგომა. შეფარდებითი სინოტივე მერყეობს 69-70 % -ის ფარგლებში. უფრო ჭარბტენიანია ივლისი და აგვისტო, თუმცა შეფარდებითი სინოტივე მაინც არ აღემატება 70-80 % -ს.

ამ კლიმატური ზონისათვის დამახასიათებელია ნისლიანი დღეებიც, მაგრამ აქ მდგრადი ნისლი არ იცის, დროის მცირე მონაკვეთში შეიძლება ნისლი რამდენჯერმე გაიფართოს და კვლავ მოწერდილი, კამკამა ამინდი დადგეს. აქ მზის ნათების ხანგრძლიობა მეტად დიდია და წლიურად საშუალოდ 2022 საათს შეადგენს. ყველაზე მზიანია ზაფხულის თვეები; მაგალითად, აგვისტოში მზის ნათების საშუალო ხანგრძლიობა 225 საათს უდრის. მზის რადიაცია დიდია და მზისაგან მიღებული სითბო 1 კვ სმ პერპენდიკულარულ ზედაპირზე წლიურად 152 კილო კალორიას შეადგენს, ხოლო ჰორიზონტალურ ზედაპირზე — 88 კილო კალორიას. აქ ჰაერი გამჭვირვალეა, ნაკლებად შეიცავს წყლის ორთქლსა და მტვერს, ამიტომ მზის სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი ულტრაიისტერი სხივების სახით გვევლინება, რაც მეტად გამაჯანსაღებელ გავლენას ახდენს აღმამიანის ორგანიზმზე. ამ ზონის იალაღებიდან, საღაც დიდალი ხალხი ამოდის დასასვენებლად, ალსანიშნავია დიდაჭარის მთა, ჯანჯღნარი, ზოტიყელი, გორანასოფლარი, კალოთას მთა, ვერნების მთა, ჯინალი, მაწყვალთის მთა, დარჩიძეების მთა, შუა იაილა, გორა, ღარათი, დიდი ვაკე, კოსლითავი, დიდნარი, სასაღილო ყელი, ტყე-მგვალა და გოდერძის უღელტეხილი.

ზომიერად ტენიანი კლიმატური ზონა ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით.

ეს ზონა იმავე სიმაღლეზე მდებარეობს, რომელზედაც ამის წინა ზონა (ზ. დ. 1600-2100 მეტრზე), მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ზომიერად ტენიან ზონას აქარაში მცირე ტერიტორია უჭირავს, იგი ვრცელდება მარტო არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც შედარებით სუსტია ზღვის გავლენა. აյ უშუალოდ მოქმედებენ კონტინენტური ჰაერის მასები, რომლებიც აღმოსავლეთიდან მოემართებიან. ზონის ჩრდილი ნაკლებად დანაწევრებულია. მის ქვემო ნაწილში გავრცელებულია ტყე, რომელიც თანდათანობით გადადის სუბალპურ და ალპურ მდელოებში. აქაც, ისევე როგორც წინა ზონაში, კარგადაა განვითარებული საიალალო მეურნეობა. ამ ზონაში მდებარეობს კურორტი ბეშუმი, სადაც გაბატონებულია მთის შრალი კლიმატი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაებას, სასუნთქი ორგანოებისა და გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის გაჯანსაღებას, ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას და, საერთოდ, სხეულის გამოწრობას.

თუ არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობზე — ცივი ნოტიო ზამთრისა და ხანმოკლე გრილი ზაფხულის კლიმატურ ზონაში — ადგილი აქვს ზღვის მეტ გავლენას, არსიანის აღმოსავლეთ ფერდობისათვის, სადაც კურორტი ბეშუმი მდებარეობს (1800 მ ზ. დ.), დამახასიათებელია შედარებით სიმშრალე. აქ დასავლეთის ჰაერის მასებიც კი გამომშრალი აღწევენ, ჩაღვან არსიანის ქედის გადალახვის შემდეგ დაბლა ეშვებიან და იწყება მათი აღიაბატური გათბობა-შრობა.

ზომიერად ცივი და კლიმატური ზონა ცივი ზამთრითა და ხანმოკლე ზაფხულითა ეს ზონა მოიცავს უმთავრესად არსიანის, შავშეთისა და აქარა-გურიის ქედების მაღალთხემოვან ნაწილს და შედარებით მცირე ტერიტორიაზე ვრცელდება. იგი იწყება ზ. დ. 2100 მ-ზე და კიდევ უფრო მაღლა მიიწევს; დაფარულია ალპური მდელოებით; თოვლი აქა-იქ აგვისტოშიაც გვხვდება.

ამ ზონაშიც განვითარებულია საიალალო მეურნეობა. იალაღებიდან აღსანიშნავია, რიყეთის მთა, სათოვლის წყალი, შავნაბადა, სარიჩაბრი, ხიხაძირის მთა, კობალთის მთა, კატრიანი, შედრეკილი და სხვ.

მინერალური ჭყლები

აჭარის კურორტებისა და საკურორტო ადგილების სამკურნალო ფაქტორებს შორის გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს მინერალურ წყლებს.

ამ მხრივ აჭარაში უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო მხოლოდ ზღვისპირა კურორტები. მაღალმთიანი საკურორტო ადგილები და მათ მინერალური წყლები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი და გამოყენებული.

აჭარა საერთოდ მდიდარია მინერალური წყლებით. მათ შესასწავლად საჭართველოს სსრ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 1932-1933 წლებში მოაწყო სპეციალური ექსპედიცია, რომელმაც გამოიკვლია ქვემო აჭარისა და ნაწილობრივ ხულოს რაიონი. ამავე ექსპედიციამ შეისწავლა აგრეთვე მახინჯაურის გოგირდოვანი წყლები.

1955 წელს საჭართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა აჭარის ასსრ მთელი ტერიტორიის კომპლექსური დაზვერვის მიზნით მოაწყო სპეციალური ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ექიმები, ბალნეოლოგები, კლიმატოლოგები, ჰიდროგეოლოგები, რადიოლოგები და ჰიდროქიმიკოსები.

დაზვერვამ ცხადყო, რომ აჭარა საქმაოდ მდიდარია მინერალური წყლების გამოსავლებით და საკურორტო კლიმატური ადგილებით. სულ შეისწავლეს 62 მინერალური წყაროს გამოსავალი.

ეს წყაროები ქიმიური შემადგენლობით მეტად მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ოლსანიშნავია ის, რომ აქ მოიპოვება ისეთი მინერალური წყლები, რომლებიც ბუნებაში საერთოდ იშვიათად გვხვდება. მაგალითად, დანისპარაულში (ხულოს რაიონი, გოდერის უღელტეხილის მახლობლად) ნახშირმჟავიანი მინერალური წყალი ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმ-მაგნიუმიანია. მისი საერთო მინერალიზაცია ერთ ლიტრზე 5,3 გრამს შეადგენს. ამ წყლის ქიმიური ფორმულა (კურლოვით) ასეთია: $\text{CO}_2 1 \cdot \text{OM} 5 \cdot 3 \frac{\text{HCO}_3 98}{\text{Mg} 42}$ მსგავსი მინერალური წყალი საჭართველოში მხოლოდ ურაველში მოიპოვება. იშვიათია კოკოტაურის ნახშირმჟავიანი წყლის ანალოგებიც.

კოკოტაურში ორი წყაროა ცნობილი — ზედა და ქვედა, რომლებიც ე. წ. აბანოს ღელის მარჯვენა მხარეზე მოედინებიან (ქედის-

რაიონული ცენტრიდან 19 კმ დაშორებით). ადგილობრივი მცხოვ-
რებლები მათ ძნელაძის წყაროს უწოდებენ.

მრავალი უმნიშვნელო გამოსავლების ფაუფს წარმოადგენს ზე-
და წყარო. მისგან მონაჟონი მინერალური წყალი გროვდება ორ
ერთიმეორის გვერდით მდებარე ორმოში. გამოსავალის ადგილზე
ჩანს ტუფოვენური ქვიშაქვები და პორფირიტული აღნაგობის ქა-
ნები. ორმოებში დაგროვილი წყლიდან პერიოდულად ამოდის აი-
რის (ნახშირორუანგის) ბუშტების ჭავლი. წყალი ცივია და სასია-
მოვნო გემო აქვს, ტემპერატურა $+10^{\circ}$, დებიტი დღე-ღამეში 2500
ლიტრს შეადგენს. მისი ქიმიური ფორმულაა (კურლოვით):

$H_2S 0,0012 \text{ M } 1.22 \frac{HCO_3}{Ca} 83 \frac{83}{63 IV 22}; \quad PH = 6,5$. ანალიზის შედეგად ერთ
ლიტრ წყალში ნახულია:

კათიონები

	გრამი	მილიგრამი- ექვივალენტი	მილიგრამი-ექ- ვივალენტი % %
ამონიუმი	0.0007	0.04	0.25
კალიუმი და			
ნატრიუმი	0.0826	3.59	22.35
მაგნიუმი	0.0283	2.33	14.51
კალციუმი	0.2020	10.10	62.89
ჯ ა მ ი		16.06	100.00

ანიონები

	გრამი	მილიგრამი- ექვივალენტი	მილიგრამი-ექ- ვივალენტი % %
ქლორი	0.0203	0.60	3.74
სულფატი	0.0988	2.06	12.83
ჰიდროსულ-			
ფატი	0.0002	0.01	0.06
ჰიდროკარ-			
ბონატი	0.8168	13.39	83.37
ჯ ა მ ი		16.06	100.00

საერთო მინერალიზაცია უდრის EM 1,2813. გარდა ამისა,
მასში მოლექულების სახით მოიპოვება სხვა ნივთიერებანი.

კოკოტაურის მეორე — ქვედა წყარო წარმოადგენს შედარებით თავმოყრილ გამოსავალს. ამ წყლის ბაზაზე მოქმედებს პრიმიტიული სააბაზანო. ქვემო წყაროს გამოსავლის პირობები ზემო წყაროს ანალოგიურია. ამ წყაროს მახლობლად მეტად დანარალებული ვულკანგენური ქანებია. მისი დებიტი დღე-დამეში 8700 ლიტრს შეადგენს, ტემპერატურა $+12,2^{\circ}$; წყარო სუფთაა, გამჭვირვალე და სასიამოვნო გემოსი; წყალში ჭარბად იგრძნობა ნახშირმჟავა გაზი. მისი ქიმიური ფორმულაა (კურლოვით): $M\ 2,8 \frac{HCO_3\ 76}{Ca\ 48} \cdot \frac{SO_4\ 23}{K\ 27} \cdot \frac{Mg\ 24}{Na\ 10}$; $PH=6,5$; ანალიზის შედეგად ერთ ლიტრ წყალში აღმოჩნდა:

კათონიგები

	გრამი	მილიგრამი-ექვივალენტი	მილიგრამი-ექვივალენტი % %
კალიუმი და			
ნატრიუმი	0.2284	9.93	27.39
მაგნიუმი	0.1066	8.88	24.49
კალციუმი	0.3460	17.30	4771
რკინა	0.0030	0.11	0.30
ალუმინი	0.0004	0.04	0.11
ჯამი		30.26	100.00

ანონიგები

	გრამი	მილიგრამი-ექვივალენტი	მილიგრამი-ექვივალენტი % %
ქლორი	0.0213	0.60	1.65
სულფატი	0.3967	8.26	22.78
ჰიდროკარბონატი	1.6714	27.40	75.57
ჯამი		36.26	100.00

გარდა ამისა, მასში გახსნილია სხვა ნივთიერებანიც. წყლის საერთო მინერალიზაცია 2,8 შეადგენს.

ალსანიშნავია, რომ ადრინდელი მონაცემებით, ამ წყაროს სადღელამისო დებიტი საგრძნობლად მეტი იყო (48000 ლიტრამდე). ქიმიური შემადგენლობით იგი ჰიდროკარბონატულ-მაგნიუმ-კალციუმიანია სულფატისა და ნატრიუმის ოდნავ გაზრდილი შემადგენ-

ლობით. ნახშირმჟავა გაზი 1 ლიტრზე 0,9-1,0 გრამის ფარგლებში მერყეობს.

კოკოტაურის მინერალური წყლები მოსახლეობაში დიდი პო-
პულარობით სარგებლობს. მას ფართოდ იყენებენ, როგორც დასა-
ლევად, ისე აბაზანებისათვის. სათანადო ჰიდროლოგიური საძიებო
სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ წყლის
როგორც ადგილზე სამკურნალოდ ფართო გამოყენება, ისე მისი სა-
მრეწველო ჩამოსხმა.

ნახშირმჟავიანი მინერალური წყლები აჭარაში მოიპოვება აგ-
რეთვე ხულოს რაიონში, მდ. სხალთის ხეობაში, ხიხაძირის მახლობ-
ლად.

სამკურნალო მნიშვნელობის წყლები გვხვდება აგრეთვე ქედის
რაიონის სოფ. ნამონასტრევში (მდ. მერისის ხეობა) და სხვაგან.

ნამონასტრევის წყარო გამოდის სოფ. ნამონასტრევის მახლობ-
ლად (ქედის რაიონი, მერისის სასოფლო საბჭო), მეტად წარმტაც
აღგილზე. მისი საღლელამისო დებიტია 50.000 ლიტრი. იგი ძლიერ
გაზიანია და მომჟავო გემო აქვს. წყაროს ტემპერატურა + 10-12°
აღწევს, მისი ქიმიური ფორმულაა კურლოვით: CO_2 0,7 M2,8.

SO_4 46 HCO_3 39 Cl 14

Ca 56 Mg 28

ნამონასტრევის წყალი ბალნეოლოგების სერიოზულ ყურად-
ღებას იმსახურებს. როგორც მისი ქიმიური შემადგენლობიდან ჩანს,
ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბაზანების სახითაც რევმატიზ-
მის, პოდაგრისა და სახსრების სხვა ქრონიკული დავადებების
დროს. ასევე ეფექტურია იგი შინაგანი ორგანოების მყურნალობი-
სას; კორგად მოქმედებს კუჭისა და ნაწლავების ქრონიკული კატა-
რისა და სხვა შემთხვევებში.

აჭარაში ფართოდაა გავრცელებული რკინიანი სულფატური
წყლები, განსაკუთრებით ქედა-მერისის მიდამოებში. აქ მინერა-
ლური წყლების მთელი უბანია. ჩვეულებრივ, ამ წყლებში რკინა
თერაპიულ დოზას არ აღემატება და, რაც მთავარია, იგი გოგირდო-
ვანი ზეჟანგითაა წარმოდგენილი, თანაც არ გამოიყოფა დანალექის
სახით. ეს კი წყლის ჩამოსხმის და შემდგომი ტრანსპორტირების
კარგ შესაძლებლობას ქმნის. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემად-
გენლობის რკინოვანი წყლები ჩვენში ნაკლებადაა. აღნიშნული
ტიპის წყაროების გამოსავალი მოიპოვება ბეშუმშიც.

აჭარაში არის აგრეთვე თბილისისა და გორიჯვრის ტიპის სულ-

ფიდური წყლები, როგორც თერმული, ისე ცივი (შუბანის, ტომელი შეთის და შუახევის მინერალური წყლები).

გოგირდწყალბადიანი წყაროები ძირითადად შავი ზღვის სანა-
პიროს მახლობლად — ბათუმისა და ქობულეთის რაიონებშია გავრ-
ცელებული (მახინჯაურის, ჩაქვის, შუალელის, ქვემოკეირიკეს და
ხუცუბნის მინერალური წყლები).

მახინჯაურის გოგირდწყალბადიანი წყაროს გამოსავალი ზღვი-
დან 1,5 კილომეტრით არის დაშორებული. აქ ორი წყაროა. პირვე-
ლი წყაროს ბაზაზე (დებიტი 24.000 ლიტრი დღე-ღამეში) მუშაობს
50-საწოლიანი პანსიონატი. ამ მინერალური წყლის ქიმიური ფორ-
მულა კურლოვით ასეთია: $M 0,26. \frac{Cl 49 HCO_3 39}{(Na+K) 83}$; ტემ-
პერატურა $+19^\circ$, ანალიზის შედეგად ერთი ლიტრ წყალში ნახუ-
ლია:

კათიონები

	გრამი	მილიგრამი-ექ- ვეგივალენტი	მილიგრამი-ექ- ვივალენტი % %
კალიუმი და			
ნატრიუმი	0.0589	2.56	82.85
მაგნიუმი	0.0022	0.18	5.83
კალციუმი	0.0070	0.35	11.32
ჯ ა მ ი		3.09	100.00

ანიონები

	გრამი	მილიგრამი-ექ- ვეგივალენტი	მილიგრამი-ექ- ვივალენტი % %
ჰლორი	0.0533	1.50	48.54
სულფატი	0.0189	0.39	12.62
ჰიდროსულ-			
ფატი	0.0001	—	—
ჰიდროკარ-			
ბონატი	0.0732	1.20	38.84
ჯ ა მ ი		3.09	100.00

მახინჯაურის მეორე მინერალური წყაროს მახლობლად მიმდი-
ნარეობს ღრმა ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოები, რომელ-

თა დამთავრების შემდეგ მოსალოდნელია წყლის სადღელამისადაც დუნება
ბიტი 400.000 ლიტრამდე გაიზარდოს და ტემპერატურამაც მოიმა-
ტოს. ამ მინერალური წყაროს ქიმიური ფორმულაა კურლოვით:

M0,16 $\frac{\text{HCO}_3 \text{ 69 Cl 17}}{(\text{Na} + \text{K}) \text{ 55 Ca 55}}$; ანალიზის შედეგად ერთი ლიტრ
წყალში ნაპოვნია:

კ ა თ ი თ ნ ე ბ ი

	გრამი	მილიგრამი-ექვივალენტი	მილიგრამი-ექ-ვივალენტი % %
კალიუმი და			
ნატრიუმი	0.0211	0.96	55.49
მაგნიუმი	0.0020	0.17	9.83
კალციუმი	0.0120	0.60	34.68
ჯ ა მ ი		1.73	100.00

ა ნ ი თ ნ ე ბ ი

	გრამი	მილიგრამი-ექვივალენტი	მილიგრამი-ექ-ვივალენტი % %
ჰლორი	0.0106	0.30	17.34
სულფატი	0.0107	0.22	12.72
ჰიდროსულ-ფატი	0.0002	0.01	0.58
ჰიდროკარ-ბონატი	0.0732	1.20	69.36
ჯ ა მ ი		1.73	100.00

მახინჯაურის მინერალურ წყლებს გარკვეული პერსპექტივა აქვს. ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების დამთავრების შემდეგ აქ შესაძლებელი იქნება გაშენდეს კეთილმოწყობილი სანატორიუმი და საგრძნობლად გაიზარდოს ავადმყოფთა გამტარიანობა.

გოგირდწყალბადიანი წყაროები გვხვდება აჭარის მაღალმთიან რაიონებშიც — ქედაში, შუახევსა და ხულოში (ბუღაურის, შუახევის, ტომაშეთის, შუბანის, წყალბუკელას, ბეშუმისა და სხვ.).

ბუღაურის მინერალური წყაროს გამოსავალი მდებარეობს დიდაჭარის (ხულოს რაიონი) სასოფლო საბჭოს მახლობლად, რაიონული ცენტრიდან 7-8 კილომეტრის მანძილზე. წყაროსთან გაკე-

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

თებულია ბეტონის აუზი, რომელშიც წყლის დონე 80 სანტიმეტრის აუზს აბაზანადაც იყენებენ. აბაზანებს ღებულობენ პრიმიტიულად, სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე. წყაროს



ბულაურის მინერალური წყარო.

სადღელამისო დებიტი 14.700 ლიტრს შეადგენს, ტემპერატურა $+29^{\circ}$; იგრძნობა გოგირდწყალბადის სუსტი სუნი. ამ წყლის ქიმიური ფორმულაა (კურლოვით): $H_2S\ 0,0051\ M\ 0,84$, $\frac{Cl\ 65}{(Na+K)\ 54}$, $\frac{SO_4\ 24}{Ca\ 49}$;

$pH=7,1$ გარდა მთავარი გამოსავლისა, სხვა გამოსავლები ჩამდინარი წყლებისაგან ნაკლებად არიან იზოლირებული. საერთოდ

ეს წყაროები თავიანთი ქიმიური შემაღენლობით ერთიმეორი განსხვავდებიან:

სპეციალისტების დაკვირვებით, ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია დებიტის მომატება, საერთო მინერალიზაციის გაზრდა და წყლის ტემპერატურის აწევა, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ბუღაურის მინერალური წყაროს სამკურნალო ეფექტინობისათვის. ჰიდროგეოლოგიურ საძიებო სამუშაოების ჩატარებამდე, ახლანდელ პირობებში, შესაძლებელია მოწყოს სპეციალური სააბაზანო, რომელიც საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის შემდეგ უზრუნველყოფს ამ წყაროს სამკურნალოდ გამოყენებას. ამჟამად შიმდინარეობს ბუღაურის სააბაზანო შენობის საპროექტო სამუშაოები.

მინერალური წყაროების გამოსავლების მიღამოები, მართალია, ჯერგერობით მოუწყობელია, მაგრამ თითქმის ყველა ახლო-მახლო მდებარე სოფლის მოსახლეობა პრიმიტიულად მაინც იყენებს მას სამკურნალოდ.

წინასწარი ჰიდროლოგიური და ჰიდროქიმიური გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის მინერალური წყაროების უმეტესობა პერსპექტულია; რაც შეეხება კლიმატურ დაზვერვას, მან გვიჩვენა, რომ ნახშირმჟავა წყლების გამოსავლების რაონები (ქედა, შუახევი, ხულო), აგრეთვე სულფიდური და რკინიან-სულფატური წყაროებით მდიდარი აღვილები (მავი ზღვის სანაპიროს მახლობლად — ბათუმისა და ქობულეთის მიმდებარე უბნები) მეტწილად ჯანსაღი კლიმატით ხასიათდება. ამრიგად, აჭარაში გამოვლინებულ მინერალურ წყლებზე ჰიდროგეოლოგიური საკვლევო-საძიებო სამუშაოების დამთავრებისა და სათანადო კაპტაჟის შემდეგ შეიძლება კომპლექსური ხასიათის ბალნეოკლიმატური კურორტები აშენდეს, ხოლო ნახშირმჟავიანი მინერალური წყლების უბნებში და რკინიან-სულფიდური წყლების მახლობლად მოწყოს მინერალური წყლების ჩამოსხმა. პირველ რიგში, როგორც ეს საქართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ექსპედიციის დასკვნიდან ჩანს, მიზანშეწონილია ჰიდროგეოლოგიური საძიებო სამუშაოების ჩატარება: ნახშირმჟავიან წყლებზე — დანისპარაულში, კოკიტაურში და ხიხაძირში; გოგირდ-წყალბადიან წყლებზე — მახინჯაურში, შუახევში, ბუღაურში, ჩაქვში და ქვემო კვირიკეში; რკინიან წყლებზე — ქედასა და მერისში.

აჭარის ჯღვისეირა პურილობაზე მაურნალობის ჩვენებანი და უკუჩვებანი

ჩვენებანი

1. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი: მიოკარდიოდისტროფია, მიოკარდიტი, კარდიოსკლეროზი, გულის კომპენსირებული მანკი, ჰიპერტონული დაავადება და სხვა.

2. სასუნთქი ორგანოების არატუბერკულოზური დაავადებანი: ქრონიკული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა (კარდიოპულმონალური სინდრომის გამოხატვის გარეშე), პლევროპნევმონიის ნარჩენი მოვლენები, ბრონქიალური ასთმის მსუბუქი ფორმები, ბრონქოექტაზია, ლარინგიტები, ფარინგიტები, ქრონიკული კატარული რინიტი და ტონზილიტები.

3. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებანი: ასთენიური მდგომარეობა და ნეკტოზული რეაქციები, რომლებიც დაკავშირებულია ნერვული სისტემის ინფექციურ ინტრექსიკაციურ და ტრავმულ დაზიანებასთან, აგრეთვე შინაგანი ორგანოების დაავადებასთან; პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი (რადიკულიტი, ფლექსიტი, ნევრიტი, სხვადასხვა ეტიოლოგიის პოლინევრიტი მწვავე პერიოდის გავლის შემდეგ, არამქაფიოდ გამოხატული ფსიქოგენური რეაქცია და სხვა).

4. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი: ალიმენტური და ენდოკრინული სიმსუქნეების არამძიმე ფორმები, პოდაგრა და შარლმუავა დიათეზი.

5. კვების დაჭვეოთება და მეორადი ანემია, რომლებიც გამოწვეულია მძიმე ავალმყოფობის ან ოპერაციის შემდეგ და სტაციონარულ მკურნალობას ან საჭიროებს.

6. ძვალ-სახსართა და მოტორულ ორგანოთა დაავადებანი: სახსრების რევმატული ანთება არამწვავე პერიოდში, სახსრების ინფექციური ანთება ტოქსიკური და ტრავმული წარმოშობისა (ართრიტები, ბურსიტები, ტენოვაგინიტები, მიოზიტები და სხვ.), ხერხემლის მალების ქრონიკული დაავადებანი ტუბერკულოზური და არატუბერკულოზური ხასიათისა, ხერხემლის მალების, მენჭ-ბარძაყის, მუხლისა და სხვა სახსრების ტუბერკულოზი, პერიფერიული და ლიმფური ჭირკვლების ტუბერკულოზი (დახურული ფორმა), ბრონქოადენიტები ჩაკირვის ფაზაში.

7. გინეკოლოგიური დაავადებანი: საშვილოსნოს გარსების დანამატების ქრონიკული ანთება არატუბერკულოზური ხასიათისა.
8. კანის დაავადებანი.

შ კ უ ჩ ვ ე ნ ე ბ ა ნ ი

ფილტვების ტუბერკულოზის ღია და აქტიური ფორმები, გულ-სისხლიარღვთა სისტემის დაავადებანი (დეკომპენსაციის პერიოდში), ნეფრიტები და ნეფროზები, ექსუდატური პლევრიტი და სხვა ისე-თო დაავადებანი, რომელთათვისაც საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობა.

ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა კ უ რ ი რ ტ ე ბ ი

ქ. ბათუმი. იგი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სხვა კუ-რორტებთან შედარებით ყველაზე სამხრეთით მდებარეობს. მისი გე-ოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილო განედის $41^{\circ}41'$ და ომო-სავლეთ გრძედის $41^{\circ}39'$. ბათუმს შორეული ისტორიული წარსუ-ლი აქვს. მას ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მწერლები მოიხსენიებენ. უტყუარი ცნობები კი XVII საუკუნიდან გვაქვს.

XIX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ჯერ კიდევ სოფელს უფ-რო მიაგავდა, ვიღრე ქალაქს. მაშინ აქ 2.000-მდე კაცი ცხოვრობდა. ტერიტორიის დიდი ნაწილი ჭაობებით იყო დაფარული და მო-სახლეობას მუსირს ავლებდა მალარია.

სამხედრო კორესპონდენტი ფრენკელი, აგრეთვე სხვა პირები მაშინდელი ბათუმის შესახებ სწერდნენ, რომ ქალაქში ბატონობს ანტისანიტარია და გავრცელებულია მრავალგვარი მძიმე გადამდები სნეულებანიო. ქალაქს აკრავს დაბურული ტყე, საღაც ბინადრო-ბენ გარეული ღორები და სხვა ცხოველები, რომლებზეც დიდი გა-ტაცებით ნადირობენ ქართველი თავადებიო.

ბათუმის, როგორც სამრეწველო ქალაქის განვითარება იწყება რუსეთის მფლობელობაში მისი გადასვლის შემდეგ (1878 წ.).

განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ქალაქი 1883 წლიდან, რო-დესაც იგი რკინიგზით დაუკავშირდა თბილისა და ბაქოს.

ქ. ბათუმის სამეურნეო ცხოვრების ნამდვილი განვითარება კი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

ახლა ქ. ბათუმი საქართველოს სსრ მესამე სამრეწველო ცენტრია,

სადაც აგებულია თანამედროვე ტექნიკის მიხედვით აღჭურვილი მრავალი საწარმო, აյ მუშაობენ აგრეთვე სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

მსხვილი საწარმოებიდან აღსანიშნავია ბათუმის ნავთობგადა-
სამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი და კოფეინის
ქარხნები, საორთქლმავლო და სავაგონო დეპორბი და სხვ.

ბათუმში საქმაოდ მძლავრადაა განვითარებული კვების მრეწ-
ველობა. მთელი დატვირთვით მუშაობს ხორცის კომბინატი, რძის,
თევზისა და საკონსერვო ქარხნები, საკონდიტრო და თამბაქოს ფაბ-
რიკები; გაიზარდა მსუბუქი მრეწველობის, სამკერვალო, ფეხსაცმ-
ლის, მომთუთიებელი და სხვა საწარმოები.

ბათუმის, ჩოგორც სამრეწველო ქალაქისა და რესპუბლიკის
კულტურული ცენტრის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საზღ-
ვაო ტრანსპორტმა.

შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე ბათუმი თავისი ბუნებრივი
მონაცემებით ერთ-ერთ საუკეთესო ნაგარის და ითვლება. ბათუ-
მის უკრეში გემების შესვლა შესაძლებელია წლის ყოველ დროსა
და ყოველგვარ ამინდში. ტვირთბრუნვის მიხედვით ის მსოფლიო
მნიშვნელობის ნაგარებულია.

აჭარის შავი ზღვის საკურორტო ზონაში შემოლებულია აგრე-
თვე ახლო მიმოსვლის საზღვაო მარშრუტები: ბათუმი — მახინჯაუ-
რი, ბათუმი — მწვანე კონცხი და ბათუმი — ქიბულეთი. ამ სანაპი-
რო მარშრუტებს ემსახურება ბათუმის გემთსაშენ ქარხანაში აგებუ-
ლი მცირე წყალწყვის კომფორტაბელური თბომავლები.

ბათუმის სანაპიროს პანორამა ერთ-ერთი ულამაზესია მსოფ-
ლიოში. მას საქმაოდ კრისალი და მოხდენილად აღწერს გასული სა-
უკუნის მიწურულში მრავალ უცხო ქვეყანაში ნამყოფი ექიმი ტრი-
ანტაფილიდი. უმეტესადო, გადმოგვცემს იგი, ბათუმის სანაპირო
ზოლი მოიანიო, მთები თანდათან ეშვება ზღვისაკენ და ალაგ-
ალაგ ლაუგარდოვან ზღვაში ქმნის ამჟანებულ კონცხებს, რომელთა
შორის ნაირფერად გადაშლილა ველები და ბორცვები. აյ ბუნებას
ერთიმეორესთან პარმონიულად დაუკავშირებია ჩინებული სილამაზე
და შვეიცარიის სიდიდიდე. აქედან ჩანს ცის ტატნობთან შერწყმული
ზღვის შორეთი, მუდამ ბრჭყვიალა ფერებით შეზავებული; როცა
ნაპირებიდან მთებს ვუცქერით, მოჩანს მთების ნაკვეთები და ნა-
პირიდან 300 ვერსით დაშორებული კავკასიონის ქედის ჭალარა
მწვერვალები. ყველაფერი ეს ამ სანაპიროს ანიჭებს ულამაზეს შე-
სახედაობას მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ, ეს ქვეყანა ჯერ კი-

დევ არ შეუსწავლია რუსეთს, მაგრამ, უეჭველია, ეს მხარე ახლო მომავალში დიდად გაითქვამს სახელსო.

ქ. ბათუმს კიდევ მეტად ალამაზებს მისი მოედნები, პარკები და სკერები, ქალაქის ქუჩებს გასდევს მარადმწვანე დეკორატიული მცენარეები და ნაირფერი ყვავილებით შემცული გაზონები.

ქალაქის მშენებაა ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკი.

კულტურისა და დასვენების ახლანდელი ზღვისპირა პარკის (ყოფილი ზღვისპირა ბულვარი) გაშენება 1881 წ. დაწყო. მაშინ მისი ფართობი 8 ჰექტარს შეადგინდა, ახლა კი 20 ჰექტარზე მეტია. პირველ ხანებში პარკი ვიწრო ზოლად გასდევდა ზღვის სანაპიროს, მაგრამ ღრითა განმავლობაში მდ. ჭოროხის მიერ ჩამოტანილი ნაშალი მასალის დალექვის შედევრად პარკის სიგანეზ საგრძნობლად მოიმატა (სანაპირო პარკის გასწვრივ ყვაველშლიურად 2-4 მეტრს მატულობს). აქ გაშენებულია სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეები, დეკორატიულ ნარგავთა მრავალი სახეობა — ნარინჯისფერი ინდური კანები, მარაოსებრი პალმები, მაგნოლიები, კეთილშობილი დაფნა, ვარდის ბუჩქები და სხვ.

ზღვისპირა პარკი თავისი მრავალფეროვანი დეკორატიული მცენარეულობითა და ყვავილებით მაღალ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ახდენს აღმიანზე.

პარკის ერთ კუთხეში აგებულია კაპიტალური შენობა ზღვის თბილი აბაზანებისათვის, რომელიც მთელი წლის მანძილზე ემსახურება ათასობით ადგილობრივსა და ჩამოსულ დამსვენებელს. აქვეა კეთილმოწყობილი პლაფი და სპორტული მოედნები.

ქ. ბათუმის მეორე კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილია ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი, რომელიც 20 ჰექტარზეა გაშლილი. პარკში მდებარე „პიონერის ტბაზე“ მოსწავლეები დაასრიალებენ აფრიკან ნავებსა და წყლის ველოსიპედებს, დააცურებენ სპეციალურად მათთვის აგებულ თბომავალ „პიონერს“.

პიონერთა პარკში გაშენებულია პატარა ფიზკულტურული ქალაქი. აქვეა მასობრივ თამაშობათა, დასასვენებელი და ზოოლოგიური კუთხეები, მწვანე ოეატრის შენობა, დახურული სამკითხველო-პავილიონი და სხვ. ბათუმის პიონერთა პარკი მოსწავლეთა კულტურული დასვენებისა და გართობის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

ბათუმში არის კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზა და სასტუმროები, რომლებითაც ფართოდ სარგებლობენ ჩამოსული დამსვენებლები; ქალაქში გახსნილია დიეტური სასადილო.

ამჟამად დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. წარმოებს ზღვისპირა პარკის გაფართოება, ახალი პარკებისა და სკვერების გაშენება; ჭუჩები ახალი ნარგავებით ივსება. გათვალისწინებულია ქალაქის გარეუბანში კანალიზაციის გაყვანა და ახალი წყალსადენის მშენებლობა; უნდა აიგოს აგრეთვე ერთი 200-ადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი, ერთი დასასვენებელი სახლი (200 საწოლით), ზღვის თბილი აბაზანების ახალი შენობა (100 აბაზანით) და ზამთარში საცურაო აუზი (220 კაცისათვის). ახლო მომავალში განზრახულია მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის „ბათომის მთაზე“ მოეწყოს დიდი პარკი, რომელიც საბაგირო გზით დაუკავშირდება ზღვისპირა პარკს. ზღვის ნაპირას, პიონერთა პარკის მეზობლად, აიგო 300-ადგილიანი ტურისტული ბაზის შენობა; დამთავრდა ბათუმ-ქობულეთის გზატკეცილის კაპიტალური რეკონსტრუქცია.


ბათუმის კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის $+15^{\circ}$. ზაფხული ცხელი და ტენიანია, ზამთარი — თბილი და შედარებით მშრალი. აქ გაბატონებულია დღელამური ბრიზები: დღისით — ზღვიდან ხმელეთისაკენ, ღამით — ხმელეთიდან ზღვისკენ. ბრიზები, რომლებიც ასუფთავებს და აგრილებს ჰაერს, ძლიერდება ზღვასა და ხმელეთს შორის ტემპერატურის სხვაობის ზრდასთან დაკავშირებით.

ქ. ბათუმში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე უდრის 1,6 მეტრს წამში, ნალექები 2400 მმ-ს შეადგენს. წვიმიანი დღეები აქ საქმიანობის წლიში (წელიწადში 150), მაგრამ ეს არ ზღუდავს ზღვის სანაპიროს კლიმატით სარგებლობას, რადგან ნალექი უმეტესად კოკისპირული წვიმების სახით მოდის და ხანმოკლეა, ამასთან, ქვიშნარი ნიადაგი ისე სწრაფად ისრუტავს წყალს, რომ წვიმის მოსვლიდან 15-20 წუთის შემდეგ მიწა შრება და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალაქი ხელოვნურად მორწყება. მზის წლიური დასხივება 1852 საათს უდრის; ზღვის წყლის ტემპერატურა ივნისიდან ოქტომბრამდე საშუალოდ $+23,8^{\circ}$. შავი ზღვის სანაპიროს კურორტებიდან აქ ყველაზე ხანგრძლივია ზღვაში ბანაობის სეზონი (მაისის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის ბოლომდე).

ტროპიკული ქვეყნების ფლორის გამოჩენილი მკვლევარის პროფ.


ა. ნ. კრასნოვის შეხედულებით, ბათუმის მხარეში ისეთი კლიმატია, რომლის მსგავსი ეკროპის არც ერთ ქვეყანაში არ გვხვდება.

ამ კლიმატში გაერთიანებულია ზაფხულის საკმაოდ მაღალი ტემპერატურა, რომელიც ამწიფებს საზამთროს და ყურძენს, და ზედმიწევნით თბილი ზამთარი. ზღვისკენ მიქცეულ დაქანებულ ბორცვებზე, რომლებიც არც ისე შორსაა მისგან, ყინვები 0° -ზე დაბლა იშვიათია. ბევრ ალაგას ყინვები 4° -ზე მეტი თითქმის არ იცის და მცენარეთა ზრდა არ წყდება ზამთრის ყველაზე ცივ თვეებშიაც კი. მრავალი მცენარე აქ ზამთარში ყვავილობს. ამ თანაბარ ტემპერატურასთან ერთად ბათუმის მხარეში წლის განმავლობაში იდგილი აქვს უხვ ნალექს. ეს არ არის ყველაზე უფრო წვიმიანი მხარე რუსეთისა, სადაც წლიური ნალექი ზოგჯერ 3000 მმ-ს უდრის,



ქ. ბათუმის ი. ბ. სტალინის

მაგრამ აქაური ჰავა მუდამ გაუღენთილია ტენით; ნამი, შეიძლება ითქვას, არასოდეს არ სცილდება მიწას და მცენარეულობა თითქოს მოთავსებულია გარადიულ ორანჟერაში. ასეთი თვისება ევროპის არც ერთ კუთხეს არა აქვს, არც რომელიმე ადგილს რუსეთის ევ- რობულ ნაწილში. ევროპის სამხრეთით, ყბადაღებულ რვიერაში, საღაც ნალექები წლის ყველაზე ციც დროში — ზამთარში ზრდა- განვითარების ისეთ საშუალებას არ იძლევს მცენარეებს, როგორც აქ. ზაფხული გამოირჩევა სიმშრალით და მცირე ნალექებით. ტბების სანაპიროები შვეიცარიაში, სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში, ბისკაის სანაპირო საფრანგეთსა და ესპანეთში, თუმცა მდიდარია ნამით, მაგ- რამ იქ ტემპერატურა გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ჩვენთან. იმ ადგილებს შეიძლება ნაწილობრივ შევადაროთ კავკასიის შავი



კობის ზღვისპირა პარკი. პლაჟი.

ზღვისპირეთის ზოგიერთი ადგილი: სოჭი, გაგრა, სოხუმი, მაგრაძე არა ბათუმი. მცენარეთა გავრცელების პირობები იმ ადგილებში გაცილებით უფრო არახელსაყრელია, ვიდრე ბათუმში.

ატმოსფერული ნალექები ბათუმში მეტია, ვიდრე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა რომელიმე რაიონში. ეს იმით აიხსნება, რომ პონტისა და აჭარის მთების მწვერვალები აცივებენ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ქარებით მოტანილ წყლის ორთქლს, რომელიც შემდეგ უხვად ჩამოწვიმს.

ბათუმის ნიაღავი მეტიად ფაშარი და ფორიანია, რის გამოც წვიმების შემდეგ წყალს სწრაფად ისრუტავს. ეს კი ხელს უწყობს ჰაერისა და ნიაღავის გასუფთავებას. მტვერი და ჭუჭყი ქვაფენილებზე არ რჩება და ჭუჩები მუდამ სუფთად გამოიყურება.

ბათუმში ორი-სამი დღის განმავლობაში შეიძლება მოვიდეს იმდენი ნალექი, რამდენსაც სსრ კავშირის ზოგიერთ ადგილის ნახევარი წელიწადი დასჭირდებოდა. ყველაზე მეტი ნალექი იცის სექტემბერ-ნოემბერში, ყველაზე ნაკლები — მაისში.


ბათუმს, როგორც ქალაქ-კურორტს, აქვს საუცხოო პლაჟი, რომელიც ნავსადგურთან იწყება და მდ. ჭოროხის შესართავამდე აღწევს. იგი უმეტესად საშუალო და მსხვილი კენჭებითაა მოფენილი, და მზის აბაზანების მისაღებად ძალზე მოსახერხებელია.

დღისით პლაჟზე ხანგრძლივად ყოფნას ხელს უწყობს სანაპიროზე გამუდმებით მეროლავი ბრიზები, განსაკუთრებით გაზაფხულ-ზაფხულობით. ბრიზები, გარდა იმისა, რომ აგრილებს ჰაერს, მას დიდი ჰიგიენური მნიშვნელობაც აქვს, იგი მტვრისა და მიკრობებისაგან წმენდს სანაპირო ზოლს.

ზაფხულის ყველაზე ცხელ ოვეებშიც კი (ივლისი, აგვისტო) ზღვიდან მონაბერი ბრიზები ისეთ გუნება-განწყობილებაზე აყენებს ივაღმყოფებს, რომ ისინი არ უჩივიან ჰაერის დახუთულობას. ცხელ ამინდში, როცა ტემპერატურა $+60^{\circ}$ აღწევს, პლაჟზე დამსვენებები სიცხეს ნაკლებად გრძნობენ.

სანაპიროზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე წამში 1,9 მეტრს არ აღემატება, რაც ჰიგიენისტთა დასკვნით, დადებითად მოქმედებს ადამიანზე და სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს.

ზაფხულობით ბათუმში უმეტესად დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილო-დასავლეთის შურალი და თბილი ქარები ქრის. ყველა-



ଦୁତ୍ତମିଳ ଓ. ନ୍ଯୂନିଙ୍କ ସାହେଲିନିଃ ପିନକ୍ଷେରତା ପାର୍ଶ୍ଵ

ზე ხშირია სამხრეთ-დასავლეთის ქარები, რომლის ტემპერატურა შემოდგომის ბოლომდე შედარებით მაღალია.

ბათუმში თოვლის საფარველი მეტად არამდგრადია, სულ რა-
მდენიმე საათს ან იშვიათად 2-3 დღეს სძლებს.

ბათუმის სანაპირო ლამაზია ყოველთვის, ზამთრის თვეებშიც
კი; როდესაც მწვერვალებზე თოვლს დადებს, ბათუმის მიღამოებში
ვარდები და კამელიები ყვავიან.

კლიმატური მოვლენების მიხედვით, აქ ყველაზე კარგი დრო
შემოდგომაა. გასული საუკუნის მიწურულში ექიმი კრასოვსკი
სწერდა, რომ არც ერთ სამხრეთის კლიმატურ სადგურში არ იცის
ისეთი თბილი და მომხიბლავი შემოდგომა, როგორიც ბათუმში.

საკურორტო სეზონი ბათუმში მთელ წელიწადს გრძელდება.
სამქურნალო ფაქტორებია: თბილი და ტენიანი სუბტროპიკული
კლიმატი, ლამაზი ბუნებრივი ლანდშაფტი და სხვ.

ბათუმი თავისი კარგი კლიმატური პირობებითა და შესანიშნა-
ვი პლაյით საუკეთესო ზღვისპირა საკურორტო ქალაქია ითვლება.

მახინჯაური. მახინჯაური ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგი-
ური კურორტია. იგი მდებარეობს ყარადერეს და მწვანე კონცებს
შორის, ბათუმიდან 6 კმ-ის დაშორებით. მისი გეოგრაფიული კო-
ორდინატებია ჩრდილო განედის $41^{\circ}41'$ და ოღონსავლეთ გრძელის
 $41^{\circ}40'$.


მახინჯაური ქ. ბათუმსა და აჭარის სხვა ზღვისპირა კურორტებს
უკავშირდება საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორ-
ტით. მისი სიმაღლე სანაპიროს მახლობლად ზღვის დონიდან 15-25
მეტრს უდრის, შემდგომ ზემოთ მიიწევს და 1000-1300 მეტრამდე
აღწევს; ეს კი საშუალებას იძლევა მოეწყოს აქ ზღვისა და მთის ჰა-
ვის კომბინირებული კლიმატური სადგურები.

მახინჯაური ჩაფლულია მწვანე პარკებსა და ბალებში, მას აკ-
რავს მეტად სუფთა და მოხერხებული პლაჟი.

მდ. საკალმახოს ხეობაში გამოდის ორმული გოგირდწყალბა-
ლიანი წყარო, რომელიც მცირე რაღიასტივობითა და სუსტი მინე-
რალიზაციით ხასიათდება. ამ წყაროს ბაზაზე გახსნილია 50-
საწოლიანი პანსიონატი, რომელიც სეზონურად (მაისიდან ნოემბრა-
მდე) მუშაობს.

მახინჯაურის, ისე როგორც აჭარის სხვა ზღვისპირა კურორტე-
ბის კლიმატი საერთოდ ტენიანი და სუბტროპიკულია, მაგრამ
იგი მაინც განსხვავდება მის მეზობლად მდებარე კურორტებისაგან.

აჭარის ზღვის სანაპირო კურორტების ერთ-ერთი დამახასიათებელი თემას განვიხილავთ. რომ მათ ერთმანეთთან სიახლოების მიუხედავად, ახასიათებთ განსხვავებული მიკროკლიმატი, რაც ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს შევი ზღვის სანაპიროს სხვა კურორტებთან შედარებით.



მახინჯაურის გოგირდის აბაზანების შენობა

მახინჯაურის წლიური საშუალო ტემპერატურა $+12,4^{\circ}$ უდრის, ნალექების წლიური ჭამი კი 2699 მმ-ს. ყველაზე მეტი ნალექი მოდის სექტემბერში, ყველაზე ნაკლები — მაისში; წვიმები აქ კოკის პირული ხასიათისაა.

ბათუმთან შედარებით, მახინჯაურში ზამთარი თბილია, ზაფხული კი გრილი. მრავალი მცენარე, რომლებიც ბათუმში მაინცდა-მაინც ვერ იზრდება; მახინჯაურში კარგად ხარობს, ასეთებია, მაგალითად, გარდენია, კამელია და სხვ. ეს იმით აიხსნება, რომ მახინჯაური დაცულია მთებიდან წამოსული ცივი ქარებისაგან, ჭორობის ხეობიდან რომ შემოიჭრებიან და ხშირად ბათუმამდე აღწევენ ხოლმე.

ზაფხულობით მეტ სიგრილეს ხელს უწყობს შედარებით მთვარების გორიანი მდებარეობა, მდიდარი მცნარეულობა და ცვალებადი ბრიზები, რომლებიც აქ უფრო ძლიერია, ვიდრე ბათუმში. რაც შეეხება ტენიანობას, იგი ბათუმში მეტია, ვიდრე მახინჯაურში, ამიტომ ზამთრობით სიცივის შეგრძენება აქ ნაკლებია. ბათუმთან შედარებით ნაკლებ ტენიანობას განაპირობებს მახინჯაურის რელიეფი; მთაგორიანი მდებარეობის გამო, აქ გუბერნი და ტბები არ არის, წვიმის ღვარები სწრაფად ჩაედინება ზღვაში.

ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე აჭარის ზღვის-პირა კურორტებს კიდევ ის უპირატესობა აქვთ, რომ იქ ზღვის წყალი უფრო სუფთაა, ვიდრე ბათუმის სანაპიროებთან, რომელსაც (განსაკუთრებით დიდი წვიმების ღროს) აბინძურებს ნავთობგადასა-მუშავებელი ქარხნის პროდუქციის ნარჩენები. გარდა ამისა, მახინჯაურს ნაკლებად აღწევს მდინარე ჭოროხის დინება და ვერ ამ-ცირებს ზღვის წყლის მარილიანობას.

აქ მუშაობს ოთხი დასასვენებელი სახლი, ერთი პანსიონატი და ერთიც სანატორული ტიპის ბავშვთა ბალი.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია კურორტ მახინჯაურის ცენტრის რეკონსტრუქცია. მალე დამთავრდება პიდროვეოლოგიური ღრმა საძიებო სამუშაოები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება გოგირდიანი წყაროს დებიტი. აქვე აშენდება 100-საწოლიანი ბალნეოლოგიური პანსიონატი და 200-ადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი, დამთავრდება აგრეთვე დასასვენებლი სახლის „მზიურის“ რეკონსტრუქცია და გაფართოვდება დასასვენებელი სახლი „ნარინჯი“.


მახინჯაურში საკურორტო სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

მწვანე კონცხი. მწვანე კონცხი რესპუბლიკური მნიშვნელობის ზღვისპირა ჭრილიმატური კურორტია, ქ. ბათუმიდან დაშორებულია 9 კილომეტრით, ბათუმსა და მეზობლად მდებარე კურორტებს უკავშირდება რკინიგზით და შარაგზებით, აგრეთვე ზღვით. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილო განედის $41^{\circ}42'$ და აღმოსავ-

ლეთ გრძელის $41^{\circ}44'$, იგი ზღვის დონიდან 70-92 მეტრზე მდებარეობს.

მწვანე კონცხი ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა შავი ზღვის სა-
მხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი საკურნალო ფაქტორებია:
სუბტროპიკული კლიმატი, ზღვა, მცხუნვარე მზე და ულამაზესი
ლანდშაფტი.

მწვანე კონცხის კლიმატი ტენიან-სუბტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა $+13,8^{\circ}$ უდრის. აქ ყველაზე თბილი თვის — აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+21,9^{\circ}$ შეაღენს, ხოლო ყველაზე ცივი თვის — იანვრისა $+6^{\circ}$. მანიჩაურთან შედარებით



მწვანე კონცხი. სანატორიუმი „აჭარა“.

მწვანე კონცხზე 1-2 გრადუსით მეტი სითბო იცის; ნალექების რაოდენობა (2504 მმ) მეტია, ვიდრე ბათუმში, ხოლო ნაკლები, ვიდრე მასინჯაურში. წვიმები აქაც კოკისპირული ხასიათისაა: და მეტი სექტემბერში მოდის, ნაკლები — მაისში. მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში 1930 საათს შეადგენს (ივნისში — 223 საათი, იანვარში — 101 საათი).

შავი ზღვის აჭარის სანაპიროზე ნისლიანი დღეები მერყეობს



6-დან (ჩაქვი) 20-მდე (ბათუმი). მწვანე კონცხზე კი წელიშადში საშუალოდ 14 ნისლიანი დღე იცის.


მწვანე კონცხის ამ მიკროკლიმატურ პირობებს განსაზღვრავს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. შედარებით ნაკლებად მოქმედებს ზღვისპირა ქარები და მზის არალიაც უფრო ძლიერია. აქ გაშენებულია მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი, რომელიც 1912 წ. დაარსდა ცნობილი რუსი გეოგრაფიისა და ბოტანიკის ა. ნ. კრასნოვის ინიციატივით. ბაღს 100 ჰექტარზე მეტი უჭირავს. მას აქვს კავკასიის, ახალი ზელანდიის, აგსტრალიის, ჰინეთის, იაპონიის, მექსიკის, ჩრდილო აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და ხმელთაშუა ზღვის განყოფილებები. იგი გაშენებულია ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ პრინციპზე და წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მცენარეულობაზე, აგრეთვე მათ ლანდშაფტურებზედაც. ბოტანიკურ ბაღში 1300-ზე მეტი სახეობის მცენარეა, რომელთა შორის 70 სახე საბჭოთა კავშირისათვის უნიკალურია. აქ ვხვდებით წითელ და ტექტონის ხეებს, ბანანს, ქინაქინის ხეს და სხვა ეგზოტურ მცენარეებს.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა. ბაღი ყოველწლიურად ათვალიერებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 100 ათასამდე ტურისტი, დამსვენებელი და სხვ.

მწვანე კონცხზე განლაგებულია კეთილმოწყობილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი. სანატორიუმებთან გახსნილია სამკურნალო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილი არიან უახლესი დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატებით; იმ ავადმყოფ-დამსვენებლებისათვის, რომლებსაც აქრძალული აქვთ ზღვაში ბანაობა, მოწყობილია ზღვის თბილი აბაზანები.

მწვანე კონცხზე გამართულია აგრეთვე 400-საწოლიანი ტურისტული ბაზა, რომელიც სეზონურად (6 თვე) მუშაობს და წელიწადში 11 ათასზე მეტ ტურისტს ემსახურება.

დამსვენებელთა საზღვაო ტრანსპორტით უკეთ მომსახურების მიზნით აქ აშენდა კაპიტალური ნავმისადგომი საკურორტო თბომავლებისათვის, რომლებითაც დამსვენებლები მგზავრობენ მწვანე კონცხის მეზობლად მდებარე ზღვისპირა კურორტებზე. 1959 წლიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა საბაგირო გზა. იგი სანატორიუმი



საბაგირო გზა მწვანე კონცხზე

„აჭარის“ ზემო კორპუსს აკავშირებს კურორტის ცენტრთან და პლატფორმან.

ახლო ხანში სანატორიუმ „აჭარასთან“ აშენდება კლუბი და სასაღილო, მოეწყობა სამედიცინო პლაჟი და სხვ.

მწვანე კონცხის ადგილმდებარეობამ და ბუნებრივმა პირობებით
ბმა სრული შესაძლებლობა შექმნეს კლიმატური საღურების მო-
საწყობად. აქ გაბატონებული ზღვისა და მთის ჰაერი გამაჭანსაღებ-
ლად მოქმედებს მთელ ჩიგ დაავადებებზე.

ციხისძირი. ციხისძირი მდებარეობს ჩაქვისა და ქობულეთს
შორის, ბათუმიდან 19 კმ-ის დაშორებით, მისგან ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთით. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილო განედის
 $41^{\circ}45'$ და აღმოსავლეთ გრძედის $41^{\circ}46'$, სიმაღლე ზღვის დონიდან
60-90 მ.

კურორტი ციხისძირი გაშენებულია ციხისძირის მაღლობებზე,
რომლებიც ციცაბოდ ეშვებიან ზღვაში და ქმნიან ციხისძირის
კონცხს. მას სამხრეთით ესაზღვრება სოფ. ბუკნარი, ჩრდილოეთით
— სოფ. ბობოყვათი.


ზღვაში შეჭრილი კონცხი პლატი ორად ყოფს — სამხრეთ და
ჩრდილო ნაწილად. სამხრეთი პლატი საკმაოდ ფართოა, თან ქვიში-
ანი, მზეც ხანგრძლივად დაჭინათის. ამ ადგილებში სანაპირო ღრმაა
და საბანაოდ მხოლოდ მოცურავეთათვის გამოსადეგი. სამხრეთი
პლატი კარგია სოლარიუმის მოსაწყობად, რადგან ეს მიღამო შემო-
ფარგლულია კლდეებით და ქარის მოძრაობაც ნაკლებია, მზე კი —
უფრო მცხუნვარე. ჩრდილოეთი პლატი სოლარიუმისათვის ნაკლებად
გამოსადეგია, მაგრამ მას სხვა უპირატესობა აქვს: აქ ნაპირები უფ-
რო თხელია და ბანაობა ყველასათვის მისაწვდომი.

ციხისძირის მაღლობიდან კარგად მოჩანს ზღვის სანაპიროები
ბათუმიდან ფოთამდე. მაღლობებს შორის არის ტაფობებიც, სადაც
გაშენებულია დასასვენებელი სახლები. კურორტი მდიდარია მარად-
მწვნე წიწვინი და სუბტროპიკული მცენარეულობით.

ციხისძირის ჰაერი, ისე როგორც მწვანე კონცხისა, ზღვისა და
მთის ჰაერის ნარევს წარმოადგენს. აქ ზაფხულობით უფრო გრილა,
ვიდრე ბათუმში და მახინჯურში, ზამთარში კი უფრო თბილი.

ციხისძირში წლიური საშუალო ტემპერატურა $+14,8^{\circ}$ უდრის,
აქედან ყველაზე ციცი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურა
 $+7,5^{\circ}$, ხოლო ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს $+23,3^{\circ}$.

ციხისძირში შედარებით მაღალი საშუალო თვიური ტემპერა-
რატურა იმით აიხსნება, რომ იგი მდებარეობს სამხრეთული ექსპო-
ზიციის მთის კალთებზე, რაც განაპირობებს მზის ნაობის ხანგრძ-
ლიობას. აქ სხივები ფერდობებს მზის ჩასვლის მომენტშიც კი
პერპენდიკულარულად ეცემა და ჰაერი მიწის ზედაპირიდან სითბოს
მეტი რაოდენობით იღებს.



ԿՇԻՐՆՈՐԾՈ ԸՆԹԱԾՈՒՐՈ. ԸԱՄՍՎԵՆԵՑԵԼՏԱ ՔՑԵՑՈ.

აჭარის ზღვისპირა კურორტებიდან ყველაზე მეტი ნალექი ციხისძირზე მოღის (საშუალოდ 2709 მმ). წვიმები აქაც კოკისპირული ხასიათისაა. ყველაზე მეტი ნალექი ნოემბერში იცის (344 მმ), ყველაზე ნაკლები — მაისში (86 მმ); თოვლის საფარველი შედარებით ღრმაა.

ნალექების სიუხვე ციხისძირის გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. ეს დაკავშირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის ცივ და ტენიან მასებთან, აგრეთვე ციხისძირის სამხრეთულ ექსპოზიციასთან, რაც ხელს უწყობს ძლიერი აღმავალი დინების განვითარებას — კონვექციას. ამის შედეგად იქმნება ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები თავსხმა წვიმებისათვის.

ციხისძირში ავაღმყოფები მთელზ წლის განმავლობაში იგზავნებიან, უმთავრესად მაისიდან ნოემბრის ბოლომდე; განსაკუთრებით კარგია აქ შემოდგომა.

ციხისძირის სამკურნალო ფაქტორებიდან აღსანიშნავია სუბტროპიკული კლიმატი, მთისა და ზღვის შეზავებული ჰაერი, უხვი მზე, თბილი ზღვა და მდიდარი მცენარეულობა.

აქ, მწვანით შემოსილ ბალ-პარკებში, ოთხი დასასვენებელი სახლი და ერთი ტურისტული ბაზა მუშაობს.

დამსვენებლებსა და ტურისტებს ემსახურება აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. განზრახულია ორი საბაგირო გზის აგება, რომლებიც დასასვენებელ სახლებს „ნიავსა“ და „ციხისძირს“ დაკავშირებს პლატანს. კურორტის ზონაში მოწყობილია ლიმონარიუმი, გაშენებულია ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა დიდი საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

ქობულეთი. აჭარის ზღვისპირა კურორტებიდან თავისი გეოგრაფიული და კლიმატური პირობებით გამოიჩინევა ქობულეთი, რომელიც მდებარეობს აჭარის ზღვის სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეებს — ჩოლოქსა და კინტრიშს შორის. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია ჩრდილო განედის $41^{\circ}48'$ და აღმოსავლეთ გრძელის $41^{\circ}55'$. ქობულეთი ბათუმიდან დაშორებულია რკინიგზით — 24 კმ-ით და გზატკეცილით — 33 კმ-ით.

ქობულეთი იყოფა ორ ნაწილად — ქალაქად და კურორტად. რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით, კურორტისათვის გამოყოფილია 10 კმ სიგრძისა და საშუალოდ 530 მ სიგანის ზღვისპირა ზოლი.

ახლა ქობულეთი ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი

კურორტია აჭარის შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ქობულეთში მუშაობს სსრ კავშირის სამკურნალწამლო და ორომატულ მცენარეთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. ეს არის სამკურნალო მცენარეთა პირველი და ერთადერთი მეურნეობა სსრ კავშირში. აქ თავმოყრილია მსოფლიოს ტროპიკული და სუბტროპიკული ფლორის საკმაოდ მდიდარი კოლექცია, რომელიც 500-მდე სახეობის მრავალშლიან და ერთწლიან მცენარეს ითვლის. უკვე შესძლეს თირკმლის ჩაის, ალოეს, ალატონიას, ლანცერის, ადატოდას, ოლეანდრის, იაპონური დარიჩინის, კოკაინისა და სხვა კულტურების ნაყოფის მიღება. აქ დაზადებული წამლები მაღალი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

საკვლევი საკურორტო ზონის მთელ სიგრძეზე — სანაპიროს გასწვრივ გაშენებულია მწვანე ნარგავებში ჩაფლული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

ქობულეთი ზღვისპირა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია. მისი სამკურნალო ფაქტორებიდან ძირითადია რბილი კლიმატი ნაკლებად მერყევი ტემპერატურით.

ქობულეთის საშუალო წლიური ტემპერატურა $+13,7^{\circ}$ უდრის, აქ ყველაზე ცხელი თვეა აგვისტო ($+23,2^{\circ}$), ყველაზე ცივი — იანვარი ($+5,0^{\circ}$). საშუალო წლიური ამპლიტუდა $1,5^{\circ}$ შეადგენს. ათი წლის დაკვირვების მასალებით, მაქსიმალური ტემპერატურა მოდის ივნისზე (საშუალო $+29,9^{\circ}$), მინიმალური — იანვარზე ($+11,6^{\circ}$). ზამთრობით ყინვიანი დღეები ძლიერ ცოტაა (იანვარში საშუალო $11,5^{\circ}$). თებერვალში უკვე ყინვები აღარ იცის, აპრილიდან კი თბილი დღეები იწყება, ხოლო მაისიდან — ცხელი; აქ ოქტომბერშიც თბილი დღეებია, ნოემბერში კი ზომიერად თბილი. ქობულეთში შესაძლებელია წლის ზოგიერთ თვეში ტემპერატურამ $+20^{\circ}$ -მდე აიწიოს, ხოლო მარტიდან ნოემბრამდე $+30^{\circ}$ -მდე. აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა იანვარში აღნიშნული იყო $+40^{\circ}$. საერთოდ, აქ ზამთრის თვეების მაქსიმალური ტემპერატურა $+10-13^{\circ}$ უდრის, გაზაფხულის თვეებისა $+12-20^{\circ}$ აღწევს, ზაფხულის თვეებისა $+24^{\circ}-27^{\circ}$, შემოდგომისა $+17^{\circ}-25^{\circ}$. მინიმუმი კი ზამთარში უტრო ხშირად — $2^{\circ}-3^{\circ}$ ან აღემატება, გაზაფხულზე $+7^{\circ}-15^{\circ}$, ზაფხულში $+19^{\circ}$ და შემოდგომაზე $+7-16^{\circ}$; საერთოდ, ტემპერატურის დაცემა 0° -მდე და ქვევით მხოლოდ ღამით და ღილით ხდება, დღისით ჟღველოვის 0° -ზე მეტია.

ქობულეთში ჰაერის ტენიანობა დღე-ღამეში ნაკლებად შერყეობს (დღისით 65-70%, ღამით — 79-89%). იგი შედარებით მაღალია ღამის 1 საათზე; ტენიანობა უმნიშვნელოდ ცვალებადობს ცალკეული თვეების მიხედვითაც: დაბალია ზამთარში და ზოგჯერ გაზაფხულზე, მაღალი კი — ზაფხულსა და შემოდგომაზე. ტენიანობის ამპლიტუდა უდრის 6-10%. ღრუბლიანი დღეები საქმაოდ ხშირია: მეტია იანვარ-თებერვალში, ნაკლები — ივნის-ოქტომბერში; მზის საშუალო წლიური ნაოება აქ 2000-2110 საათს შეადგენს.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქობულეთში გაბატონებულია ჰაერის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დინებანი. აღმოსავლეთის დინება შედარებით მშრალია. ეს აიხსნება ადგილმდებარეობის აღმოსავლეთის მხრიდან მეტი გაშლილობით, რაც აძლიერებს ჰაერის ვენტილაციას და ამცირებს ტენიანობას.

ქობულეთში ქარების მიმართულებას განსაკუთრებული ხასიათი აქვს. ქარების 47% ზღვიდან ხმელეთისაკენ ქრის, ხოლო 45% — ხმელეთიდან ზღვისაკენ. აქედან პირველს ეკუთვნის სამხრეთ-დასავლეთის ქარები (28%), ხოლო მეორეს — ჩრდილო-აღმოსავლეთისა (19%). წლის განმავლობაში ჰაერის მოძრაობის რეჟიმი საგრძნობლად იცვლება: ზამთარში ჭარბობს ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები, რომლებიც ოებერვლიდან მოკიდებული სუსტდება, ზაფხულობით კი მატულობს სამხრეთ-დასავლეთის ქარები, ხოლო სუსტდება ჩრდილო-აღმოსავლეთისა; ოქტომბრიდან კვლავ ხმელეთის ქარები ჭარბობს ზღვიდან მონაბერს.

ქარების მიმართულების რეჟიმის ცვალებადობაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის წლის თბილ ნახევარში განვითარებულ ბრიზებს, რომლებიც ქრიან დღისით ზღვიდან ნაპირისაკენ და ღამით ნაპირიდან ზღვისაკენ. ბრიზების მოძრაობა გათვალისწინებული უნდა იქნეს საკურორტო მშენებლობის დროს, რათა უზრუნველვყოთ საკურორტო ზონა სწორი და საქმარისი ვენტილაციით.

ქარის ძალა აქ ბრაა დიდი, საშუალოდ წამში 2,5-3,0 მ. ქროლი ღამით უფრო სუსტია, ვიდრე დღისით. შედარებით ძლიერია სამხრეთ-დასავლეთის ქარები, უფრო სუსტი — აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის. ძლიერი ქარები აღინიშნება ზამთარში და ზაფხულის დამდეგს. აქ წლიწადში 20-მდე ძლიერქარიანი დღე იცის: ქარები ძირითადად სამხრეთ-დასავლეთის ან დასავლეთის მიმართულებისაა და ზღვის ღელვასთანაა დაკავშირებული. უქარო დღეები ქობულეთში ცოტაა, ყველაზე ნაკლებია მარტ-

ში, ყველაზე მეტი — ივნისში, ოქტომბერ-ნოემბერში კი 18 დღეში შეადგენს.

საშუალო წლიური ბარომეტრული წნევა უდრის 1014 მილიბარს, წლიური ამპლიტუდა — 8 მილიბარს. მაღალი წნევა აღინიშნება ზამთარში (1017-1018 მლბ), ხოლო შედარებით დაბალი — ზაფხულში (1010 მლბ). ატმოსფერული წნევა მცირედ მერყეობს, რასაც კურორტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქობულეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2200 მმ-ს შეადგენს, ცალკეული წლების მიხედვით კი მერყეობს 500-დან 3400 მმ-დე. მეტი ნალექი მოდის შემოდგომა-ზამთარში, ნაკლები გაზაფხულზე (მაქსიმუმი სექტემბერში — 310 მმ, მინიმუმი მაისში — 99 მმ). წვიმები აქ ტროპიკული ხასიათისაა; ხანმოკლე წვიმიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 170 უდრის; თოვლი იშვიათია — საშუალოდ 9 დღე წელიწადში.

იმის გამო, რომ ქობულეთის ნიადაგები მეტად ფოროვანია (ქვიშიან-ხრეშოვანი), არ ჩნდება გუბეები და გზებიც არ ტალახიანდება. ამიტომ წვიმის გადალების შემდეგ ძალიან მაღალ დამსვენებელს შეუძლია კვლავ ისარგებლოს ზღვითა და სხვა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით.

ქობულეთში წელიწადში საშუალოდ 6-7 ნისლიანი დღე იცის. ასეთი დღეებით უმეტესად შემოდგომა-გაზაფხული ხასიათდება. ზაფხულში კი ნისლი თითქმის სრულებით არაა.

ქობულეთისათვის დამახასიათებელია მზის უხვი რადიაცია. ივლის-აგვისტოში წარმოებული დაკვირვება ასეთ სურათს იძლევა: ნახევარდღიური რადიაცია აღწევს 1,23 მცირე კალორიის ერთ წუთში კვ სმ-ზე; შუადღისას რადიაცია ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე დილით ან სალამოთი. ეს გარემოება განსაკუთრებით კარგ პირობებს ქმნის ჰელიოთერაპიისათვის, რაც ზღვისპირა კლიმატური კურორტების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი სამკურნალო ფაქტორია.

ქობულეთს, როგორც კურორტს, კიდევ მეტ ღირსებას მატებს ქვიშა-ღორღიანი პლაჟი, რომელსაც მთელ სიგრძეზე (10 კმ) გასდევს მარადმწვანე ნარგავთა პარკი, საღაც შეიძლება მოეწყოს დიდი საკურორტო კომპინატი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. პლაჟის სიფართე (100 მ) საშუალებას იძლევა დაიყოს იგი ზონებად დაავადებისა და დაავადებულთა ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ზაფხულობით ქობულეთის პლაზე ჰაერის ტემპერატურა +52-55° აღწევს, ლრუბლიან დღეებში +33-35°-ს, წვიმიან ამინდში კი 20°-მდე ეცემა; იმ ჯგუფის ავადმყოფებს, რომლებზეც უარყოფითად მოქმედებს მზეზე ხანგრძლივი ყოფნა, საშუალება აქვთ დაისვენონ მწვანე ნარგავთა დიდ პარკში.

აქ ზღვის წყლის ზედა ფენების საშუალო დღელამური ტემპერატურა აგვისტოში +26,2° უდრის, იმ დროს, როცა ჰაერის დღელამური ტემპერატურა მერყეობს +24-18,4° შორის. ზღვის წყლის ტემპერატურის ამპლიტუდა შეადგენს 2,6°, ჰაერისა კი 5,6°. დღის 2 საათისათვის ზღვის ზედაპირის მაქსიმალური ტემპერატურა +26,8° აღწევს, მინიმალური +23,8°, ჰაერის ტემპერატურა კი შესაბამის დროში შეადგენს +28-18°, ზღვის წყლის ამპლიტუდა 3°, ჰაერისა 9,9°. მკურნალობის მიზნით ზღვაში ბანაობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ წლის თბილ პერიოდში (და მზიან ამინდში) ნაპირიდან ხმელეთის სიღრმეში მხოლოდ ერთ კილომეტრზე 13 საათისათვის ტემპერატურა მატულობს 1-2,5 გრადუსით, ლრუბლიან და წვიმიან დღეებში კი არ იცვლება.

საერთოდ, ზღვის ნაპირზე ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე კურორტის სიღრმეში. კურორტის ზონაში შენობებისა და პარკების გაშენება ქმნის ერთგვარ კედელს ზღვასა და სანაპირო ზოლს შორის. ეს კი აფერხებს ჰაერის ცირკულაციას.

ზღვის წყლის ზედა ფენის ტემპერატურა ქობულეთში ზედარებით მაღალია, რადგან აქ დინებას სმელთაშუა ზღვიდან მოაქვს თბილი წყალი, ამიტომ ზღვაში ბანაობის სეზონი მაისიდან თითქმის ნოემბრის ბოლომდე გრძელდება. ზღვისპირის საშუალო წლიური ტემპერატურა +17,7° უდრის (მინიმუმი — თებერვალში +6,5°, მაქსიმუმი — აგვისტოში +28°). ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქობულეთში კომპლექსურად შერწყმულია ზღვისა და სუბტრობიული კლიმატი, რაც კურორტს დიდ სამკურნალო თვისებებს ანიჭებს.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და მიკროკლიმატი უპირატესობას აძლევს ქობულეთს არა მარტო აჭარის სხვა სანაპირო კურორტებთან შედარებით, არამედ ისეთ სახელმოხვეჭილ კურორტებთან შედარებითაც კი, როგორიცაა სოჭი, გაგრა, ახალი ათონი და სხვ.

ჰაერის მშრალი მასები, ე. წ. ფიონები, რომლებიც ქობულეთ-

ში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოემართებიან, ხელს უწყობს „შედარებულის“ მუდმივი რეგის მუდმივი პატიონი შენარჩუნებას. რაც შეეხება ზღვის მუდმივ ბრიზებს, ისინი ზაფხულობით აგრილებენ ჰაერს. ზღვიდან მოდენილი ტენიანი ჰაერის მასები არ ჩერდება ქობულეთის საკურორტო ზონაში და გაშლილი ველებისაკენ მიქროლავს, რაც ამცირებს ტენიანობას. სწორედ ასეთი კლიმატური პირობები ანიჭებს ქობულეთს უპირატესობას სხვა ზღვისპირა კურორტებთან შედარებით და ხდის მას გულ-სისხლძარღვთა და ნევროზით დაავადებულთა საუკეთესო სამკურნალო ადგილად.

ზაფხულობით ზღვის სანაპიროს სხვა კურორტებზე ჰაერი შედარებით ჩახუთულია და ჭარბად ტენიანი, რაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის სნეულებითა და ნევროზით დაავადებულ ავადმყოფებში დღისით იწვევს სულის ხუთვას, ხოლო ღამით გადაჭარბებულ ოფლიანობას; ეს კი უარყოფითად მოქმედებს მათ ჭანმრთელობაზე.

კურორტ ქობულეთს სამკურნალო დაწესებულებათა საკმარის ფართო ქსელი აქვს. აქ არის კურორტის პოლიკლინიკა სამკურნალო და სადიაგნოსტიკო კაბინეტებით, კლინიკური ლაბორატორია, ზღვის თბილი აბაზანები, სამედიცინო პლაჟი, სოლარიუმი და ერარიუმები; აქვეა კეთილმოწყობილი 100-საწოლიანი საავადმყოფო პოლიკლინიკური განყოფილებით, სამშობიარო სახლი, ბავშვთა საავადმყოფო, რამდენიმე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და სხვ.

ქობულეთში მუშაობს სანატორიუმი „ქობულეთი“ (200 საწოლით), რომელსაც აქვს ყველა სამკურნალო და დიაგნოსტიკური კაბინეტი, აქვეა „დედათა და ბავშვთა“ სანატორიუმი, ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზური სანატორიუმი, სატყეო სკოლა-სანატორიუმი, დასასვენებელი სახლები — „ფიჭვნარი“, „შახტიორი“ და სხვ. გარდა ამისა, კურორტს აქვს პანსიონატი, სასტუმრო და საბინაო ფონდი ამბულატორიული ავადმყოფებისათვის.

ზაფხულობით საკურორტო ზონაში იხსნება რამდენიმე პიონერული ბანაკი; დასასვენებლად ჩამოდიან ავრეოთვე ბავშვთა ბაღები.

ამჟამად ქობულეთში შენდება ახალი წყალსადენი, წყალი გამოყავთ მდ. კინტრიშიდან, რაც სავსებით უზრუნველყოფს როგორც აღგილობრივ მოსახლეობას, ისე დამსვენებლებს საუკეთესო სასმელი წყლით.

მომავალში განზრახულია კიდევ უფრო გაფართოვდეს ქო-



ბულეთის მცენარეული საფარი. კურორტის ტერიტორია ისეთი მდგრადი გამწვანედეს, რომ ერთ დამსვენებელზე მოდიოდეს 17,5 კვადრატული მეტრი მწვანე ფართობი.

კურორტ ქობულეთის გამწვანებისას აუცილებლად უნდა შეიჩინოს მაღალი ჭიშის ნარგავები, რათა არ დაბრკოლდეს ზღვის შხრიდან ბრიზების მოძრაობა.

ახალი პროექტის მიხედვით, ქობულეთის ქუჩების ქსელი ძირითადად იგივე რჩება, მხოლოდ ემატება რამდენიმე ახალი ქუჩა და პლაზე გასასვლელი. ასესული ქუჩებისა და გზების უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს ტრანსპორტის გაზრდილ მოხხოვნილებას და საჭიროებს რეკონსტრუქციას პროფილისა და გაბარიტის შხრივ. გათვალისწინებულია აგრეთვე ახალი მოედნების მოწყობა. საკურორტო ზონაში ლენინისა და რუსთაველის სახელობის ქუჩები ვაგრძელდება მდინარე ჩოლოქამდე, რუსთაველის ქუჩა გამოყენებულ იქნება სატრანზიტო მოძრაობისათვის, ხოლო ლენინის ქუჩა — კურორტშიდა მიმოსვლისათვის. კურორტის ცენტრალური ნაწილის ოჩხამურთან დასაკავშირებლად დაგეგმილია ახალი გზების შენებლობა. აიგება აგრეთვე „დედათა და ბავშვთა“ სანატორიუმის ახალი 100-საწოლიანი შენობა, ერთი დასასვენებელი სახლი (200 საწოლით) და ერთი სასტუმრო-პანსიონატი (200 საწოლით). ამასთან, ას-ასი საწოლით უნდა გაფართოვდეს დასასვენებელი სახლი „ფიჭვნარი“ და სანატორიუმი „ქობულეთი“; აშენდება ახალი ზღვის თბილი აბაზანების შენობა (50 აბაზანით), საკურორტო პოლიკლინიკა (200 ერთეულის გამტარიანობით), ზამთრის საცურაო აუზი (200 კაცისათვის), 200-ადგილიანი პანსიონატი; დედათა და ბავშვთა სანატორიუმებთან მოეწყობა სამედიცინო პლაზი და სხვ. 1962 წლიდან დაიწყება დიდი მასშტაბის საკანალიზაციო სამუშაოები.

გადალეთიანი საკურორტო აღგილვა

ზღვისპირა კურორტებს გარდა აჭარაში ბევრია აგრეთვე დაბალი, საშუალო და მაღალმთიანი საკურორტო აღგილები, რომლებიც ბუნებრივი სილამაზით, კარგი კლიმატური პირობებითა და მრავალგვარი მინერალური წყლებით გამოიჩინან.

აჭარის მაღალმთიანი საკურორტო აღგილებიდან აღსანიშნავია ბე შუ მ ი, რომელიც მდებარეობს არსიანის ქედის გოდერძის გადასასვლელის აღმოსავლეთ ფერდობზე. ქ. ბათუმიდან დაშორებულია 129 კილომეტრით, გოდერძის უღელტესილიდან კი — 8 კილო-

მეტრით. კურორტის სიმაღლე ზღვის დონიდან 1830 მეტრს აღწევს ბეშუმი საავტომობილო გზით უკავშირდება ქ. ბათუმსა და ახალციხეს.

როგორც მოვიხსენიეთ, არსიანის ქედის დასავლეთ ნაწილში, ზღვისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, ატმოსფერულ დინებას აღმავალი ხასიათი აქვს, ამიტომ ამ ქედამდე დინება ტენიანია და უხვი ნალექი იცის.

ატმოსფერული ნალექების მხრივ სხვა სურათი გვაქვს არსიანის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, რადგან აქ ატმოსფერული



მაღალმთიანი კურორტი ბეშუმი

დინება დაღმავალი ხასიათისაა და ამასთან დაკავშირებით ვითარდება ფერდობების აღიაბატური შეთბობა, ეს კი თავის მხრივ ამცირებს ჰავის ტენიანობას. სწორედ ამიტომ აქ ნალექების რაოდენობა ბევრად მცირეა, ვიდრე ამავე სიმაღლის დასავლეთის ფერდობებზე. მთაგრეხილის ამ ნაწილში გავრცელებულია აღმოსავლეთის მშრალი ქარები, რომლებიც ნალექების მომატების მაჩვენებელზე ვერ მოქმედებენ. ისინი მიიმართებიან მშრალ მაღალმთიან რაიონებში და არსიანის ქედის აღმოსავლეთის მისასვლელთან უკვე საქმაოდ კარგავენ ტენს. ზემოაღნიშნული ატმოსფერული ცირკულაციის შედეგად ბეშუმის რაიონი ფორმირდება, როგორც მაღალ-



მთიანი ზომიერი კონტინენტური ტიპის კლიმატი, რომელიც თავისი ძირითადი მონაცემებით აბასთუმნის რაიონის კლიმატს უახლოვდება.

აღნიშნულ პროცესებზე დამოკიდებულებით ყალიბდება ბეშუმის რაიონის ორმული რეჟიმი. დაღმავალი დინების ხშირი ზემოქმედებით მატულობს ტემპერატურა. ზაფხულის თვეებში გათბობას აძლიერებს აღმოსავლეთის დინება, მზის ინსოლაციის ხანგრძლიობა და რადიაციის ინტენსივობა. აღპური მდელოები ხელს უწყობს პაერის ზედაპირული ფენის გახურებას, რაც აპირობებს ბეშუმისა და მახლობელი ადგილების კლიმატის კონტინენტურ ხასიათს. წლების განმავლობაში სეზონურად ჩატარებულმა დაკვირვებებმა ცხადყვეს, რომ ბეშუმი, მიუხედავად მაღალი მდებარეობისა, ზაფხულისა და შემოღვიძის ზოგიერთ თვეები სხვა მაღალმთიან კურორტებთან შედარებით თბილია.

საშუალო თვიური ტემპერატურა

ცხრილი № 3

თვეები	კურორტები	ბაზმარო	ბეშუმი	აბასთუმანი
აგვისტო		+ 14,0°	+ 15,4°	+ 18,3°
სექტემბერი		+ 11,8°	+ 12,9°	+ 15,3°
ოქტომბერი		+ 7,7°	+ 7,4°	+ 9,1°

ბეშუმის ტემპერატურული მერყეობა მკვეთრად განსხვავდება ზღვისპირისაგან. იგი თერმული რეჟიმით უფრო ახლო დგას კონტინენტურ ტიპთან, ვიდრე ზღვის ჰავსთან.

სინოტივის მაჩვენებელი აქ ბაზმაროს, ხულოსა და ბათუმთან შედარებით უფრო დაბალია.

შედარებითი სინოტივე (% %)

ცხრილი № 4

თვეები	ადგილები	ბაზმარო	ხულო	ბათუმი	ბეშუმი	აბასთუმანი
აგვისტო	80	76	84	72	71	
სექტემბერი	72	65	83	67	78	
ოქტომბერი	61	61	78	68	76	

ბეჭუმი სუსტი ქარების მოქმედებას განიცდის, რასაც ადასტურებს ქარის თვიური სიჩქარის ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ქარების მოძრაობის თვიური სიჩქარე

ცხრილი № 5

თვეები	ადგილები	ბათუმი	ხულო	ბახმარო	ბეჭუმი	აბასთუმანი
აგვისტო	1,3	1,8	0,8	1,14	1,2	
სექტემბერი	1,9	1,9	1,2	1,5	1,0	
ოქტომბერი	1,5	2,1	2,3	1,1	0,8	

ბეჭუმში ღრუბლიანობის ხარისხი მერყეობს 40-50% შორის.

ღრუბლიანი დღეების რაოდენობა

ცხრილი № 6

თვეები	ადგილები	ბათუმი	ხულო	ბახმარო	ბეჭუმი	აბასთუმანი
აგვისტო	17	12	12	8	9	
სექტემბერი	7	4	3	1	3	
ოქტომბერი	8	8	7	9	10	

არსიანის ქედის დასავლეთის ფერდობებთან და სანაპიროსთან შედარებით ბეჭუმში ნალექები უმნიშვნელოა.

ნალექების საშუალო თვიური ჯამი

ცხრილი № 7

თვეები	ადგილები	ბათუმი	ხულო	ბახმარო	ბეჭუმი	აბასთუმანი
აგვისტო	88	38	64	29	55	
სექტემბერი	174	47	59	33	18	
ოქტომბერი	386	69	82	49	46	

წვიმიან დღეთა რაოდენობა

ცხრილი № 8

თვეები	ადგილები	ბათუმი	ხულო	ბათქარო	ბეჭუმი	აბასთუმანი
აგვისტო	13	11	15	8	9	
სექტემბერი	10	9	10	6	4	
ოქტომბერი	11	14	14	13	9	

მოწმენდილ დღეთა რაოდენობა

ცხრილი № 9

თვეები	ადგილები	ბათუმი	ხულო	ბათქარო	ბეჭუმი	აბასთუმანი
აგვისტო	6	8	9	10	11	
სექტემბერი	7	12	8	11	8	
ოქტომბერი	6	12	10	7	6	

კლიმატის მხრივ თავისებური ადგილი უჭირავს მდ. აჭარის-წყლის ხეობას და მის მოსაზღვრე ფერდობებს. მიუხედავად დასავლეთით მიქცევისა, ხეობის შუა და ზედა ნაწილი ბევრად უფრო მშრალია, ვიდრე ზღვის სანაპირო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კურორტისათვის ატმოსფეროს მოჭარბებული ტენიანობა ცუდი კომპონენტია, მაშინ ზემოაღნიშვნული რაიონი შეიძლება ჩაითვალოს აჭარის დამატებით კლიმატურ სამკურნალო რესურსად.

ბეშუმისათვის დამახასიათებელია ის, რომ დილით ტემპერატურა აქ შედარებით მაღალია, რაც სავსებით შეესაბამება დაღმავალი ატმოსფერული მდინარების სისტემატურ მოქმედებას.

ბეშუმი კლიმატური კურორტია, ამიტომ მზეს, როგორც სამკურნალო ფაქტორს, მთავარი მნიშვნელობა აქვს.

ადგილმდებარეობა, უმნიშვნელო ტენი და ჰაერის დიდი გამკვირვალობა ხელს უწყობს მზის გაძლიერებულ რადიაციას, რაც აქ კარგად არის გამოხატული, ვიდრე ზღვის სანაპირო ზოლში, ან ამავე სიმაღლეზე მდებარე სხვა საკურორტო ადგილებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბეშუმში, გარდა ჰელიოთერაპიისა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობს აერო და ბალნეოთერაპიისათვის. აქვეა გოგირდწყალბადიანი და რკინიანი მინერალური წყაროები, რომელთაც მოსახლეობა სხვადასხვა დაავადების დროს იყენებს.

1934 წლიდან ბეჭუმში ზაფხულობით იხსნება 300-ადგილის ბეჭუმში. 1947 წლიდან 1958 წლამდე კი მუშაობდა 50-ადგილინი სანატორიუმი, რომელიც ახლა დასასვენებელ სახლადაა გადაკეთებული.

გარდა პიონერთა ბანაკისა და დასასვენებელი სახლისა, აქ აგებულია ქ. ბათუმის ბავშვთა სახლის სააგარაკო შენობა, ინდივიდუალურ დამსვენებელთა აგარაკები, გავვანილია წყალსადენი და ელექტრონხაზები; გათვალისწინებულია, 1962 წლიდან მოეწყოს მეტეოროლოგიური სადგური მიერკოლიმატის შესასწავლად და ახლო მომავალში აშენდეს 100-საწოლიანი დასასვენებელი სახლი.

მთის ჰავა, ზომიერი ტემპერატურა, მზის რადიაციისა და ულტრაინფერი სხივების სიუხვე, კარგი სასმელი და მინერალური წყაროები, მდიდარი წიწვიანი მცენარეულობა და ალპური საძოვრები ბეჭუმს ხდის შესანიშნავ კლიმატურ სადგურად.

ბეჭუმში საკურორტო მშენებლობისათვის ყველაზე კარგი აღვილია ალპური მინდვრებისა და წიწვიან ტყეთა საზღვარი. აქ გატარებული ავადმყოფების გამოჯანსაღების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბეჭუმის კლიმატი კარგად მოქმედებს სასუნთქი გზების ქრონიკულ დავადებებზე, ბრონქიალური ჯირკვლების ქრონიკულ ანთებებზე, ნეერასთენიაზე და მეორად ანემიაზე.

ბეჭუმი აბასთუმნის ტიპის კურორტია. აქაც შეიძლება მოეწყოს სანატორიუმები ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. აჭარა-ადიგენის გზის რეკონსტრუქცია, რაც ამჟამად მიმდინარეობს, ამ კურორტით სარგებლობას კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ქ. ბათუმისა და აჭარის სხვა კუთხეების მშრომელებისათვის.

ქ. ბათუმს საავტომობილო გზით უკავშირდება და მისგან 20 კილომეტრით არის დაშორებული ახალი საკურორტო ადგილი ცისკარი, რომელიც მთა მტირალაზე მდებარეობს.

მთა მტირალა გამოდის ჩაქვის ქედიდან, რომლის მწვერვალებია ცისკარი, ჩაქვისთავი და პერანგა. ეს ქედი ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენს ზღვიდან წამოსული ატმოსფერული მდინარებისათვის, რომელსაც ჭარბად მოაქვს ტენი. სწორედ ამით აისნება ნაღეჭების სიუხვე. აღსანიშნავია, რომ აქ ზღვისა და მთის ჰაერის შეზავება ქმნის სპეციფიკურ კლიმატურ ნაირსახეობას.

საკურორტო ადგილი ცისკარი ზღვიდან პირდაპირი ხაზით 10-12 კილომეტრითაა დაშორებული. ზღვის ჰავის გავლენა აქ

უფრო ძლიერია, ვიდრე ბახმაროზე. ცისკარისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ ფაქტორად ითვლება აგრეთვე მისი მაღალი მდებარეობა (ჩ. დ. 1300 მ), რაც ხელს უწყობს ფილტვებისა და მთელი სასუნთქი გზების გაფანსალებას.

ცისკარის კლიმატური ელემენტები ჯერჯერობით საბოლოოდ შესწავლილი არაა, რადგან მეტეოროლოგიური სადგური აქ ახლახან გაიხსნა.

ცისკარის მიღამოები დაფარულია ხშირი მცენარეულობით, რაც ხელს უწყობს ჰაერის გასუფთავებას მტვრისაგან. აქ გაბატონებულია დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ატმოსფერული მდინარება, რომელიც ზღვიდან მოემართება და არ შეიცავს ორგანიზმისათვის მავნე ელემენტებს.

მზის ინსოლაციას და ელვარებას აქ ხელს უწყობს აღგილის მაქსიმალური გაშლილობა, რის მეოხებითაც მზის დასხივება დილიდან საღამომდე გრძელდება. მზის რადიაციის ინტენსივობაზე კი უარყოფითად მოქმედებს ჭარბი ტენიანობა. დაკვირვების პერიოდში ყველაზე მშრალი თვე იყო აგვისტო, საშუალო თვიური აბსოლუტური ტენიანობა უდრიდა 15,7 მილიბარს, ბათუმში — 23,2 მლბ-ს, ხოლო ბახმაროზე — 12,7 მლბ-ს. საერთო ორუბლიანობა შეადგენდა: აგვისტოში 8,0 ბალს, სექტემბერში — 6,7, ოქტომბერში — 6,3, ნოემბერში კი 71 ბალს. შემოღომაზე შედარებით მცირეორუბლიანობა დამახასიათებელია მთელი სანაპიროსათვის, ცისკარი ამ მხრივ გამონაკლის არ წარმოადგენს. აქ შედარებით ჭარბობს სამხრეთის ქარი, რომლის სიჩქარე დაახლოებით 0,5 მეტრია წამში.

მთა ცისკარს, როგორც მომავალ კურორტს, კარგი პერსპექტივა აქვს.

გაზაფხულზე და ზაფხულში, როდესაც ქ. ბათუმში და აჭარის სხვა ზღვისპირა კურორტებზე შედარებით სიცხეა, ცისკარზე გრილა. აქ ბრიზული ცირკულაციის გამო გამუდმებით ქრის ზღვისა და მთის ჰაერის შეზავებით წარმოქმნილი ნიავი, რაც სასიამოვნოა და ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო.

ცისკარის უპირატესობა ისიცაა, რომ აქ საკურორტო სეზონი შეიძლება გაცილებით უფრო ადრე დაიწყოს, ვიდრე სხვა კურორტებზე. ცისკარის მიღამოები უკვე მარტიდან მწვანით იმოსება; ნალექების მინიმუმი მოდის აპრილში, მაისსა და ივნისში. ამიტომ მომავალი კურორტის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეს გარემოება, ე. ი. ცისკარი საკურორტოდ უნდა გამოვიყენოთ


აპრილიდან აგვისტოს ბოლომდე, რადგან შემდეგ ხანგრძლვი
წვიმები იწყება. ზამთრობით კი აქ, თოვლის ღრმა საფარველის გა-
მო, შეიძლება სათხილამურო შეჭიბრებანი გაიმართოს.

მთა ცისკარზე უხვადაა ცივი და სასმელად კარგი წყაროები;
აქვეა გოგირდოვანი მინერალური წყალი. საავტომობილო გზის
გაყვანის შემდეგ დიდი სამუშაოები ჩატარდა ამ საკურორტო აღ-
გილის კეთილმოსაწყობად: გაკეთდა წყალსადენი, გაიყვანეს ელექ-
ტრონხაზები და აშენდა სააგარაკო სახლები. ცისკარი გადაიქცა ბა-
თუმის მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური დასვენების კერად. მი-
სი ქლიმატის უფრო დეტალური შესწავლა და სამკურნალო ჩვენე-
ბათა ზუსტი დადგენა შემდგომი წლების საქმეა.

როგორც მოვიხსენიეთ, აჭარაში ბევრია აგრეთვე დაბალი,
საშუალო და მაღალმთიანი საკურორტო აღგილები. ქ. ბათუმიდან
3-4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ხეჩოკეთის (ზ. დ. 410 მ),
ანარის (ზ. დ. 420 მეტრი) და სამების (ზ. დ. 333 მ) მთა-გორაკები,
რომელიც წინათ სამხედრო სამეთვალყურეო პუნქტებს წარმოა-
დგენდნენ. ამ გორაკებზე არ იცის ნისლი, მზის დასხივება ხანგრძ-
ლივია და რადიაცია ძლიერი; ამასთან, მათი კონუსისებური ფორმი-
სა და ჰირიზონტის გაშლილობის გამო, გაბატონებულია ატმოს-
ფეროს ყოველმხრივი ცირკულაცია, რაც ორგანიზმზე მეტად
დადებითად მოქმედებს. დეკორატიული პალმებისა და სხვა მცენა-
რეულობის გაშენებით, რაც არც ისე ძნელია, ეს გორაკები შესაძლე-
ბელია გაღავაქციოთ მშრომელთა მასობრივი დასვენების საუკმ-
თესო აღგილებად.

თავისი ბუნებრივი მონაცემებით საუკეთესო საკურორტო აღ-
გილია სოფ. კაპრეშუ მ ი, რომელიც ქ. ბათუმიდან 5-6 კმ-ით
არის დაშორებული. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 300 მეტრამ-
დეა; ამჟამად აქ ეწყობა საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმი.

შუახევის რაიონის ჭვანის სასოფლო-საბჭოს ცენტრიდან 2,5
კილომეტრზე არის საუკეთესო საკურორტო აღგილი, რომელსაც
მოსახლეობა ს ამ ღორიას ეძახის. იგი მდებარეობს ზ. დ. 700
მეტრზე. მისი ფართობი დაახლოებით 160 ჰექტარს შეადგენს;
მდებარეობით ვაკეა, ნაძვნარში ჩაფლული. სამლორიამდე გაყვანი-
ლია გზატკეცილი. სათანადო კეთილმოწყობის შემდეგ იგი დასვენე-



ମହିଳାଙ୍ଗ (କ୍ଷେତ୍ର) ରହା ଦୀର୍ଘବ୍ୟାହରେ ମତାଶେ.

ბის კარგი ადგილი იქნება ჭვანისა და ბარათაულის მცხოვრებთაზე ვის.

ხულოს რაიონული ცენტრიდან 30 კმ-ის დაშორებით, ზ. დ. და 1200-2000 მეტრზე მდებარეობს საკურორტო ადგილი და და აჭარის მთა. იგი რაიონულ ცენტრს საავტომობილო გზით უკავშირდება. მისი ქვემო ნაწილი დაფარულია შერეული ტყის მასივებით, ხოლო ზემო ნაწილი — ნაძვნარით. აქ ზაფხულობით ისვენებს ხულოს რაიონის მცხოვრებთა რამდენიმე ასეული ოჯახი. დიდაჭარის მთაზე ორი ტბაა ქვემო და ზემო. ქვემო ტბა შერეული ტყის მასივებში მდებარეობს ლამაზ და თვალწარმტაც ადგილას. მოსახლეობა მას მწვანე ტბას უწოდებს; მისი ფართობი დაახლოებით 30.000 კვ. მეტრს შეადგენს, საკმაოდ ღრმაა და თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ სასეირნო ნაოსნობისათვის. მეორე — ზემო ტბა კი საგრძნობლად დიდია, მდებარეობს უფრო მაღლა, ალპური საძოვრების ტერიტორიაზე.

დიდაჭარის მთას თავისი ჯანსაღი ჰავა, მზის რადიაციის სიუჩვე, კარგი სასმელი წყაროები, შერეული ტყის მასივი და საერთოდ ბუნებრივი, სილამაზე მეტად პერსპექტულს ხდის; იგი ახლო მომავალში შეიძლება გადაიქცეს ადგილობრივი მნიშვნელობის საუკეთესო მაღალმთიან კურორტად.

სხვა საკურორტო ადგილებიდან, რომლებსაც მოსახლეობა დიდი ხანია იყენებს სააგარაკოდ, ალსანიშნავია გორანასოფლარი, კალთა, ვერნების მთა, მაწყვალე თის მთა, დარჩიძეების მთა, დიდი ვაკე, დიდნარი და ტუმგვალა, მაგრამ კერჭერობით შესწავლილი და დადგენილი არ არის მათი მიკროკლიმატი და საკურნალო ჩვენებანი.

ზღვის დონიდან 2000 მეტრზე და უფრო მაღლა ბევრია აგრეთვე ადგილები — გოდერძის ულელტეხილი, ჯანჯღნარი, კარჩხალი, ზოტიყელი, შავნაბადადა, საუგია, კუნჭულეთი, ქვაბიჭვარი, ჯინალი, კართნი, გორა, სასადილო ყელი, ხინოს მთა და სხვა, რომელთაც მოსახლეობა სააგარაკოდ იყენებს, მაგრამ მათ უმთავრესად საიალალო მნიშვნელობა აქვთ.

აჭარის საშუალო და მაღალმთიან საკურორტო ადგილებით მოსახლეობა სარგებლობს გაზაფხულიდან შემოდგომადე: გაზაფხულობით მცხოვრებლები სააგარაკოდ გადიან ყიშლებში (ზ. დ. 1200 მ), ზაფხულობით კი მიიწევენ ზევით — იაილებში (ზ. დ. 2000 მ).

და სექტემბრამდე იქ ჩხებიან, შემდეგ კი ისევ ყიშლალებს უჭირა
უნდებიან.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების თითქმის ყველა სოფელს აქვს
თავისი ყიშლა და იაილა, რომლებითაც სარგებლობენ აგრეთვე
ზღვისპირა ზონის მცხოვრებლები.

საჭაროა ახლო მომავალში შესწავლილ იქნეს აჭარის დაბალი,
საშუალო და მაღალმთიანი საკურორტო აღგილების მიყროკლიმატი,
დაღგინძეს ჩვენებანი და უკუჩვენებანი, დაიწყოს მათი კეთილ-
მოწყობის სამუშაოები.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა ითვა-
ლისწინებს სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელისა და მოსახლე-
ობის ჯანმრთელობის დაცვის კერების შემდგომ ზრდა-განვითარე-
ბას, ახალი კლიმატური რაიონებისა და საკურორტო აღგილების
გამონახვა-შესწავლას და მათ კეთილმოწყობას.

აჭარის ზღვისპირა კურორტების შემდგომი გაფართოება, ახა-
ლი სამთო კლიმატური სადგურების გაშენება და სამკურნალო მი-
ნერალური წყლების გამოყენება საშუალებას მოგვცემს ახლო მომა-
ვალში აჭარის ზღვის სანაპირო კურორტები და სამთო საკურორტო
აღგილები გადავაჭციოთ კეთილმოწყობილ სამკურნალო და დასვე-
ნების მძლავრ კერებად.



აზრის ტერიტორიაზე გამოვლინებული
მინერალები ფალები

I. ნახშირმჟავა წყლები

1. დანისპარაულის
2. კოკოტაურის (წყარო № 1, ქვედა)
3. კოკოტაურის (წყარო № 2, ზედა)
4. ხიხაძირის
5. ოეთრიმიწაბოლოს
6. ნამონასტრევის (წყარო № 1)
7. ნამონასტრევის (აბანოსღელეს წყარო № 2)
8. ნამონასტრევის (აბანოსღელეს წყარო № 3)
9. ნამონასტრევის (ხევისღელეს წყარო № 4)
10. ნამონასტრევის (ხევისღელეს წყარო № 5)
11. ღომას (საქაჯიას)

II. სულფიდური წყლები

1. შუაღელეს აბანოს (წყარო № 1)
2. ქვემო კვირიქეს
3. ხუცუბნის
4. ხალას (წყარო № 1)
5. ბუღაურის
6. შუახევის (წყარო № 1)
7. შუახევის (წყარო № 2)

III. გოგირდწყალბადიანი წყლები

1. მახინჯაურის (წყარო № 1)
2. მახინჯაურის (წყარო № 2)
3. აბანოსყელის (წყარო № 2)
4. ჩაქვის (წყარო № 2)
5. ჩანჩხალოს
6. საინიღელის

IV. რკინიანი წყლები

1. საინის აბანოს
2. ეკლარის
3. ბაკანეთის
4. გუნდაურის (წყარო № 1)
5. გუნდაურის (წყარო № 2)
6. შუბანის (წყარო № 1, ქვემო)
7. შუბანის (წყარო № 2, ზემო)
8. ჩირუხის ხევის
9. ტომაშეთის (წყარო № 1)
10. ტომაშეთის (წყარო № 2)
11. იაკობაურის

V. რკინიან-გოგირდიანი წყლები

1. აბანოსყელის (წყარო № 1)
2. დუმბაძეების
3. ნამუხვარის (წყარო № 6)
4. საქევრის
5. ღომა-სალორიას
6. ღომალაშეს
7. წაბლანის
8. ღიოვნისის
9. ბაკანეთის
10. გოგაძეების
11. საინის
12. გულების (წისქვილის ღელის)
13. მიქელწმინდის
14. ბარამიძეების (ხევის წყაროს)
15. გიდლისხევის
16. სანაიბის ღელის
17. ქოსაიხვილების
18. იხტიარიშვილების
19. მდ. საქახიას მარცხენა ნაპირის
20. მდ. საქახიას მარჯვენა ნაპირის
21. წყალტუბელას
22. ტიბნარის ღელის

23. ყინჩაურის
 24. კუთაურის
 25. პალაშვილების
 26. ასანიშვილების (წყარო № 1)
 27. ასანიშვილების (წყარო № 2)
 28. წყერისთავის
-

ს ი ტ ვ რ ა თ უ რ ბ

- ადამიან ე. — ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება. უზრნ. „ხელოვნება“, თბილისი, 1956 წ.
- გოგიშვილი კ., ნოდია მ. — აქარის მინერალური წყლები. 1955 წ., ხელნაწერი.
- დიასამიძე ი. — აქარის კურორტები მიმდინარე შვიდწლედში. უზრნ. „ლორერატურული აქარა“, ქ. ბათუმი, 1960 წ., № 6.
- ნოდია მ. — ზოგდო ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია. თბილისი, 1955 წ.
- ნებიერიძე გ. — აქარის ასსრ სახალხო მეურნეობა. ბათუმი, 1958 წ.
- ნიკარაძე ნ., ჯიბუტი ნ. — აქარის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული დასასიათება. ბათუმი, 1958 წ.
- ოსილოვი ა. — ქობულეთი, როგორც კურორტი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა. უზრნ. „თანამედროვე მედიცინა“, 1927 წ., № 5.
- პერტია ა. — ნაკვევები აქარის ჭამრთელობის დაცვის ისტორიიდან. ბათუმი, 1955 წ.
- შაშიკაშვილი ნ., დიასამიძე ი. ქურჩიშვილი ი. — ნარკვები სამედიცინო საქმის განვითარების შესახებ აქარაში. თბილისი, 1958 წ.
- შირაქაძე ტ. — კურორტ ქობულეთის კლიმატური პირობები. კურორტ ქობულეთის დაგეგმვარების პროექტი. 1955 წ., ხელნაწერი.
- ხარჩილავი თ. — უხვი ნალექები დასაცლეთ საქართველოში. 1953 წ., ხელნაწერი.
- ხაჩიძე შ. — საქართველოს სსრ წყალსატევების დაცვის საკითხისათვის. თბილისი, 1952 წ.
- Алисов Б. П., Дроздов С. А. и Рубинштейн Е. С. — Курс климатологии, ч. I — II. Ленинград, 1952 г.
- Алисов Б. П., Дроздов С. А. и Рубинштейн Е. С. — Курс климатологии, ч. III, Ленинград, 1955 г.
- Валединский И. А. — Курортотерапия заболеваний сердца и сосудов. В кн. Основы курортологии, т. 3, под общ. ред. проф. Г. М. Данишевского и проф. М. П. Кончаловского. Москва, 1936 г.
- Гигинейшили И. М. — Влияние климатических факторов Кобулети на легочный туберкулез и бронхиальную астму. В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.
- Гогибадашвили В. Г. и Нодия И. Ю. — Технический проект округа и зон санитарной охраны курорта Кобулети. Тбилиси, 1948 г., рукопись.
- Золотницкий В. Н. — Гор. Батум, как зимняя климатическая станция. Тифлис, 1884 г.
- Занкевич Л. А. — Фауна и биологическая продуктивность моря. В кн. Южные моря. 1947 г.
- Купцис Р. Д. — Минеральные воды Аджарии, в кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.
- Комахидзе Д. Х. — Батуми. Госиздат, Батуми, 1956 г.
- Каухчишвили С. Г. — К истории г. Батуми. Труды Кутаисского Педагогического института имени А. Цулукидзе, 1950 — 51 гг.

- Кониашвили И. Г., Кутателадзе Л. А. — Реакция крови на курортные факторы Кобулети при туберкулезе легких и бронхиальной астме. В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.
- Краснов А. Н. — «Возможная будущность природы Батумского края», в сборнике «Русские тропики», под редакцией С. А. Анисимова, Батуми, 1911 г.
- Красовский А. С. — Морские купания в Батуме (заметки для больных). Батум, 1886 г.
- Лейбензон А. Е. — Талассотерапия. В кн. Основы курортологии, т. 2, под общей редакцией проф. М. П. Кончаловского и проф. Г. М. Данишевского. Москва, 1934 г.
- Медовиков П. С. — Курортотерапия детских заболеваний. В кн. Основы курортологии, т. 3, под общей ред. проф. Г. М. Данишевского и проф. М. П. Кончаловского. Москва, 1936 г.
- Мхайдзе М. И., Копадзе П. — Курортное строительство в Аджарской АССР за 20 лет. Гос. архив АССР, ф. 147, д. № 4, л. 174—175 — 176.
- Нодия М. И. — Курорт Кобулети, журн. Врачебное дело, № 7, 1951 г.
- Полиевктов М. — Побережье от Батуми до Кобулети, В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.
- Пандоев Г. С. — Кобулети, как курорт для невротиков. В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1935 г.
- Пантюхов И. — Кобулети, как приморский курорт. Тифлис, 1900 г.
- Прокопенко В. Г. — Общие механизмы действия курортных факторов на организм. В кн. Основы курортологии, т. 2, под ред. В. А. Александрова. Медгиз, 1959 г.
- Рабухин А. Е. и Ельник В. И. — Санаторно-курортное лечение больных туберкулезом легких. В кн. Частная курортотерапия. Медгиз, 1958 г.
- Селяников Г. Т. — Общий очерк климата Черноморского побережья Кавказа. Журн. Курортное дело. 1928 г. № 8.
- Селяников Г. Т. — Общий очерк климата Черноморского побережья Кавказа. Журн. Курортное дело. 1926 г. № 7.
- Скворцов И. П. — Климатическое лечение вообще и наши климатолечебные места по берегам Черного моря. Военно-медицинские труды, 1890 г., № 10.
- Соловкин С. С. — О Кобулетах, как будущем детском курорте и особенно для лечения костно-суставного туберкулеза. В кн. Прот. и труды общ. врачей Батума, т. т., XIV, XV, XVI. Батум, 1913 г.
- Слоним А. Д. и Воронин Н. М. — Влияние на организм климата, как средства профилактики и курортного лечения. В кн. Основы курортологии, т. 2, под редакц. В. А. Александрова, Медгиз, 1959 г.
- Триантафилидес Т. П. — Батум и уроцище Махинджаури и Зеленый мыс, как климатические станции. Батум, 1899 г.
- Триантафилидес Т. П. — Климат и климатотерапия Батума и его окрестностей. Батум, 1913 г.
- Туманов А. А. — История развития курортного дела в Аджарии. В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.
- Фенстер М. Я. — Климат Батума, сборн. статей «Батумское побережье и русские тропики» под ред. С. А. Анисимова. Батум, 1911 г.
- Френкель А. — Очерк р. Чурук-су и Батума. 1879 г.
- Фехнер Ф. Л. — Список минеральных источников, целебных грязей, морских купаний и климатических станций по губерниям и областям Кавказа. Кавказский календарь на 1917 г.
- Чиракадзе Г. И. — Климатические условия Аджарии и микроклиматические показатели для курорта Кобулети. В кн. Курорты Аджарии. Тбилиси, 1936 г.

- Чиракадзе Г. И. — Климат Бешуми. Тбилиси, 1959 г., рукопись.
- Шенк А. К. — Методика и техника аэро-гелиоклиматотерапии. В кн. Основы курортологии, т. 2, под общ. редакцей проф. М. П. Кончаловского и проф. Данишевского. Москва, 1934 г.
- Шварц Н. И. — Опыт оценки эффективного лечения неврастении и неврозов сердца в условиях Кобулетского курорта, журн. Вопросы курортологии, Медгиз 1940 г., № 1 — 2.
- Эйнис В. Л., Носов В. Н. — Курортотерапия болезней легких. В кн. Основы курортологии, т. 3, под ред. проф. Г. М. Данишевского и проф. М. П. Кончаловского. Москва, 1936 г.
- Эриксон Э. В. — Опыт санитарного обзора окрестностей Батума. Медицинский сборник, издаваемый императорским Кавказским медицинским обществом, Тифлис, 1909 г., № 63.
- Эфендиев М. — «Батумское побережье в климатическом отношении». Труды первого съезда служащих врачей гражданского ведомства на Кавказе. Том 4.
- Отчет Совета Народных комиссаров Советской Социалистической Автономной Республики Аджаристана 1921 — 1924 г., Гос. архив ААССР, ф. Р-2, д. I, л. 53, 54, 55.
- Курорты СССР, под редакцией Курашова С. В., Хрисанфова Н. Е., Гольдфайля Л. Г., Медгиз, Москва, 1951 г.
- Постановление Совета Министров СССР от 10 марта 1960 г. за № 335 — «О передаче профсоюзам санаториев и домов отдыха».
- Труды Тбилисского научно-исследовательского гидрометинститута. Москва, 1954 г.
- Труды Тбилисского научно-исследовательского гидрометинститута. Москва, 1955 г.
- Климатологический справочник. Тбилиси, 1949 г.
- Большая Советская энциклопедия, второе издание, т. 4.
- Большая Советская энциклопедия, второе издание, т. 16.
- Большая Советская энциклопедия, второе изд. т. 11.
- Большая Советская энциклопедия, второе изд., том 26.

შ ი ნ ა რ ს ი

83.

რედაქტორისაგან	3
შესავალი	5
აჭარის ტერიტორიის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება	7
აჭარის კურორტების განვითარების მოკლე ისტორია აჭარის კურორტებისა და საკურორტო აღგილების სამკურნალო ფაქტორები	11
მინერალური წყლები	22
აჭარის ზღვისპირა კურორტებზე მკურნალობის ჩვენებანი და უკუჩვენებანი	43
ზღვისპირა კურორტები	51
მაღალმთიანი საკურორტო აღგილები	52
აჭარის ტერიტორიაზე გამოვლინებული მინერალური წყლები ლიტერატურა	74
	85
	88



Ираклий Ахмедович Диасамидзе
**КУРОРТЫ АДЖАРИИ И ПЕРСПЕКТИВЫ
ИХ РАЗВИТИЯ**

(на грузинском языке)
Государственное издательство
Батуми—1961

რედაქტორი პროფ. ვ. გოგიძედაშვილი

გამომც. რედაქტორი ც. წუწუნავა
ტექნიკაშვილი გ. კუნჭულია
კორექტორი ვ. დარჩია

გადაეცა წარმოებას 28. I. 61 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1961 წლის
24 აპრილს. ქაღალდის ზომა 60X92¹/16. ნაბეჭდი თაბახი 5,75, სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,52. ფაქ. № 3008. ემს 00622. ტირ. 1.000.

ფასი 40 კაპ.

საქ სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფიი
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

